



სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული
სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო

თბილისი, 2016
ვერსია 5.02



სარჩევი

1. სისტემის მიმოხილვა.....	5
1.1 მომხმარებელი სტუმრის სტატუსით	5
1.2 ძებნა სისტემაში	6
2. რეგისტრაცია	9
2.1. რეგისტრირებული მომხმარებლის გააქტიურება.....	13
3. პაროლის აღდგენა	14
3.1 პაროლის შეცვლა.....	14
4. მომხმარებლის პროფილი.....	16
4.1 შემსყიდველი ორგანიზაციის პროფილი.....	16
4.2. მიმწოდებლის პროფილი.....	19
5. შეტყობინებები.....	23
5.1 SMS შეტყობინებები	24
6. ელექტრონული ტენდერი, გამარტივებული ელექტრონული ტენდერი და კონკურსი	25
6.1 პირველი ეტაპი - შემსყიდველის მიერ e-შესყიდვის გამოცხადება.....	25
6.1.1 შესყიდვის შეწყვეტა	34
6.2 მიმწოდებლის მონაწილეობა ტენდერში/კონკურსში	35
6.2.1 გარანტია	39
6.2.2 წინადადების საფასური.....	42
6.2.3 ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვა.....	44
6.2.4 საკონკურსო წინადადების ფასის წარდგენა.....	45
6.2.5 სატენდერო წინადადების ფასის წარდგენა ძირითად დროში.....	47
7. კონკურსის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის გასაჩივრება	54
7.1 საჩივრის ელექტრონული ფორმა.....	54
7.2 საჩივრის შევსების ინსტრუქცია.....	55
8. შესყიდვის შედეგები.....	59
8.1 შერჩევა/შეფასება	59
8.1.1 დისკვალიფიკაციის სახეები.....	60
8.2 სტატუსი - არ შედგა.....	62
8.3 სტატუსი - გამარჯვებული გამოვლენილია.....	62
8.3.1 გამარჯვებულის გამოვლენა ტენდერში.....	62



8.3.2 გამარჯვებულის გამოვლენა კონკურსში.....	63
8.4 სტატუსი - დასრულებულია უარყოფითი შედეგით	66
8.5 სტატუსი - მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება.....	66
8.6 სტატუსი - ხელშეკრულება დადებულია	69
8.7 ხელშეკრულების ცვლილება	72
8.8 ხელშეკრულებაში შეცდომის გასწორება.....	73
8.9 უფლებამონაცვლის მითითება	74
8.10 ხელშეკრულების სტატუსის მიმდინარეობა.....	75
9. ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ანგარიშები (CMR).....	77
10. ელექტრონული გეგმის მოდული (ePLAN)	84
11. გამარტივებული შესყიდვის შეთანხმება სააგენტოსთან.....	86
11.1 გამარტივებული შესყიდვის ერთობლივად განხორციელება	87
11.2 SMP მოდულში გამარტივებული შესყიდვის შესახებ მომართვის წარდგენა.....	88
11.3 სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღება და მომართვის სტატუსები.....	91
11.4 მომართვის საჯაროობა და დაინტერესებული პირის მიერ მასზე მოსაზრების დაფიქსირება	92
12. შესყიდვის ელ. პროცედურა დონორის სახსრებით	93
12.1 პირველი ეტაპი - DEP შესყიდვის გამოცხადება	93
12.2 მიმწოდებლის მონაწილეობა (DEP-შესყიდვა)	97
12.3 წინადადების საფასური(DEP-შესყიდვა)	99
12.4 ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვა (DEP-შესყიდვა)	100
12.5 წინადადების ფასის წარდგენა(DEP-შესყიდვა)	102
12.6 შედეგები(DEP-შესყიდვა)	105
12.7 შერჩევა/შეფასება (DEP-შესყიდვა)	105
12.8 გამარჯვებული გამოვლენილია (DEP-შესყიდვა)	106
12.9 არ შედგა (DEP-შესყიდვა)	106
12.10 დასრულებულია უარყოფითი შედეგით (DEP-შესყიდვა).....	107
12.11 ხელშეკრულება დადებულია (DEP-შესყიდვა).....	107
13. საგრანტო კონკურსის ელ-სისტემა (მიმწოდებლის მომხმარებლის ინსტრუქცია)	109
13.2 სისტემის მომხმარებელი	109
13.3 რეგისტრაცია სისტემაში	109
13.4 ავტორიზაცია	110



13.5 მომხმარებლის რეკვიზიტების რედაქტირება	111
13.6 რეგისტრაცია საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის	112
13.7 ძებნა სისტემაში	114
13.8 საგრანტო განცხადების გაცნობა	115
13.9 შეთავაზება	117
13.10 ხარვეზის გამოსწორება	117
13.11 ხედვა.....	118
13.12 ხელშეკრულება.....	118
13.13 შეტყობინებები.....	118
14. საგრანტო კონკურსის ელ-სისტემა (საგრანტო მენეჯერის ინსტრუქცია)	120
14.1 სისტემის მომხმარებელი	120
14.2 რეგისტრაცია	120
14.3 ავტორიზაცია	121
14.4 მომხმარებლის რეკვიზიტების რედაქტირება	122
14.5 ძებნა სისტემაში	123
14.6 საგრანტო პროექტის მომზადება.....	124
14.7 საგრანტო პროექტის რეგისტრაცია.....	125
14.8 პროექტის რედაქტირება / წაშლა.....	125
14.9 კითხვა-პასუხი	126
14.10 ხარვეზის გამოსწორება	126
14.11 საგრანტო კონკურსის შედეგების გამოქვეყნება	127
14.12 ხელშეკრულების მომზადება / დადება / ცვლილება	128
14.13 საგრანტო კონკურსის შეწყვეტა.....	129
14.14 შეტყობინებები.....	130
15. კლავიატურის გადართვა–გადმორთვა	131
16. საკონკურსო წინადადების შეფასებისა და გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენის ფორმულის გამოყენების გზამკვლევი	131
17. სახელმძღვანელოში გამოყენებული ტერმინები	140



1. სისტემის მიმოხილვა

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა (შემდგომში - სისტემა) არის საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალური პორტალი, რომელიც უზრუნველყოფს ღია, გამჭვირვალე და კონკურენტუნარიან გარემოს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილე ნებისმიერი პირისათვის.

სისტემის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომში - სააგენტო).

სისტემით სარგებლობა შეუძლია შემსყიდველს, მიმწოდებელს და სტუმრის სტატუსით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, თუმცა სისტემაში წინასწარი რეგისტრაცია სავალდებულოა მხოლოდ შემსყიდველებისა და მიმწოდებლებისათვის.


1.1 მომხმარებელი სტუმრის სტატუსით

თუ გსურთ სისტემაში სტუმრის სტატუსით მოიძიოთ თქვენთვის სასურველი ინფორმაცია (მიმდინარე და დასრულებული e-შესყიდვები¹, შემსყიდველისა და მიმწოდებლის შესახებ ინფორმაცია და ა.შ.), ღილაკზე [სტუმარი](#) დაჭერით თქვენ შეხვალთ სისტემის მთავარ გვერდზე სტუმრის სტატუსით.


¹e-შესყიდვა - სახელმძღვანელო მიზნებისთვის გულისხმობს ელექტრონულ ტენდერს, გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერს და კონკურსს.

სტუმრის სტატუსით სისტემაში შესულ მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს მოიძიოს ინფორმაცია მხოლოდ e-შესყიდვებზე და რეგისტრირებულ მომხმარებლებზე, ხოლო CMR და ePLAN მოდულები მისთვის მიუწვდომელია.

სტუმრის სტატუსით სისტემაში შესულ მომხმარებელს თუ სურს CMR და ePLAN მოდულებზე ინფორმაციის მოიძიება, მას აქვს შესაძლებლობა ამავე გვერდიდან დამატებით გაიაროს ავტორიზაცია მისი FaceBook ანგარიშით, რის შემდგომაც აღნიშნული მოდულები მისთვის გახდება ხელმისაწვდომი. FaceBook ანგარიშით სისტემაში შესვლისათვის მომხმარებელმა უნდა გამოიყენოს ღილაკი. აღნიშნულ ღილაკზე დაჭერის შემდგომ მომხმარებელს გამოუჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა.



შესაბამისი ველების შევსებისა და ღილაკზე “ავტორიზაცია” დაჭერის შემდგომ კი მომხმარებელს მთავარ გვერდზე გაეხსნება CMR და ePLAN მოდულებზე წვდომა.



1.2 ძებნა სისტემაში

სისტემას აქვს ძებნის ფუნქცია, რომლის მეშვეობით თქვენ სწრაფად, მარტივად და კომფორტულად შეგიძლიათ მოიძიოთ ნებისმიერ შესყიდვასთან დაკავშირებული თქვენთვის საინტერესო ინფორმაცია. ამისათვის, სისტემის მთავარ გვერდზე ქვემოთ მოცემული სურათის მსგავს ფანჯარაში უნდა მიუთითოთ თქვენთვის საჭირო ინფორმაციის ერთ-ერთი (ან რამდენიმე თავსებადი) პარამეტრი, კერძოდ:



შეტყობინებები (249)

განცხადების ნომერი

შემსყიდველი

მიმწოდებელი

შესყიდვის სტატუსი

ხელშეკრულების სტატუსი

შესყიდვის ტიპი

შესყიდვის კატეგორია

კლასიფიკატორის კოდები

თარიღი

თანხით (-დან/-მდე)

პრეისკურანტი

მწარმოებელი


მოდელი

ძებნა ჩემს ჩანაწერებში

ძებნა

- განცხადების ნომერი
- შემსყიდველის სახელწოდება
- მიმწოდებლის სახელწოდება

შესყიდვის სტატუსი - აღნიშნულის მონიშვნის შედეგად ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული ფანჯარა, რომელიც საშუალებას მოგცემთ აირჩიოთ e-შესყიდვის მიმდინარეობის ერთ-ერთი სტატუსი.



შესყიდვის ტიპი

შემსყიდველი

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

ელექტრონული ტენდერი

შესყიდვის ელექტრონული პროცედურა

კონსოლიდირებული ტენდერი

შესყიდვის ელ. პროცედურა დონორის სახსრებით

კონკურსი

საგრანტო კონკურსი

- **ხელშეკრულების სტატუსი** - (მიმდინარე ხელშეკრულება, შესრულებული ხელშეკრულება, შეუსრულებელი ხელშეკრულება);
- **შესყიდვის ტიპი** - (ელექტრონული ტენდერი, გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, შესყიდვის ელექტრონული პროცედურა, კონსოლიდირებული ტენდერი, კონკურსი, საგრანტო კონკურსი);
- **შესყიდვის კატეგორია** - მონიშვნის შედეგად ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული ფანჯარა, რომელიც საშუალებას მოგცემთ აირჩიოთ შესყიდვის კატეგორია;

შემსყიდველი: ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული

03100000 - სოფლის მეურნეობისა და ბაღჩეული პროდუქტები

03200000 - ბურღულეული, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და თხილღეული

03300000 - ფერმერული, ნაწადირევი და თევზის პროდუქტები

03400000 - მეტყევეობისა და ხე-ტყის პროდუქტები

09100000 - საწვავი

09200000 - ნავთობის, ქვანახშირისა და ზეთის პროდუქტები


09300000 - ელექტრო, სითბური, მზისა და ბირთვული ენერჯია

14200000 - ქვიშა და თიხა

- **კლასიფიკატორის კოდები** - აღნიშნულის ასარჩევად, ტექსტურ ველში თავად შეგიძლიათ მიუთითოთ კლასიფიკატორის კოდის სახელწოდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავს ფანჯარაში. არანაკლებ 3 ასობგერის ჩაწერის შედეგად სისტემა ქვემოთ



მოცემული სურათის მსგავსად, ავტომატურად მოგცემთ საშუალებას აირჩიოთ თქვენს მიერ ჩაწერილი ასობგერების შესაბამისი შესყიდვის ობიექტი;



ლილაკზე დაჭერით სისტემა თავად გაჩვენებთ ეკრანზე კლასიფიკატორის კოდების ჩამონათვალს. კლასიფიკატორის კოდების სახელწოდების გადამოწმების მიზნით, ლილაკზე დაჭერით სისტემა გაჩვენებთ კოდების სახელწოდებების ორიგინალურ, ინგლისურენოვან ჩამონათვალს.

- **თარიღი** (რეგისტრაციის თარიღი, ვაჭრობის თარიღი, სტატუსის თარიღი);
- **თანხა** (მინიმუმი და მაქსიმუმი);
- **პრეისკურანტი** (ვაჭრობა პრეისკურანტით, ვაჭრობა პრეისკურანტის გარეშე);
- **მწარმოებელი** - აღნიშნულ ველში მიუთითეთ შესყიდვის ობიექტის მწარმოებლის დასახელება(მაგ. NOKIA);
- **მოდელი** - აღნიშნულ ველში მიუთითეთ შესყიდვის ობიექტის მოდელი (მაგ.E 72);
- **ძებნა ჩემს ჩანაწერებში** - აღნიშნული ველის მონიშვნის შედეგად ეკრანზე გამოჩნდება თქვენს მიერ გამოცხადებული e-შესყიდვები ან ისეთი e-შესყიდვები, რომლებშიც მიღებული გაქვთ მონაწილეობა.

მას შემდეგ, რაც ინფორმაციის ძებნისათვის განკუთვნილ ფანჯარაში მიუთითებთ ერთ-ერთ ან ერთდროულად რამდენიმე თავსებად ძებნის პარამეტრს, უნდა დააჭიროთ ლილაკს „ძებნა“, რის შედეგად გამოჩნდება თქვენს მიერ მითითებული პარამეტრების შესაბამისი e-შესყიდვები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყურადღება


ნებისმიერ რეგისტრირებულ მომხმარებელს სისტემაში ინფორმაციის მოძებნა შეუძლია ზემოთ აღწერილი ძებნის ფუნქციით. სისტემაში სტუმრის სტატუსით ან FaceBook-ის ანგარიშით შესულ მომხმარებელს, ზემოთ ჩამოთვლილი ძებნის ფუნქციებიდან არ შეუძლია ძებნა განახორციელოს ხელშეკრულების სტატუსის, მწარმოებლის, მოდელის, პრეისკურანტის და „ძებნა ჩემს ჩანაწერებში“ ფუნქციის გამოყენებით.




2. რეგისტრაცია

როგორ დავრეგისტრირდეთ სისტემაში როგორც შემსყიდველი ან მიმწოდებელი?

სისტემაში რეგისტრაციისათვის (შემსყიდველი, მიმწოდებელი), სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.procurement.gov.ge) დახმარებით უნდა შეხვიდეთ სისტემაში. სისტემაში შესვლის შემდეგ, ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა, ღილაკით „მომხმარებლის რეგისტრაცია“.




ღილაკზე „მომხმარებლის რეგისტრაცია“ დაჭერით, ეკრანზე გამოჩნდება რეგისტრაციისათვის განკუთვნილი სამუშაო ველები². უპირველეს ყოვლისა, „მომხმარებლის ტიპი“ ჩამოშლად ველზე დაჭერით ეკრანზე გამოვა მარჯვნივ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა, აღნიშნულის დახმარებით თქვენ ვალდებული ხართ აირჩიოთ მხოლოდ თქვენი სამართლებრივი ფორმისათვის შესაბამისი მომხმარებლის ტიპი (მიმწოდებელი ან შემსყიდველი), რომლის სტატუსითაც რეგისტრირდებით სისტემაში.



ყურადღება
ერთადერთი განსხვავება მიმწოდებლისა და შემსყიდველის რეგისტრაციის დროს გახლავთ სამუშაო ველი „სამართლებრივი ფორმა“. ყველა სხვა დანარჩენი ველი იდენტურია. ასევე იდენტურია მათი ველების შევსების ფორმა, გარდა „სამართლებრივი ფორმა“ და „სახელი/დასახელება“ სამუშაო ველებისა.
დაუშვებელია *შემსყიდველად* რეგისტრაცია, თუ თქვენ არ ხართ შემსყიდველი ორგანიზაცია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის შესაბამისად.

„საქართველოს რეზიდენტი“ ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის მქონე პირის მიმწოდებლად რეგისტრაციისას მომხმარებლის ტიპის მითითების შემდგომ, მარჯვნივ განთავსებული სურათის მსგავსად „საიდენტიფიკაციო კოდი“ სამუშაო ველში წერთ თქვენი ორგანიზაციის საინდეფიკაციო კოდს, აჭერთ ღილაკს „სამეწარმეო რეესტრი“ და სისტემა ავტომატურად ავსებს „სამართლებრივი ფორმა“, „სახელი/დასახელება“ სამუშაო ველებს. აღნიშნული სერვისით შევსებული ველების მაგალითი მოცემულია ქვემოთ განთავსებულ სურათზე.



²სამუშაო ველი - ნებისმიერი ადგილი, სადაც სისტემის მომხმარებელს შეჰყავს კონკრეტული ინფორმაცია (მაგალითად, სახელი/დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი და ა.შ).



მომხმარებლის ტიპი*	მიმწოდებელი
სამართლებრივი ფორმა*	ინდივიდუალური მეწარმე (ი/მ)
საიდენტიფიკაციო კოდი*	36*****10
სახელი/დასახელება*	თეონა იმნაიშვილი

- „საქართველოს რეზიდენტი“ ფიზიკური პირის მიმწოდებლად რეგისტრაციისას მომხმარებლის ტიპის მითითების შემდგომ, მარჯვნივ განთავსებული სურათის მსგავსად „საიდენტიფიკაციო კოდი“ სამუშაო ველში წერთ თქვენს პირად ნომერს, აჭერთ ღილაკს „სამოქალაქო რეესტრი“ და სისტემა ავტომატურად ავსებს „სამართლებრივი ფორმა“, „სახელი/დასახელება“ სამუშაო ველებს. აღნიშნული სერვისით შევსებული ველების მაგალითი მოცემულია ქვემოთ განთავსებულ სურათზე.

მომხმარებლის ტიპი*	მიმწოდებელი
სამართლებრივი ფორმა*	-
საიდენტიფიკაციო კოდი*	36*****01
სახელი/დასახელება*	სამწარმო რეესტრი

მომხმარებლის ტიპი*	მიმწოდებელი
სამართლებრივი ფორმა*	ფიზიკური პირი
საიდენტიფიკაციო კოდი*	36*****10
სახელი/დასახელება*	თეონა იმნაიშვილი

სისტემის მიერ შევსებული „სამართლებრივი ფორმა“ და „სახელი/დასახელება“ ველების რედაქტირება დაუშვებელია და სისტემურადაა შეზღუდული. რეგისტრაციის პროცედურების გავლისას თუ მომხმარებლის მიერ დაშვებული იქნა შეცდომა და „საინდენტიფიკაციო კოდი“ სამუშაო ველში მიუთითა არასწორი საინდენტიფიკაციო კოდი, მას აქვს შესაძლებლობა წაშალოს სისტემურად შევსებული ველები და აღნიშნული ველების შევსება მოახდინოს ახლიდან, სწორი საინდენტიფიკაციო კოდის მიხედვით. სისტემურად შევსებული ველების წაშლის მაგალითი მოცემულია მარცხნივ განთავსებულ სურათზე.

მომხმარებლის ტიპი*	მიმწოდებელი
სამართლებრივი ფორმა*	ფიზიკური პირი (ფ/პ)
საიდენტიფიკაციო კოდი*	36*****10
სახელი/დასახელება*	თეონა იმნაიშვილი

ყურადღება

საქართველოს რეზიდენტი იურიდიული ან ფიზიკური პირის რეგისტრაციისას „სამართლებრივი ფორმა“ და „სახელი/დასახელება“ სამუშაო ველების შევსება ხდება ავტომატურად, სისტემური სერვისის მეშვეობით და შევსებული ველების რედაქტირება დაუშვებელია.



„საქართველოს არარეზიდენტი“ იურიდიული ან ფიზიკური პირის მიმწოდებლად რეგისტრაციისას მომხმარებლის ტიპის და „საიდენტიფიკაციო კოდი“ სამუშაო ველის მითითების შემდეგ, „სამართლებრივი ფორმა“ ჩამოშლად ველზე დაჭერით ეკრანზე გამოვა ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა, აღნიშნულის დახმარებით თქვენ აირჩევთ შესაბამის სამართლებრივ ფორმას.

მომხმარებლის რეგისტრაცია	
მომხმარებლის ტიპი*	მიმწოდებელი
სამართლებრივი ფორმა*	-
საიდენტიფიკაციო კოდი*	<p>საქართველოს რეზიდენტი</p> <p>შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)</p> <p>სააქციო საზოგადოება (სს)</p> <p>სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)</p> <p>კომანდიტური საზოგადოება (კს)</p> <p>კოოპერატივი</p> <p>საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)</p> <p>ფილიალი/წარმომადგენლობა</p> <p>ინდივიდუალური მეწარმე (ი/მ)</p> <p>ფიზიკური პირი (ფ/პ)</p> <p>ამხანაგობა</p> <p>არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი (ააიპ)</p> <p>საქართველოს არარეზიდენტი</p> <p>იურიდიული პირი</p> <p>ფიზიკური პირი</p> <p>კონსორციუმი</p>
სახელი/დასახელება*	
ქვეყანა*	
ქალაქი/დაბა/სოფელი*	
მისამართი*	
ტელეფონი*	
ფაქსი	
ელ-ფოსტა*	
ელ-ფოსტა (ხელმოწერა)*	
ვებ-გვერდი	

შემსყიდველად რეგისტრაციისას მომხმარებლის ტიპის და „საიდენტიფიკაციო კოდი“ სამუშაო ველის მითითების შემდეგ, „სამართლებრივი ფორმა“ ჩამოშლად ველზე დაჭერით ეკრანზე გამოვა ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა, რომლის დახმარებითაც თქვენ აირჩევთ შესაბამის სამართლებრივ ფორმას

მომხმარებლის რეგისტრაცია	
მომხმარებლის ტიპი*	შემსყიდველი
სამართლებრივი ფორმა*	-
საიდენტიფიკაციო კოდი*	სახელმწიფო ორგანო
სახელი/დასახელება*	<p>აგტონომიური რესპუბლიკის ორგანო</p> <p>ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო</p> <p>50% მეტი სახ. წილ. საწარმო</p> <p>საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)</p> <p>არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი (ააიპ)</p>
სახელი/დასახელება(E)*	სხვა შემსყიდველი ორგანიზაცია

- სახელი/დასახელება (ეს ველი ივსება მხოლოდ „საქართველოს არარეზიდენტი“ სამართლებრივი ფორმის მქონე ორგანიზაციის ან შემსყიდველის რეგისტრაციის შემთხვევაში);
- ქვეყანა;
- ქალაქი/დაბა/სოფელი;
- მისამართი (იურიდიული მისამართი);
- ტელეფონი (ოფიციალური საკონტაქტო ტელეფონი);
- ფაქსი (საკონტაქტო ფაქსის ნომერი);



- **ელ-ფოსტა** (აუცილებელია აქტიური, მოქმედი ელ-ფოსტის მითითება, რომელზედაც გამოგეგზავნებათ რეგისტრაციის დადასტურების შეტყობინება და აქტივაციის ბმული, რომელზე დაჭერით ხდება თქვენი ორგანიზაციის გააქტიურება);

ყურადღება

რეგისტრაციისას თქვენს მიერ მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტა, ვებ-გვერდი) შეცვლის შემთხვევაში აუცილებელია ეს ცვლილება აისახოს სისტემაში.

რეგისტრაციისას მიზანშეწონილია მიუთითოთ თქვენი სამსახურებრივი (კორპორატიული) ელ-ფოსტის მისამართი.

- **ელ-ფოსტა ხელმეორედ** (ამ ველში, ველიდან „ელ-ფოსტა“ ჩანაწერის გადატანა კოპირებით არარეკომენდირებულია, რადგან წინა ველში ელ-ფოსტის არასწორად ჩაწერის შემთხვევაში, დაშვებული შეცდომა გამეორდება და აქტივაციის კოდს ვერ მიიღებთ არასწორად მითითებულ ელ-ფოსტაზე);
- **ვებ-გვერდი** (ოფიციალური ვებ-გვერდის მისამართი);
- **სახელი, გვარი** (მომხმარებლის სახელი და გვარი);
- **მომხმარებლის სახელი** (პროგრამაში შესვლისათვის³ განკუთვნილი სახელი, რომელიც უნდა შედგებოდეს მინიმუმ 5 სიმბოლოსაგან);
- **პაროლი** (მინიმუმ 5 სიმბოლოსაგან უნდა შედგებოდეს);
- **პაროლი ხელმეორედ**;
- **დამცავი კოდი** (ნახატზე გამოსახული სიმბოლოები);

➤ **გავეცანი და ვეთანხმები*** სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენების პირობები

„სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენების პირობები“ ტექსტზე დაჭერით ეკრანზე გამოდის სისტემის გამოყენების პირობები. მომხმარებელი ვალდებულია გაეცნოს, მონიშნოს „გავეცანი პირობებს“ სამუშაო ველი და ღილაკზე „ვეთანხმები“ დაჭერით დაეთანხმოს გაცნობილ პირობებს. აღნიშნული პროცედურების გავლის გარეშე მომხმარებელი ვერ შეძლებს სისტემაში რეგისტრაციას.

პრეტენდენტთა საყურადღებო!

სატენდერო წინადადების დასის შეთავაზებისთვის განკუთვნილი დროის ბოლო 30 წამში გაკეთებული შეთავაზება (როგორც ძირითად დროში, ასევე დამატებით რაუნდებში) შესაძლოა არ აისახოს სისტემაში სერვერთან დასაკავშირებლად საჭირო დროის გათვალისწინებით.

ამგვარ შემთხვევებში, კონკრეტული და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო პასუხს არ აგებს გაკეთებული შეთავაზების სისტემაში ასახვებზე და აღნიშნული წარმოადგენს პრეტენდენტის რისკს!

გავეცანი პირობებს

³ **პროგრამაში შესვლა** - მოქმედება, რომელსაც სისტემის რეგისტრირებული მომხმარებელი ახორციელებს მისთვის განკუთვნილი მომხმარებლის სახელითა და პაროლით.



გახსოვდეთ

სისტემაში მომხმარებლად რეგისტრაციისას წითელი ასტერიკით აღნიშნული სამუშაო ველის შევსება არის სავალდებულო. თუ ამ ველებს არ შეავსებთ ან არასწორად შეავსებთ, (მაგალითად: სახელი ხელმეორედ, ელ-ფოსტა ხელმეორედ, დამცავი კოდი) ანდა არ გაეცნობით და არ დაეთანხმებით „სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენების პირობებს“, სისტემა არ მოახდენს თქვენს რეგისტრაციას.

ზემოთ მოცემული სავალდებულო სამუშაო ველების შევსების და „სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენების პირობებზე“ დათანხმების შემდეგ, ღილაკზე „რეგისტრაცია“ დაჭერით, სისტემის მიერ მოხდება მომხმარებლის მიმწოდებლად/შემსყიდველობაზე პრეტენდენტად რეგისტრაცია და ეკრანზე გამოვა ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი შეტყობინება.

მოთხოვნა მომხმარებლის (თქვენი მომხმარებლის სახელი) რეგისტრაციაზე მიღებულია.
აქტივაციის ბმულს მიიღებთ მისამართზე: (თქვენს მიერ მითითებული ელ-ფოსტა)

2.1. რეგისტრირებული მომხმარებლის გააქტიურება

რეგისტრაციის შემდეგ მომხმარებელმა უნდა გახსნას ელ-ფოსტით მიღებული შეტყობინება და დააჭიროს აქტივაციის ბმულს, მომხმარებლის გააქტიურების მიზნით. ბმულის გამოყენების გარეშე, მომხმარებელი სისტემაში შესვლას ვერ შეძლებს. აქტივაციის ბმულზე გადასვლა ხდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად.

აქტივაცია განხორციელდა. მუშაობის დასაწყებად გადადით [LOG-IN გვერდზე](#)

აქტივაციის შემდეგ მომხმარებელს შეუძლია შევიდეს სისტემაში და ისარგებლოს მომხმარებლის ტიპის შესაბამისი უფლებებით. შემსყიდველობაზე პრეტენდენტს აქვს სისტემაში შესვლის და ძეზნის განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ იგი არ სარგებლობს შემსყიდველის სრული უფლებებით (მაგ: არ აქვს შესაძლებლობა გამოაცხადოს ახალი შესყიდვა), ვიდრე სააგენტო შესაბამისი პროცედურების დაცვით არ მოახდენს მის შემსყიდველად დარეგისტრირებას.

შემსყიდველობაზე
პრეტენდენტთა
საყურადღებოდ!
დააჭირეთ აქ


პრეტენდენტი შემსყიდველობაზე აჭერს მარცხნივ განთავსებულ ღილაკს, რის შემდეგაც გადადის ახალ გვერდზე, სადაც განთავსებული არის განმარტება, თუ რა პროცედურები უნდა გაიაროს პრეტენდენტმა დამატებით, რომ მოხდეს სისტემაში მისი შემსყიდველად რეგისტრაცია. ამ გვერდზე ასევე არის განთავსებული ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ღილაკი და შემსყიდველობაზე პრეტენდენტის მიერ აღნიშნულ ღილაკზე დაჭერით ხდება ოფიციალურ მოთხოვნაზე დასართავი მონაცემების ბეჭდვა.

ოფიციალურ მოთხოვნაზე დასართავი მონაცემების ბეჭდვა



3. პაროლის აღდგენა

იმ შემთხვევაში თუ გასურთ თქვენი, როგორც სისტემის მომხმარებლის, პაროლი აღადგინოთ სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.procurement.gov.ge) დახმარებით, უნდა შეხვიდეთ სისტემაში. სისტემაში შესვლის შემდეგ, ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა, ღილაკით „პაროლის აღდგენა“.



ღილაკზე „პაროლის აღდგენა“ დაჭერით, ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად, ეკრანზე გამოჩნდება პაროლის აღდგენისათვის განკუთვნილი სამუშაო ველები, კერძოდ:

- მომხმარებლის სახელი (მომხმარებლის სახელი, რომელიც მიუთითებთ რეგისტრაციის დროს);
- მომხმარებლის ელ-ფოსტა;
- დამცავი კოდი.



მოცემული სამუშაო ველების შევსების შემდეგ, თქვენ უნდა დააჭიროთ ღილაკს „გაგზავნა“, რის შედეგად საშუალება გექნებათ მომხმარებლის ახალი პაროლის გამოყენებით (რომელიც გამოგეგზავნებათ ელ-ფოსტაზე), შეხვიდეთ სისტემაში.

3.1 პაროლის შეცვლა

ახალი პაროლის მიღების შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა სისტემის მიერ გამოგზავნილი პაროლი შეცვალოთ თქვენთვის სასურველი პაროლით. პაროლის შესაცვლელად, ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად, უნდა დააჭიროთ თქვენს მომხმარებლის სახელზე, რომელიც განთავსებულია ეკრანის ზედა მარჯვენა კუთხეში.



მიმნოდებელი: **სატესტო მიმნოდებელი # თეონა იმნაიშვილი** 11:47:47

★ რჩეული ტენდერები ⚠ გასაჩივრებული ტენდერები 📄 პროფილი 📄 CMR 📄 ePLAN ⏸ გამოსვლა

მომხმარებლის სახელზე დაჭერით, ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად, ეკრანზე გამოჩნდება პაროლის შეცვლისათვის განკუთვნილი სამუშაო ველები, კერძოდ:

- ძველი პაროლი;
- ახალი პაროლი;
- ახალი პაროლი ხელახლა .

პაროლის შეცვლა ✕

ყველა ველის შევსება აუცილებელია

ძველი პაროლი

ახალი პაროლი

ახალი პაროლი ხელახლა

ჩანერა დახურვა

ყველა საჭირო ველის შევსების შემდეგ, ღილაკზე „ჩანერა“ დაჭერით მოხდება პაროლის შეცვლა და ეკრანზე გამოვა ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი შეტყობინება. „დახურვა“ ღილაკზე დაჭერით თქვენ დაბრუნდებით სამუშაო ფანჯარაში.

პაროლის შეცვლა ✕

პაროლი შეიცვალა. ახალი პაროლით ისარგებლეთ შემდეგი ავტორიზაციის დროს.

დახურვა



4. მომხმარებლის პროფილი

4.1 შემსყიდველი ორგანიზაციის პროფილი

„პროფილი“ - აღნიშნულ ღილაკზე დაჭერით, ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად, ეკრანზე გამოჩნდება თქვენს შესახებ თქვენს მიერვე შეყვანილი ინფორმაცია (სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი და ა.შ.). ღილაკის „რედაქტირება“ გამოყენებით საშუალება გაქვთ თქვენს შესახებ ინფორმაცია ნებისმიერ დროს განაახლოთ.

გახსოვდეთ

მას შემდეგ, რაც სააგენტოს მიერ მოხდება „პრეტენდენტი შემსყიდველობაზე“ ორგანიზაციის შემსყიდველად რეგისტრაცია, ორგანიზაციის პროფილში, შემდეგი სამი ველის: „სამართლებივი ფორმა“, „ორგანიზაციის დასახელება“, „საიდენტიფიკაციო კოდი“ ცვლილება ხდება სააგენტოს მიერ, შემსყიდველის წერილობითი მომართვის საფუძველზე.

ღილაკზე „რედაქტირება“ დაჭერის შემდგომ, ეკრანზე გამოვა ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა შესაბამისი ველებით. თქვენთვის სასურველი ველის ცვლილების შემდეგ, ღილაკზე „ჩაწერა“ დაჭერით განახორციელებთ ცვლილებას ან ღილაკზე „გაუქმება“ დაჭერით გააუქმებთ ცვლილებას.



შემსყიდველის მიერ პროფილში ღილაკზე „საკონტაქტო პირები“ დაჭერით, ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა, სადაც იხილავთ ინფორმაციას შემსყიდველის საკონტაქტო პირის თაობაზე. ღილაკების „დამატება“, „რედაქტირება“, „წაშლა“ დახმარებით, თქვენ საშუალება გაქვთ დაამატოთ, განაახლოთ ან საჭიროების შემთხვევაში წაშალოთ ინფორმაცია საკონტაქტო პირის თაობაზე.

ღილაკზე „დამატება“ დაჭერის შედეგად, ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა, სადაც ყველა ველის შევსება აუცილებელია. ველების შევსების შემდეგ, ღილაკზე „ჩაწერა“ დაჭერით თქვენ მიუთითებთ თქვენი ორგანიზაციის საკონტაქტო პირს.



ლილაკზე „მომხმარებლები“ დაჭერით, ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად ეკრანზე გამოვა მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია - სახელი, გვარი და ელ-ფოსტა, კონკრეტული სტატუსის (აქტიური, გრანტორი) მითითებით.

პროფილი				
მთავარი	საკონტაქტო პირები	დოკუმენტაცია	კონსოლიდირებული ტენდერი	მომხმარებლები
				დამატება რედაქტირება
მომხმარებელი	ელ-ფოსტა	აქტიური	გრანტორი	
თონა იმნაიშვილი	teona@gmail.com	22.01.2013	✓	✓
ვახტანგ თანდილაშვილი	vakhtang@yahoo.com	თონა იმნაიშვილი 11.04.2013	✓	✗

შემსყიდველს საშუალება აქვს ღილაკების „რედაქტირება“ და „დამატება“ დახმარებით, განაახლოს ინფორმაცია კონკრეტული მომხმარებლის შესახებ ან, საჭიროების შემთხვევაში, ქვემოთ მოცემული თანმიმდევრობით დაამატოს სხვა პირი და განუსაზღვროს შესაბამისი სტატუსი. სისტემაში არსებული მომხმარებლის სახელისა და გვარის ჩანაცვლება ახალი მომხმარებლის სახელითა და გვარით დაუშვებელია. იმ მომხმარებელს, რომელსაც აღარ აქვს უფლება იმოქმედოს სისტემაში თქვენი ორგანიზაციის სახელით, პროფილში უნდა გამოურთოთ სტატუსი „აქტიური“. ახალი მომხმარებლის დამატების მიზნით, შემსყიდველმა უნდა დააჭიროს ღილაკს „დამატება“, რის შედეგად ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა შემდეგი სამუშაო ველებით:

- სახელი და გვარი;
- პირადი ნომერი;
- მისამართი;
- ტელეფონი;
- მომხმარებლის სახელი;
- ელ. ფოსტა;
- პაროლი;
- პაროლი (ხელმეორედ დაზუსტების მიზნით);
- აქტიური (მონიშვნიტი ველი) – შემსყიდველის მიერ აღნიშნული ველის მონიშვნიტით, პირს ენიჭება სისტემაში შესვლის და e-შესყიდვის ჩატარების უფლება;
- გრანტორი (მონიშვნიტი ველი) – შემსყიდველი აღნიშნული ველის მონიშვნიტით, პირს ხდის პრივილეგირებულ მომხმარებლად, რომელსაც e-შესყიდვის ჩატარებასთან ერთად ენიჭება პროფილის რედაქტირების, შესყიდვის გეგმებისა და ანგარიშების ატვირთვის უფლება. გრანტორს აქვს შესაძლებლობა თავად დაამატოს ახალი მომხმარებელი ან/და შეცვალოს არსებული მომხმარებლის სტატუსი.

ყურადღება

მომხმარებელი ვერ შევა სისტემაში სტატუსი „აქტიური“ არქონის შემთხვევაში.

სურათზე მოცემული სამუშაო ველების შევსების შემდეგ, იმისათვის რომ სისტემა შეინახოს შეყვანილი ინფორმაცია, უნდა დააჭიროთ ღილაკს „ჩაწერა“.

4.2. მიმწოდებლის პროფილი

„პროფილი“ - აღნიშნულ დილაკზე დაჭერით, ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად ეკრანზე გამოჩნდება თქვენს შესახებ თქვენს მიერვე სისტემაში შეყვანილი ინფორმაცია (სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი და ა.შ.). დილაკის „რედაქტირება“ გამოყენებით საშუალება გაქვთ თქვენს შესახებ ინფორმაცია ნებისმიერ დროს განაახლოთ.

მიმწოდებელი	ფიზიკური პირი (ფ/პ) სატესტო მიმწოდებელი
საიდენტიფიკაციო კოდი	01017054834
ქვეყანა	საქართველო
ქალაქი/დაბა/სოფელი	თბილისი
მისამართი	თბილისი
ტელეფონი	+99598324448
ფაქსი	+995
ელ-ფოსტა	ana.jujunashvili@yahoo.com
ვებ-გვერდი	http://

დილაკზე „რედაქტირება“ დაჭერის შემდეგ ეკრანზე გამოვა ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა შესაბამისი ველებით. თქვენთვის სასურველი ველის ცვლილების შემდეგ, დილაკზე „ჩაწერა“ დაჭერით, დააფიქსირებთ ცვლილებას ან დილაკზე „გაუქმება“ დაჭერით, გააუქმებთ ცვლილებას.



პროფილი

მთავარი | საკონტაქტო პირები | თემატიკა | მომხმარებლები

რედაქტირება

სამართლებრივი ფორმა: ფიზიკური პირი (ფ/პ)

მიმწოდებელი: სატესტო მიმწოდებელი

საიდენტიფიკაციო კოდი: 01017054834

ქვეყანა: საქართველო

ქალაქი/დაბა/სოფელი: თბილისი

მისამართი: თბილისი

ტელეფონი: +99598324448

ფაქსი: +995

ელ-ფოსტა: ana.jujunashvili@yahoo.com

ვებ-გვერდი: http://

ჩანერა | გაუქმება

გახსოვდეთ

მას შემდეგ, რაც მიმწოდებელი მიიღებს ელექტრონულ ვაჭრობაში მონაწილეობას (ან წარადგენს წინადადების უზრუნველყოფის გარანტიას), ორგანიზაციის პროფილში, შემდეგი სამი ველის: „სამართლებრივი ფორმა“, „ორგანიზაციის დასახელება“, „საიდენტიფიკაციო კოდი“ ცვლილება ხდება სააგენტოს მიერ, მიმწოდებელის წერილობითი მომართვის საფუძველზე.

მიმწოდებლის მიერ პროფილში ღილაკზე „საკონტაქტო პირები“ დაჭერით, ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა, სადაც მიმწოდებელს შესაძლებლობა აქვს მიუთითოს ინფორმაცია საკონტაქტო პირის შესახებ, ხოლო ღილაკების „დამატება“, „რედაქტირება“, „წაშლა“ დახმარებით მიმწოდებელს შეუძლია დაამატოს, განაახლოს, ან საჭიროების შემთხვევაში, წაშალოს საკონტაქტო პირზე ინფორმაცია.


პროფილი

მთავარი | საკონტაქტო პირები | თემატიკა | მომხმარებლები


დამატება | რედაქტირება | წაშლა

სახელი, გვარი | ტელეფონი | ელ-ფოსტა

ღილაკზე „თემატიკა“ დაჭერით, ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა, რომლის დახმარებითაც მიმწოდებელს შეუძლია წინასწარ მიუთითოს მისთვის სასურველი ერთი ან რამდენიმე შესყიდვის კატეგორია. მონიშნული კატეგორიის შესაბამისი შესყიდვების გამოცხადების შემთხვევაში, მიმწოდებელი შეტყობინების სახით მიიღებს ინფორმაციას მისთვის საინტერესო გამოცხადებული შესყიდვის თაობაზე.



ლილაკზე „მომხმარებლები“ დაჭერით, ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად ეკრანზე გამოვა მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია - სახელი, გვარი და ელ-ფოსტა კონკრეტული სტატუსის (აქტიური, გრანტორი) მითითებით.



მიმწოდებელს, სურვილის შემთხვევაში, საშუალება აქვს ღილაკების „რედაქტირება“ და „დამატება“ დახმარებით კონკრეტულ მომხმარებელზე განახლოს ინფორმაცია ან, საჭიროების შემთხვევაში, ქვემოთ მოცემული თანმიმდევრობით დაამატოს სხვა პირი და განუსაზღვროს მას სტატუსი. სისტემაში არსებული მომხმარებლის სახელისა და გვარის ჩანაცვლება ახალი მომხმარებლის სახელითა და გვარით დაუშვებელია. იმ მომხმარებელს, რომელსაც აღარ აქვს უფლება იმოქმედოს სისტემაში თქვენი ორგანიზაციის სახელით, პროფილში უნდა გამოურთოთ სტატუსი „აქტიური“. ახალი მომხმარებლის დამატების მიზნით, მიმწოდებელმა უნდა დააჭიროს ღილაკს „დამატება“, რის შედეგად ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა, შემდეგი სამუშაო ველებით:

- სახელი და გვარი;
- პირადი ნომერი;
- სახელი, გვარი;
- მისამართი;
- ტელეფონი;
- „მონიშნეთ შეტყობინებების მისაღებად“ - SMS სერვისის გააქტიურების მიზნით უნდა მონიშნოთ შესაბამისი ველი.
- მომხმარებლის სახელი;
- ელ. ფოსტის მისამართი;
- პაროლი;
- პაროლი (ხელმეორედ დაზუსტების მიზნით);



- **აქტიური** (მონიშვნიტი ველი) – მიმწოდებლის მიერ აღნიშნული ველის მონიშვნიტ ახალ მომხმარებელს ეძლევა სატენდერო და საკონკურსო წინადადების წარდგენის შესაძლებლობა;
- **გრანტორი** (მონიშვნიტი ველი) - აღნიშნული ველის მონიშვნიტ პირს ენიჭება პრივილეგიებული მომხმარებლის სტატუსი, რომელსაც დამატებით ენიჭება პროფილის რედაქტირების უფლება. გრანტორს აქვს შესაძლებლობა თავად დაამატოს ახალი მომხმარებელი ან/და შეცვალოს არსებული მომხმარებლის პროფილი.

ყურადღება

მომხმარებელი ვერ შევა სისტემაში სტატუსის „აქტიური“ არქონის შემთხვევაში.

სურათზე მოცემული სამუშაო ველების შევსების შემდეგ, იმისათვის, რომ სისტემამ შეინახოს შეყვანილი ინფორმაცია, უნდა დააჭიროთ ღილაკს „ჩაწერა“, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში – ღილაკს „გაუქმება“.

პროფილი

მთავარი | საკონტაქტო პირები | დოკუმენტაცია | კონსოლიდირებული ტენდერი | მომხმარებლები

პირადი ნომერი

სახელი, გვარი

მისამართი

ტელეფონი მონიშნეთ შეტყობინებების მისაღებად

მომხმარებლის სახელი

ელ-ფოსტა

პაროლი მოუთხოვეთ იმ შემთხვევაში თუ ცვლით მიმდინარე პაროლს

პაროლი ხელმეორედ

აქტიური

გრანტორი

ჩაწერა გაუქმება



5. შეტყობინებები

შეტყობინებები (12)

განცხადების ნომერი

„შეტყობინებები“ ღილაკზე დაჭერით შემსყიდველი ეკრანზე მიიღებს ქვემოთ მოყვანილი სურათის მსგავს შეტყობინებებს.

	16/05/2013 თქვენს მიერ გამოცხადებულ ტენდერზე დაისვა შეკითხვა
	16/05/2013 თქვენს მიერ გამოცხადებულ ტენდერზე დაისვა შეკითხვა
	03/01/2012 შემსყიდველ ორგანიზაციათა საყურადღებოდ!

მიმწოდებელი შეტყობინების სახით იღებს როგორც სიახლეებს სისტემის შესახებ, ისე ინფორმაციას მის მიერ პროფილის გვერდზე „თემატიკა“ ველში მითითებულ კატეგორიებზე გამოცხადებული შესყიდვების თაობაზე. ქვემოთ მოცემულ სურათზე გამოსახული არის შეტყობინებების გვერდი მიმწოდებლისთვის, სადაც ჩანს სააგენტოს მიერ დაგზავნილი სიახლეები და თემატიკის თაობაზე სისტემის მიერ დაგზავნილი შეტყობინება.

	21/06/2013 თქვენთვის საინტერესო ტენდერზე დასმულ შეკითხვას გაეცა პასუხი
	01.04.2011 11:28 თქვენთვის საინტერესო თემატიკაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი CPV: 03200000, 03300000, 03400000, 09200000, 14700000 ...
	01.04.2011 11:28 თქვენთვის საინტერესო თემატიკაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი CPV: 03100000 ...

ყვითლად მონიშნული კონვერტი ნიშნავს წაუკითხავს, ხოლო გახსნილი კონვერტი წაკითხულ შეტყობინებას. შეტყობინების ნახვის შემდგომ, ღილაკზე „წაშლა“ დაჭერით მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა წაშალოს შესაბამისი შეტყობინება.

შეტყობინება ✕

თქვენთვის საინტერესო თემატიკაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი

განცხადების ნომერი	SPA150000077
შემსყიდველი	შპს 123
შესყიდვის გამოცხადების თარიღი	20/05/2015
წინადადებების მიღება იწყება	24/06/2015
წინადადებების მიღება მთავრდება	29/06/2015
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	200`000.00 ლარი

✉ ნაშლა
📧 მონიშვნა ნაკითხულად
დახურვა

კონკრეტული გახსნილი შეტყობინების წაშლის გარდა, ასევე შესაძლებელია ყველა იმ შეტყობინების წაშლა, რომელიც გამოსახული არის გახსნილი კონვერტით (რაც წაკითხულ



შეტყობინებას ნიშნავს). ღილაკზე „წაკითხული შეტყობინებების წაშლა“ დაჭერით მომხმარებელი წაშლის ყველა იმ წაკითხულ შეტყობინებას რომლის ადრესატიც მისი ორგანიზაციაა.

წაკითხული შეტყობინებების წაშლა	
04/06/2013 12:28	თქვენთვის საინტერესო თემატიკაზე გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი CPV: 09200000
04/04/2013 12:28	თქვენთვის საინტერესო თემატიკაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი CPV: 03400000
01.04.2013 11:28	თქვენთვის საინტერესო თემატიკაზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი CPV: 03400000

5.1 SMS შეტყობინებები

სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებლები, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციები ასევე მიმწოდებლები, შიდა შეტყობინებასთან ერთად, სურვილის შემთხვევაში, დამატებით SMS-ის მეშვეობით იღებენ ინფორმაციას მათ შესყიდვებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. SMS შეტყობინების ფუნქციის ჩასართავად, უნდა დააჭიროთ ღილაკს „მომხმარებლები“ და შემდეგ ღილაკს „რედაქტირება“. ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად ეკრანზე გამოვა მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია. SMS სერვისის გააქტიურების მიზნით უნდა მონიშნოთ შესაბამისი ველი. მონიშვნის შემდეგ იმისათვის, რომ სისტემამ შეინახოს შეყვანილი ინფორმაცია, უნდა დააჭიროთ ღილაკს „ჩაწერა“. SMS შეტყობინებების სერვისის გამოყენება შესაძლებელია მაქსიმუმ სამი მომხმარებლისათვის.



6. ელექტრონული ტენდერი, გამარტივებული ელექტრონული ტენდერი და კონკურსი

სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, ელექტრონული ტენდერი, გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, კონკურსი, შესყიდვების ელექტრონული პროცედურა და კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების პროცედურა შეიძლება დაფიქსირდეს სამ ეტაპად: **პირველი ეტაპი** - შემსყიდველის მიერ ახალი e-შესყიდვის გამოცხადება, **მეორე ეტაპი** - მიმწოდებლის მიერ e-შესყიდვაში მონაწილეობა და **მესამე ეტაპი** - გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადება.

6.1 პირველი ეტაპი - შემსყიდველის მიერ e-შესყიდვის გამოცხადება

შემსყიდველი, როგორც სისტემის რეგისტრირებული მომხმარებელი, ახალი e-შესყიდვის გამოცხადების მიზნით უნდა შევიდეს სისტემაში მისი სახელითა და პაროლით. სისტემაში შესვლის შემდეგ გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი სამუშაო ფანჯარა შემდეგი ფუნქციური ბლოკებით:



- **მთავარი** - აღნიშნულ ბლოკზე დაჭერით თქვენ ნებისმიერ დროს დაბრუნდებით მთავარ გვერდზე (საწყის სამუშაო ფანჯარაზე);
- **შესყიდვები დღეს** - აღნიშნულ ბლოკზე დაჭერით თქვენ იხილავთ იმ შესყიდვების ჩამონათვალს, სადაც წინადადების მიღების ვადა მიმდინარე დღეს იწყება ან ამოიწურა;
- **მომხმარებლები** - აღნიშნულ ბლოკზე დაჭერით თქვენ საშუალება გაქვთ სისტემაში რეგისტრირებულ ნებისმიერ მომხმარებლებზე (შემსყიდველი, მიმწოდებელი, პრეტენდენტი შემსყიდველობაზე, შავ სიაში მყოფი სუბიექტები) მოიძიოთ ინფორმაცია;
- **ახალი შესყიდვა** - აღნიშნული ფუნქციური ბლოკის დახმარებით თქვენ საშუალება გაქვთ გამოაცხადოთ ელექტრონული ტენდერი, გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, კონკურსი, ან შექმნათ სატენდერო განცხადების პროექტი;
- **რჩეული შესყიდვები** - აღნიშნულ ბლოკზე დაჭერით ნახავთ თქვენს მიერ რჩეულებში მონიშნული შესყიდვების ჩამონათვალს;
- **ჩემი პროექტები** - აღნიშნულ ბლოკზე დაჭერით ნახავთ თქვენს მიერ მომზადებულ შესყიდვის განცხადებების პროექტების ჩამონათვალს;
- **პროფილი** - აღნიშნულ ბლოკზე დაჭერით, ეკრანზე გამოჩნდება თქვენს შესახებ სისტემაში თქვენს მიერვე შეყვანილი ინფორმაცია (სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი და ა.შ.). ბლოკის „რედაქტირება“ გამოყენებით საშუალება გაქვთ ნებისმიერ დროს განახლოთ თქვენს შესახებ ინფორმაცია.
- **CMR (ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ანგარიშები)** - აღნიშნულ ბლოკზე დაჭერით, ეკრანზე გამოჩნდება ფანჯარა, სადაც წარმოდგენილია შემსყიდველის მიერ წლის განმავლობაში დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ თითოეული ხელშეკრულება (გარდა ელექტრონული ტენდერის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, კონკურსის და შესყიდვის ელ. პროცედურისა).
- **ePLAN (ელექტრონული გეგმის მოდული)** - აღნიშნულ ბლოკზე დაჭერით, ეკრანზე გამოჩნდება წლიური გეგმა, რომელსაც შემსყიდველი წარადგენს სისტემის მეშვეობით კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში. შემსყიდველი უთითებს შესყიდვის კატეგორიას, შესყიდვის ვადებს, შესყიდვის საშუალებას, სავარაუდო ღირებულებას და ა.შ.




ყურადღება

პროფილში მოცემული ნებისმიერი მონაცემის ცვლილება დაუყოვნებლივ უნდა აისახოს სისტემაში.

- **გასვლა** - აღნიშნულ ღილაკზე დაჭერით თქვენ გამოხვალთ სისტემიდან. ყოველი სამუშაო სესიის დასრულებისას, სისტემაში თქვენი ორგანიზაციის შესახებ მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით, აუცილებელია დააჭიროთ ღილაკს „გასვლა“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესყიდვის გამოცხადების მიზნით, თქვენ უნდა გამოიყენოთ ღილაკი „ახალი შესყიდვა“, რომლის დაჭერის შედეგად ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი სამუშაო ფანჯარა.



თუ გსურთ რომ გამოაცხადოთ გამარტივებული ელექტრონული ან ელექტრონული ტენდერი, დააჭიროთ ღილაკზე „ტენდერი“ რის შემდგომაც ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი სამუშაო ფანჯარა.

ტენდერი

შესყიდვის ტიპი ელ. ტენდერი გამარტივებული ელ.ტენდერი

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი

შერჩევა

დამატებითი ინფორმაცია

შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა

მონოდების ვადა

წინადადებების წარმოდგენის ვადა

დაფინანსება

ვაჭრობა პრეისკურანტით

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ლარი


გარანტიის მოქმედების ვადა 160 დღე

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს

შეთავაზების ფასის კლების ბიჯი **შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 0.4% - 2%**



უპირველეს ყოვლისა, ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად, თქვენ უნდა მონიშნოთ შესყიდვის ტიპი - **ელექტრონული ტენდერი ან გამარტივებული ელექტრონული ტენდერი**



შესყიდვის ტიპის განსაზღვრის შემდეგ, თქვენ უნდა შეავსოთ სამუშაო ველები, რომელიც ელექტრონული ტენდერის და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში იდენტურია.

- **კლასიფიკატორის კოდები** ტექსტურ ველში თავად შეგიძლიათ მიუთითოთ კლასიფიკატორის კოდის სახელწოდება. არანაკლებ 3 ასობგერის ჩაწერის შემდეგ სისტემა მარჯვნივ მოცემული სურათის მსგავსად ავტომატურად მოგცემთ საშუალებას აირჩიოთ თქვენს მიერ ჩაწერილი ასობგერების შესაბამისი შესყიდვის ობიექტი. ღილაკზე „შერჩევა“ დაჭერით სისტემა ეკრანზე გაჩვენებთ კლასიფიკატორის კოდების იერარქიულ ჩამონათვალს, რომელთაგან აირჩევთ თქვენთვის სასურველს.

ყურადღება
ყველა e-შესყიდვის გამოცხადებისას, აუცილებელია შესაბამისი შესყიდვის ობიექტის ყველაზე დეტალური CPV კოდის არჩევა. თუ ეს შეუძლებელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნას არჩეული უფრო ზედა იერარქიული კატეგორია, ხოლო კონკრეტული შესყიდვის ობიექტის დასახელება უნდა მიეთითოს ველში „**დამატებითი ინფორმაცია**“.

- **დამატებითი ინფორმაცია;**
- **შესყიდვების რაოდენობა ან მოცულობა;**
- **მოწოდების ვადა;**
- **წინადადებების წარმოდგენის ვადა** (აღნიშნული სამუშაო ველი ავტომატურად თვლის წინადადების წარმოდგენის შესაძლო მინიმალურ ვადას იმის მიხედვით, თუ რომელი შესყიდვის ტიპი გაქვთ არჩეული - ელექტრონული ტენდერი თუ გამარტივებული ელექტრონული ტენდერი);
- **ვაჭრობა პრეისკურანტით;** ვაჭრობა პრეისკურანტით მონიშვნის შეთხვევაში, „შესყიდვის სავარაუდო ღირებულება“ შეიცვლება „პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება“ ველით და დამატებით გამოჩნდება კიდევ ერთი სავალდებულო ველი „შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულება“. აღნიშნული ველების სქრინშოტი განთავსებულია ქვემოთ მოცემულ სურათზე.



ვაჭრობა პრეისკურანტით

პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება ლარი

შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულება ლარი

- შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ლარებში (შესყიდვის ტიპში გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მონიშვნის შემდეგ, აღნიშნული სამუშაო ველის გასწვრივ სისტემა მიგითითებთ შესყიდვის ღირებულების მაქსიმალურ თანხას - **200 000 ლარამდე**);
- წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს - დღგ-ს გარეშე/დღგ-ს ჩათვლით;
- შეთავაზების ფასის კლების ბიჯი ლარებში (აღნიშნულ სამუშაო ველში ავტომატურად მიეთითება შესყიდვის სავარაუდო ღირებულების **0,4%-2%**. სწორედ სისტემის მიერ მითითებულ ზღვრებში უნდა აირჩიოთ თქვენთვის სასურველი შესყიდვის ფასის კლების ბიჯი).

ზემოთ მოცემული სამუშაო ველების შევსების შემდეგ, თუ გსურთ, რომ სისტემამ შეინახოს სატენდერო განცხადების შესახებ ინფორმაცია, უნდა დააჭიროთ ღილაკს „ჩაწერა“, წინააღმდეგ შემთხვევაში კი – ღილაკს „გაუქმება“.

ღილაკზე „ჩაწერა“ დაჭერით, ერთი მხრივ, სატენდერო განცხადების შესახებ ინფორმაცია ავტომატურად განთავსდება შესყიდვის განცხადებების პროექტების ჩამონათვალში ღილაკი „ჩემი პროექტები“ და, მეორე მხრივ, თქვენს სამუშაო ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა.

#	დოკუმენტაცია	შეთავაზებები	შედეგები	ხელშეკრულება
უკან	შესყიდვის ტიპი განცხადების ნომერი შესყიდვის სტატუსი შემსყიდველი შესყიდვის გამოცხადების თარიღი წინადადებების მიღება იწყება წინადადებების მიღება მთავრდება დაფინანსება	ელექტრონული ტენდერი N/A განცხადების პროექტი შემსყიდველი #A	☆ დაამატე რჩეულებში	20.06.2015 00:00 25.06.2015 17:30 2015 წლის სახსრები
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს		12`555.00 GEL	ხელშეკრულების უზრუნველყოფის საგარანტიო არ მოითხოვება დღგ-ს გარეშე	
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი				
• 09100000 - ხანვავი				
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი				
• 09100000 - ხანვავი				
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა მონოდების ვადა		მოცულობა 6 830 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით		
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი გარანტიის ოდენობა		65.00 GEL 126 GEL		
გარანტიის მოქმედების ვადა დამატებითი ინფორმაცია		160 დღე		
არანაკლებ Euro 4-ის სტანდარტის შესაბამისი დიზელი (PPIM 50-ზე ნაკლები) გატანა- ნავთობბაზიდან სითხის სახით				
რედაქტირება	რეგისტრაცია	ბეჭდვა	პროექტის ნაშლა	

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნებისმიერი ტიპის შესყიდვის გამოცხადების მიზნით, თქვენ უნდა გამოიყენოთ ღილაკი „ახალი შესყიდვა“, რომლის დაჭერის შედეგად ეკრანზე გამოჩნდება შესყიდვის ტიპების ჩამონათვალი და თუ გსურთ რომ გამოაცხადოთ კონკურსი დააჭიროთ ღილაკზე „კონკურსი“ რის შემდგომაც ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი სამუშაო ფანჯარა.



კონკურსი

შესყიდვის ტიპი კონკურსი

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი

დამატებითი ინფორმაცია

შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა

მონოდების ვადა

წინადადებების წარმოდგენის ვადა

დაფინანსება

პრიორიტეტი 25 75
ფასი < - | - > ხარისხი

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ლარი

გარანტიის მოქმედების ვადა 160 დღე

სატენდერო განცხადებისგან განსხვავებით საკონკურსო განცხადების სამუშაო ფორმა არ მოიცავს შემდგომ ველებს:

- **ვაჭრობა პრეისკურანტით**
- **წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს - დღე-ს გარეშე/დღე-ს ჩათვლით** (ტენდერისგან განსხვავებით კონკურსის შემთხვევაში წინადადება ყოველთვის დღე-ს გარეშე წარედგინება და შესაბამისად საკონკურსო განცხადების შექმნისთანავე ავტომატურად სისტემურად აისახება შესაბამისი ინფორმაცია)
- **შეთავაზების ფასის კლების ბიჯი** (ტენდერისგან განსხვავებით კონკურსში კლების ბიჯი არ არსებობს და საკონკურსო წინადადების წარდგენაც მხოლოდ ერთხელ ხდება, სადაც საკონკურსო წინადადების ფასი შესაძლებელია იყოს სავარაუდო ღირებულების ტოლო ან ნაკლები)

ქვემოთ მოცემულ სურათზე ნაჩვენებია მნიშვნელოვანი ველი, რომელიც გამოიყენება მხოლოდ საკონკურსო განცხადებაში და რომლის დანიშნულებაც განსაზღვროს ხარისხის ჯამური შეფასებისა და საკონკურსო წინადადების ფასის ხვედრით წონები (რომელთა ჯამი უნდა შეადგენდეს ერთ მთელს), ხოლო შემდგომში საკონკურსო წინადადების შეფასების დასრულების შემდგომ, მისი გამოყენებით სისტემა ავტომატურად მოახდენს საკონკურსო წინადადების ხარისხის ჯამური ქულის საკონკურსო წინადადების ფასთან აგრეგირებას.

(დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ მე-14 პარაგრაფი - საკონკურსო წინადადების შეფასებისა და გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენის ფორმულის გამოყენების გზამკვლევი) ხარისხის ჯამური შეფასების ხვედრითი წონა არ უნდა აღემატებოდეს 80%-ს და არ უნდა იყოს 70%-ზე ნაკლები. საკონკურსო განცხადების სამუშაო ფანჯრის გახსნისას, როგორც სურათზეა ნაჩვენები მისი ხვედრითი წონა ავტომატურად ფიქსირებულია 75% -ზე და მომხმარებელს აქვს საშუალება მოახდინოს ხარისხის ჯამური შეფასების ხვედრითი წონის გაზრდა ან შემცირება.

პრიორიტეტი 25 75
ფასი < - | - > ხარისხი



ყურადღება

ხარისხის ჯამური შეფასებისა და საკონკურსო წინადადების ფასის ხვედრით წონების ჯამი უნდა შეადგენდეს ერთ მთელს. ამასთან, ხარისხის ჯამური შეფასების ხვედრითი წონა არ უნდა აღემატებოდეს 80%-ს და არ უნდა იყოს 70%-ზე ნაკლები

ყველა სავალდებულო ველის შევსების შემდგომ, მსგავსად სატენდერო განცხადებისა მომხმარებელმა უნდა გამოიყენოს „ლილაკი ჩაწერა“, აღნიშნული განცხადება მიიღებს საკონკურსო განცხადების პროექტის სახეს და სამუშაო ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა.

The screenshot shows a web interface for a procurement project. At the top, there are tabs for '#', 'დოკუმენტაცია', 'შეთავაზებები', 'შეფასება', 'შედეგები', and 'ხელშეკრულება'. The main content area displays details for a project named 'კვან'. Key information includes: 'შესყიდვის ტიპი' (Procurement type) as 'კონკურსი' (Tender), 'განცხადების ნომერი' (Bid number) as 'N/A', and 'შესყიდვის სტატუსი' (Procurement status) as 'განცხადების პროექტი' (Bid project). The 'შემსყიდველი' (Bidder) is listed as 'შემსყიდველი #A'. The 'შესყიდვის გამოცხადების თარიღი' (Bid announcement date) is '12.06.2015 00:00', and the 'წინადადების მიღება იწყება' (Bid submission starts) is '17.06.2015 13:00'. The 'პრიორიტეტი (ხარისხი/ფასი)' (Priority (Quality/Price)) is '75 / 25'. The 'შესყიდვის სავარაუდო ღირებულება' (Estimated procurement value) is '14' 500.00 GEL'. Below this, there are two bullet points for CPV codes: '71200000 - არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები' (Architectural and related services) and '71200000 - არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები' (Architectural and related services). At the bottom, there are buttons for 'რედაქტირება' (Edit), 'რეგისტრაცია' (Registration), 'ბეჭდვა' (Print), and 'პროექტის ნაშლა' (Project template).

შესყიდვის ნებისმიერი ტიპის განცხადების პროექტს გააჩნია მნიშვნელოვანი იდენტური ფუნქციური ლილაკები. ლილაკების განლაგება და დასახელებები ასახულია ქვემოთ მოცემულ სურათზე.

This image shows a close-up of the navigation buttons from the screenshot: 'რედაქტირება' (Edit), 'რეგისტრაცია' (Registration), 'ბეჭდვა' (Print), and 'პროექტის ნაშლა' (Project template).

განვიხილოთ, თვითოეული ლილაკის მნიშვნელობა.

- **რედაქტირება** ლილაკის დახმარებით შესაძლებელია სასურველი ცვლილებების შეტანა განცხადების პროექტში;
- **რეგისტრაცია** ლილაკის დახმარებით შესაძლებელია თქვენთვის სასურველი განცხადების რეგისტრაცია;
- **ბეჭდვა** ლილაკის დაჭერით შესაძლებელია სასურველი განცხადების ამობეჭვდა;
- **პროექტის წაშლა** ლილაკის დახმარებით შესაძლებელია სისტემიდან განცხადების პროექტის წაშლა.



თუ გსურთ, რომ თქვენს მიერ შემუშავებულმა განცხადების პროექტმა მიიღოს სატენდერო ანდა საკონკურსო განცხადების სახე, თქვენ უნდა დააჭიროთ ღილაკს „დოკუმენტაცია“ და ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა

შემდეგ, ღილაკზე „Choose File“-ზე დაჭერით, სისტემა საშუალებას მოგცემთ თქვენს კომპიუტერში *PDF ფორმატში* შენახული სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაცია მონიშნოთ, მოკლედ მიუთითოთ სამუშაო ველში „აღწერა“, თუ რას ეხება ეს დოკუმენტი და, ბოლოს, ღილაკზე „მიმაგრება“ დაჭერით ატვირთოთ აღნიშნული დოკუმენტი სისტემაში.

ყურადღება

დოკუმენტი, რომელსაც სისტემაში ატვირთავთ, უნდა იყოს *PDF ფორმატში*, რომლის მაქსიმალური ზომა არ უნდა აღემატებოდეს 8 მეგაბაიტს. მომხმარებლებს ასევე გამონაკლისის სახით, საშუალება აქვთ ატვირთონ დოკუმენტები Excel ფორმატში მხოლოდ 45100000, 45200000, 45300000, 45400000, 45500000 CPV კოდზე გამოცხადებულ ტენდერებში ან კონკურსებში შერჩევა/შეფასების მიმდინარეობისას.

ატვირთული დოკუმენტის წაშლა შესაძლებელია მხოლოდ განცხადების რეგისტრაციამდე, შემდეგ კი შესაძლებელია დოკუმენტის მხოლოდ გაუქმება (ღილაკის „გაუქმება“ დახმარებით) და ახალი ფაილის ატვირთვა. გაუქმების შედეგად დოკუმენტი გადაიხაზება, რაც ნიშნავს რომ ის არ არის აქტიური (ძალაში მყოფი), თუმცა მისი ნახვა შესაძლებელია.

ზემოაღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ, თქვენ უნდა დაბრუნდეთ სატენდერო/საკონკურსო განცხადების ველში და დააჭიროთ ღილაკს „რეგისტრაცია“, რის შედეგად სატენდერო/საკონკურსო განცხადებას სისტემის მიერ მიენიჭება უნიკალური ნომერი, სტატუსი „გამოცხადებულია“ და ყველა დაინტერესებულ პირს ექნება შესაძლებლობა ნახოს სატენდერო/საკონკურსო განცხადება და შესაბამისი წესის დაცვით წარადგინოს საკუთარი წინადადებები.

გახსოვდეთ

თქვენს მიერ გამოცხადებული შესყიდვის შეწყვეტა შეგიძლიათ ნებისმიერ დროს გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესყიდვის სტატუსია „ხელშეკრულება დადებულია“.

სტატუსის „გამოცხადებულია“ შემთხვევაში, შემსყიდველს აქვს სატენდერო/საკონკურსო განცხადების რედაქტირების უფლება. განცხადების პროექტისგან განსხვავებით, როდესაც შემსყიდველს შეეძლო დოკუმენტის წაშლა, რეგისტრირებულ განცხადების შემთხვევაში მას აქვს მხოლოდ დოკუმენტის გაუქმების და ახალი დოკუმენტის ატვირთვის უფლება.



დოკუმენტაცია შეთავაზებები შედეგები ხელშეკრულება

უკან დოკუმენტაცია

#	მიმაგრებული ფაილები	თარიღი/ავტორი
1.	_ დოკუმენტაცია.pdf	04.09.2014 15:07 გოგია მჭედლოშვილი

ახალი დოკუმენტის მიმაგრება (PDF ფაილი. მაქსიმალური ზომა 8 მეგაბაიტი)

ფაილი No file selected.

აღწერა

დოკუმენტის გაუქმება

დოკუმენტის გაუქმების შემდეგ, შემსყიდველი ირჩევს ახალ ფაილს და ღილაკზე „მიმაგრება“ დაჭერით ახდენს ახალი დოკუმენტის ატვირთვას. ღილაკზე დაჭერის შემთხვევაში მოხდება დოკუმენტის გაუქმება.

გაუქმებული დოკუმენტი ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისთვის და მისი გახსნა-წაკითხვა შესაძლებელია, მსგავსად აქტიური დოკუმენტისა. გაუქმებული დოკუმენტის შემთხვევა გამოსახულია ქვემოთ მოცემულ სურათზე.

დოკუმენტაცია შეთავაზებები შედეგები ხელშეკრულება

უკან სატენდერო დოკუმენტაცია

#	მიმაგრებული ფაილები	თარიღი/ავტორი
1.	სატენდერო დოკუმენტაცია _სატენდერო დოკუმენტაცია.pdf	20.05.2015 13:21 გოგია მჭედლოშვილი
2.	სატენდერო დოკუმენტაცია _სატენდერო დოკუმენტაცია 1.pdf	20.05.2015 20:05 გოგია მჭედლოშვილი

ახალი დოკუმენტის მიმაგრება (PDF ფაილი. მაქსიმალური ზომა 8 მეგაბაიტი)

ფაილი No file selected.

აღწერა

ახალი დოკუმენტი

დოკუმენტაციის გვერდზე, მომხმარებელს ასევე შესაძლებლობა აქვს, საჭიროების შემთხვევაში სისტემაში ატვირთოს „გამონაკლისის დამადასტურებელი დოკუმენტი“ და განახორციელოს ქმედებები, რომელიც აღნიშნული დოკუმენტის ატვირთვის გარეშე შეზღუდული იქნებოდა სისტემურად. მაგალითად, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის სავარაუდო ღირებულების მაქსიმალური თანხა - **200 000 ლარამდეა**, შემსყიდველს აქვს უფლება გამოაცხადოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერი მონეტარული ზღვრიდან გამონაკლისის სახით, თუ მას აქვს მთავრობის მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვა. მონეტარული ზღვრის დარღვევის მიზნით შემსყიდველი სატენდერო დოკუმენტაციის გვერდზე ტვირთავს ასეთი უფლების აღმჭურველ დოკუმენტს (სამართლებრივ აქტს), რის შემდგომ მას აქვს შესაძლებლობა განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის რეგისტრაცია, რომლის სავარაუდო ღირებულებაც **200 000 ლარი** ან მეტი იქნება. გამონაკლისის დამადასტურებელი დოკუმენტის მიზმის მაგალითი მოყვანილია ქვემოთ მოცემულ სურათზე.



გამონაკლისის დამადასტურებელი დოკუმენტი
დოკუმენტაცია მიმაგრებული არ არის

ახალი დოკუმენტის მიმაგრება (PDF ფაილი, მაქსიმალური ზომა 8 მეგაბაიტი)

აღწერა

ფაილი No file chosen

აღწერა

გახსოვდეთ

შესყიდვის განცხადების რეგისტრაციის შემდეგ, მისი რედაქტირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი სტატუსია „გამოცხადებულია“. რედაქტირებას ექვემდებარება განცხადების ყველა ველი, გარდა შესყიდვის ტიპის, პრეისკურანტის ტიპის და შესყიდვის ობიექტებისა. მას შემდეგ, რაც განცხადება მიიღებს სტატუსს „წინადადების მიღება დაწყებულია“, მისი რედაქტირება შეუძლებელია.

ქვემოთ მოცემულ სურათზე მოყვანილია რეგისტრირებული სატენდერო განცხადების შემთხვევა.

#SPA150015434	დოკუმენტაცია	შეთავაზებები	შედეგები	ხელშეკრულება
<p>შესყიდვის ტიპი ერთეობაშიანი გამართივებული ელექტრონული ტენდერი</p> <p>განცხადების ნომერი SPA150015434</p> <p>შესყიდვის სტატუსი ტენდერი გამოცხადებულია</p> <p>შემსყიდველი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა</p> <p>შესყიდვის გამოცხადების თარიღი 29.05.2015 23:28</p> <p>წინადადებების მიღება იწყება 03.06.2015 00:00</p> <p>წინადადებების მიღება მთავრდება 05.06.2015 12:00</p> <p>შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 2015 წლის სახსრები</p> <p>წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს 64' 987.00 GEL ხელშეკრულების უზრუნველყოფის საგარანტიო არ მოითხოვ</p> <p>კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი დღგ-ს გათვალისწინებით</p> <ul style="list-style-type: none"> 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები <p>კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი დამატებითი ინფორმაცია</p> <p>სოფ. ხოტევეში სახიდე გადასასვლელების რეაბილიტაციის სამუშაოები</p> <p>შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად</p> <p>მონოდების ვადა 60 დღე ხელშეკრულების გაფორმებიდან</p> <p>შეთავაზების ფასის კლების ბიჯი 300.00 GEL</p> <p>გარანტიის ოდენობა 650 GEL</p> <p>გარანტიის მოქმედების ვადა 120 დღე</p> <p><input type="button" value="გაუგზავნე შეფობარს"/></p> <p>შესყიდვის ბმული: https://tenders.procurement.gov.ge/go=151490&lang=ge</p>				



★ **დაამატე რჩევლებში** ღილაკზე დაჭერით შესყიდვის განცხადებას დაამატებთ თქვენი რჩეული შესყიდვების სიაში.

რეგისტრირებულ განცხადებას, განცხადების პროექტის მსგავსად გააჩნია ფუნქციური ღილაკები, რომელთა განლაგება და დანიშნულება განსაზღვრულია სისტემაში ავტორიზებული მომხმარებლის სტატუსზე. ღილაკების განლაგება და დასახელებები ასახულია ქვემოთ მოცემულ სურათზე.




განვიხილოთ, თვითოეული ღილაკის მნიშვნელობა.

- **განცხადების ისტორია** ჩანს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც განცხადებაში მოხდება ცვლილება და აღნიშნულ ღილაკზე დაჭერით ეკრანზე გამოვა დეტალური ინფორმაცია შეცვლილი ველების შესახებ;
- **ბეჭდვა** დაჭერით თქვენ გაქვთ შესაძლებლობა ამობეჭდოთ შესაბამისი განცხადება;
- **ქრონოლოგია** დაჭერით თქვენ იხილავთ შესყიდვის გამოცხადებიდან მისი მიმდინარეობის სტატუსის თითოეული ცვლილების თარიღს;
- **საჩივრები** დაჭერით თქვენ იხილავთ საჩივრებს, რომლებიც წარდგენილია კონკრეტულ შესყიდვაზე.

6.1.1 შესყიდვის შეწყვეტა

თუ თქვენ გსურთ შესყიდვის შეწყვეტა, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეხვიდეთ თქვენს მიერ გამოცხადებულ კონკრეტულ e-შესყიდვაში და დააჭიროთ ღილაკს „შედეგები“. ღილაკზე დაჭერის შედეგად ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა.



ღილაკზე „შესყიდვის შეწყვეტა“ დაჭერით ეკრანზე გამოვა ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა. აღნიშნული გაძლევთ შესაძლებლობას ატვირთოთ შეწყვეტის შესახებ ოქმი, რომლის ატვირთვის გარეშეც თქვენ ვერ შეძლებთ შესყიდვისთვის სტატუსის „შეწყვეტილია“ მინიჭებას.







შესყიდვის შეწყვეტის შესახებ ოქმის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ მხოლოდ აღნიშნული დოკუმენტის ჩანაცვლების (მისი შეცდომით ატვირთვის შემთხვევაში) და შესყიდვისთვის სტატუსის „შესყიდვა შეწყვეტილია“ მინიჭების შესაძლებლობა.

გახსოვდეთ

შესყიდვის შეწყვეტის შესახებ ოქმის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ მხოლოდ შესყიდვისთვის სტატუსის „შეწყვეტილია“ მინიჭების შესაძლებლობა. აღნიშნული დოკუმენტის არასწორად ატვირთვის შემთხვევაში, სააგენტო პასუხს არ აგებს შედეგებზე და მომხმარებლის უყურადღებობით გამოწვეული ნებისმიერი სახის შეცდომა მთლიანად მომხმარებლის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.



აღნიშნული ოქმის ატვირთვის შემდეგ გამოჩნდება ღილაკი **შესყიდვის შეწყვეტა** რომელზე დაჭერის შედეგად სისტემის მიერ ავტომატურად ხდება შესყიდვისთვის საბოლოო სტატუსის „შეწყვეტილია“ მინიჭება და აღნიშნული სტატუსის მქონე შესყიდვა მიიღებს ქვემოთ მოცემული სურათის მსგავს სახეს.



6.2 მიმწოდებლის მონაწილეობა ტენდერში/კონკურსში

მიმწოდებელი, როგორც სისტემის რეგისტრირებული მომხმარებელი e-შესყიდვაში მონაწილეობის მიღების მიზნით უნდა შევიდეს სისტემაში საკუთარი მომხმარებლის სახელითა და პაროლით. სისტემაში შესვლის შემდეგ, გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი სამუშაო ფანჯარა შემდეგი ფუნქციური ღილაკებით:



- **მთავარი** - აღნიშნულ ღილაკზე დაჭერით თქვენ ნებისმიერ დროს დაბრუნდებით მთავარ გვერდზე (საწყის სამუშაო ფანჯარაზე);
- **შესყიდვები დღეს** - აღნიშნულ ღილაკზე დაჭერით თქვენ იხილავთ იმ შესყიდვების ჩამონათვალს, სადაც წინადადების მიღების ვადა მიმდინარე დღეს იჭურება ან ამოიწურა;



- **მომხმარებლები** - აღნიშნულ დილაკზე დაჭერით თქვენ საშუალება გაქვთ სისტემაში რეგისტრირებულ ნებისმიერ მომხმარებელზე (შემსყიდველი, მიმწოდებელი, პრეტენდენტები შემსყიდველობაზე, შავ სიაში მყოფი სუბიექტები) მოიძიოთ ინფორმაცია;
- **რჩეული შესყიდვები** - აღნიშნულ დილაკზე დაჭერით ნახავთ იმ შემსყიდვების ჩამონათვალს, რომლებიც მონიშნეთ რჩეულ შესყიდვად;
- **გასაჩივრებული შესყიდვები** - აღნიშნულ დილაკზე დაჭერით თქვენ შეგიძლიათ ნახოთ თქვენს მიერ გასაჩივრებული შესყიდვები;
- **პროფილი** - აღნიშნულ დილაკზე დაჭერით, ეკრანზე გამოჩნდება თქვენს შესახებ სისტემაში თქვენს მიერვე შეყვანილი ინფორმაცია (სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი და ა.შ.). დილაკის „რედაქტირება“ გამოყენებით საშუალება გაქვთ ნებისმიერ დროს განაახლოთ თქვენს შესახებ ინფორმაცია;
- **CMR (ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ანგარიშები)** - აღნიშნულ დილაკზე დაჭერით, ეკრანზე გამოჩნდება ფანჯარა, სადაც წარმოდგენილია შემსყიდველის მიერ წლის განმავლობაში დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ თითოეული ხელშეკრულება (გარდა ელექტრონული ტენდერის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის კონკურსის და შესყიდვის ელ. პროცედურისა);
- **ePLAN (ელექტრონული გეგმის მოდული)** - აღნიშნულ დილაკზე დაჭერით, ეკრანზე გამოჩნდება წლიური გეგმა, რომელსაც შემსყიდველი წარადგენს სისტემის მეშვეობით კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში. შემსყიდველი უთითებს შესყიდვის კატეგორიას, შესყიდვის ვადებს, შესყიდვის საშუალებას, სავარაუდო ღირებულებას და ა.შ.

ყურადღება

პროფილში მოცემული ნებისმიერი მონაცემის ცვლილება დაუყოვნებლივ უნდა აისახოს სისტემაში.

- **გასვლა** - აღნიშნულ დილაკზე დაჭერით თქვენ გამოხვალთ სისტემიდან. ყოველი სამუშაო სესიის დასრულებისას, სისტემაში თქვენი ორგანიზაციის შესახებ მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით, აუცილებელია დააჭიროთ დილაკს „გასვლა“.

e-შესყიდვაში მონაწილეობის მიღების მიზნით, თქვენ როგორც მიმწოდებელმა, სისტემაში უნდა მოძებნოთ თქვენთვის მისაღები სატენდერო თუ საკონკურსო განცხადება. კონკრეტული განცხადების არჩევის შემდეგ, ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა.



#SPA150015434	დოკუმენტაცია	შეთავაზებები	შედევები	ხელშეკრულება
---------------	--------------	--------------	----------	--------------

უკან შესყიდვის ტიპი ვრთებაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი
 განცხადების ნომერი SPA150015434 ★ დაამატე რჩეულებში
 შესყიდვის სტატუსი ტენდერი გამოცხადებულია
 შემსყიდველი აბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა
 შესყიდვის გამოცხადების თარიღი 29.05.2015 23:28
 ნინადადების მიღება იწყება 03.06.2015 00:00
 ნინადადების მიღება მთავრდება 05.06.2015 12:00
 დაფინანსება 2015 წლის სახსრები
 შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 64`987.00 GEL ხელშეკრულების უზრუნველყოფის საგარანტიო არ მოითხოვ
 ნინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გათვალისწინებით
 კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი
 • 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
 კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი
 • 45221100 - სამშენებლო სამუშაოები ხიდებისთვის
 დამატებითი ინფორმაცია
 სოფ. ხოტევში სახიფათო გადასასვლელების რეაბილიტაციის სამუშაოები
 შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად
 მონოდების ვადა 60 დღე ხელშეკრულების გაფორმებიდან
 შეთავაზების ფასის კლების ბიჯი 300.00 GEL
 გარანტიის ოდენობა 650 GEL
 გარანტიის მოქმედების ვადა 120 დღე

შესყიდვის ბმული: <https://tenders.procurement.gov.ge/go=151490&lang=ge>

განცხადების ისტორია ბეჭდვა ქრონოლოგია საჩივრები გაუგზავნე შეგობარს

★ დაამატე რჩეულებში ღილაკზე დაჭერით განცხადებას დაამატებთ თქვენი რჩეული შესყიდვების სიაში.

შესყიდვის განცხადების ქვედა მხარეს არსებული ფუნქციური ღილაკების განლაგება და ფუნქციები მიმწოდებლის სტატუსით შესული მომხმარებლისთვის რიგ შემთხვევებში განსხვავებულია. ქვემოთ მოცემულ სურათზე ასახულია ღილაკების განლაგების მაგალითი როდესაც ყველა შესაძლო ღილაკი უჩანს მიმწოდებლის პრივილეგიით ავტორიზებული მომხმარებელს.

განცხადების ისტორია ბეჭდვა ქრონოლოგია საჩივრები გასაჩივრება

განვიხილოთ თვითოეული მათგანი

- **განცხადების ისტორია** - დაჭერით თქვენ ეკრანზე იხილავთ კონკრეტული განცხადების ისტორიას, კერძოდ თუ ვის მიერ და როდის იქნა რედაქტირებული განცხადება, ასევე იხილავთ დეტალურ ინფორმაციას შეცვლილი ველების შესახებ;
- **ბეჭდვა** - საშუალებას გაძლევთ ამობეჭდოთ შესაბამისი განცხადება;
- **ქრონოლოგია** - დაჭერით თქვენ იხილავთ შესყიდვის გამოცხადებიდან მისი მიმდინარეობის სტატუსის ყოველი ცვლილების თარიღს;
- **საჩივრები** - დაჭერით თქვენ იხილავთ, საჩივრებს რომლებიც წარდგენილია ამ შესყიდვაზე;
- **გასაჩივრება** - დაჭერით საშუალება გეძლევთ გაასაჩივროთ კონკრეტული შესყიდვა.

დოკუმენტაციის გაცნობის მიზნით, თქვენ ამავე განცხადებაში უნდა დააჭიროთ ღილაკს „დოკუმენტაცია“, რის შედეგად ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა.



#SPA150000079	დოკუმენტაცია	შეთავაზებები	შედეგები	ხელშეკრულება
<div style="display: flex; justify-content: space-between;"> ← უკან </div> <div style="display: flex; justify-content: space-between;"> <div style="border: 1px solid #ccc; padding: 5px;"> <p>მიმაგრებული ფაილები</p> <div style="display: flex; align-items: center;"> .დოკუმენტაცია fleshkebi.pdf </div> </div> <div style="border: 1px solid #ccc; padding: 5px;"> <p>თარიღი/ავტორი</p> <p style="text-align: right;">29.05.2015 22:34 გოგითა მჭედლიშვილი</p> </div> </div>				

მიმაგრებულ ფაილში შესაბამისი დოკუმენტზე დაკლიკვით გაიხსნება (PDF,XLS/XLSX ფორმატში,) სისტემაში შენახული დოკუმენტაცია.

დოკუმენტების მოდულთან ერთად ასევე განთავსებულია შემსყიდველთან კომუნიკაციის (კითხვა/პასუხის) მოდული, სადაც ახალი კითხვა ღილაკზე დაჭერით თქვენ შეგიძლიათ დაუსვათ კითხვა შემსყიდველ ორგანიზაციას სატენდერო პირობების ან სხვა დეტალების დაზუსტების მიზნით. ასევე თქვენ შეგიძლიათ იხილოთ სხვა მომხმარებლების მიერ დასმული შეკითხვები და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მათზე გაცემული პასუხები.

22.12.2014 18:47 იუკითი :: * * *
მოგესალმებით. ↕ გამოხმაურება (1)

სატენდერო დოკუმენტაციაში მოთხოვნილია განსხვავებული მახასიათებლების ორი ალტერნატიული კომპიუტერი. გთხოვთ განვიმარტოთ, შესაძლებელია თუ არა ერთი ფასით ორივე მოდელის შემოთავაზება?

22.12.2014 19:41 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო :: * * *
იხელმძღვანელოთ სატენდერო დოკუმენტაციის დანართიმ მე-3 პუნქტით

კონკრეტულ შესყიდვაში შეთავაზების წარდგენის მიზნით, შესაბამისი შესყიდვის განცხადების ძირითად ფანჯარაში უნდა დააჭიროთ ღილაკს „შეთავაზებები“, რის შედეგად ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა აფიდავიტის⁴ ტექსტით.

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განხილვის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

- * ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
- * უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
- * ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
- * ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;
- * მატერიალური გამოჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
 - სატენდერო წინადადების ფასი;
 - სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
 - სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
 - ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
 - შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოკლულობა, ტექნიკური პირობები ან მინოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;
- * სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯარობის მომენტამდე.

ვაგვეანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

შინაშენა

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზებისთვის, აფიდავიტი ხარშოდგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსახილვის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.

⁴აფიდავიტი – წერილობითი დოკუმენტი, რომლის ხელმოწერი ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობისთვის.



აფიდავიტის ტექსტის გაცნობის შემდეგ, ზემოთ მოცემული სურათის მსგავსად, მონიშვნით აფიქსირებთ თქვენს მიერ შესყიდვაში მონაწილეობისას წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას და თანხმობას ადასტურებთ ღილაკის „თანხმობა“ დაჭერით. მას შემდეგ, რაც თქვენ აფიდავიტის ტექსტზე თანხმობას განაცხადებთ, სისტემა საშუალებას გაძლევთ წარადგინოთ წინადადების უზრუნველყოფის გარანტია ორი შესაძლო მეთოდიდან ერთ-ერთის გამოყენებით.

6.2.1 გარანტია


პირველი მეთოდი: თანხის გადარიცხვა

თუ გსურთ, რომ წინადადების უზრუნველყოფის მიზნით თქვენი საბანკო პლასტიკური ბარათის მეშვეობით, დროებით განათავსოთ თანხა ანგარიშზე, მაშინ ბანკების ჩამოშლადი ველიდან ირჩევთ ამ ველში არსებულ ერთ-ერთ ბანკს.


ყურადღება

ვებ-გადახდა შესაძლებელია ნებისმიერი ბანკის მიერ გაცემული პლასტიკური ბარათით, რომელსაც მისი გამცემის მიერ მინიჭებული აქვს ვებ-გადახდის ფუნქცია.

„თანხის გადარიცხვა“ ღილაკზე დაჭერით გადახვალთ ბანკის ვებ-გადახდების გვერდზე.



ბანკის გადახდების გვერდზე გადასვლის შემდეგ, ეკრანზე გამოჩნდება შესაბამისი ფორმა, რომელიც განთავსებულია ქვემოთ მოცემულ სურათზე.





სააგენტოს ანგარიშზე საგარანტიო თანხის დროებითი განთავსების ოპერაციის განხორციელების მიზნით, შეგყავთ ბარათის 16 ნიშნა კოდი (ინტერვალის და ტირეს გარეშე), უთითებთ ბარათის მოქმედების ვადას, რომელიც დატანილია ბარათის წინა მხარეს და ბოლოს შეგყავთ CVC2 სამნიშნა უსაფრთხოების კოდი, რომელიც დატანილია ბარათის უკანა მხარეს. სავალდებულო ველების შევსების შემდეგ, უნდა დააჭიროთ ლილავს „შემდეგ>>>“ და ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული ფანჯარა.

ობიექტი	S.P.A.
მისამართი	Tbilisi
შევეთის ნომერი	1017846
ბანკის საკომისიო	4.0 GEL
სულ გადასახდელი თანხა	200.0 GEL
ბარათის ნომერი *	4787630001834584
მოქმედების ვადა **	07/2014
CVC2 *	195

<<< დაბრუნება გადახდა >>>

Verified by VISA MasterCard SecureCode

ლილავზე „გადახდა>>>“ დაჭერით ბანკი ავტომატურად ჩამოჭრის თანხას თქვენი ბარათიდან და დროებით განათავსებს სააგენტოს ანგარიშზე. ეს თანხა ავტომატურად დაბრუნდება თქვენს ანგარიშზე (თუ არ არსებობს გარანტიის შესრულების სამართლებრივი საფუძველი) მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესყიდვას მიენიჭება საბოლოო სტატუსი („არ შედგა“, „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“, „შეწყვეტილია“ „ხელშეკრულება დადებულია“).

ოპერაციის წარმატებით დასრულების თაობაზე შესაბამისი შეტყობინების და სისტემაში დაბრუნების მაგალითი მოცემულია ქვემოთ განთავსებულ სურათზე.

გადახდა განხორციელდა წარმატებით...

ოპერაციის დეტალები:

ობიექტი	S.P.A.
მისამართი	Tbilisi
შევეთის ნომერი	1017846
ტრანზაქციის თარიღი	Mon Apr 22 2013 17:57:54 GMT+0400 (Georgian Standard Time)
ბარათის ნომერი *	478763*****84
მოქმედების ვადა **	1407
საგადახდო სისტემა	Visa International

დაბრუნდით ვებგვერდზე...

Verified by VISA MasterCard SecureCode



მეორე მეთოდი: ელექტრონული გარანტიის წარდგენა

თუ გსურთ, რომ წინადადების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენოთ ელექტრონული გარანტია, ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად ღილაკზე „გარანტიის წარდგენა“ დაჭერით გადახვალთ ელექტრონული გარანტიების აქტივაციის გვერდზე.

ელექტრონული გარანტიების აქტივაციის გვერდზე გადამისამართების შემდეგ, ეკრანზე გამოჩნდება ელექტრონული გარანტიის აქტივაციის ფორმა, რომელიც განთავსებულია ქვემოთ მოცემულ სურათზე.

პირველ ველში შეგყავთ გარანტიის „G11****124” ნომერი, ხოლო მეორე ველში „PIN კოდი”, რომელსაც მიიღებთ გარანტიის გამცემისგან. ამის შემდეგ ღილაკზე „გარანტიის აქტივაცია” დაჭერით ხდება თქვენი გარანტიის აქტივაცია. გარანტიის აქტივაციის წარმატებით განხორციელების შემდეგ, ღილაკის „დაბრუნება” მეშვეობით ბრუნდებით სისტემაში.



ყურადღება

წინადადების უზრუნველყოფის გარანტია უქმდება მხოლოდ მას შემდეგ რაც შესყიდვა მიიღებს საბოლოო სტატუსს („არ შედგა“, „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“, „შეწყვეტილია“, „ხელშეკრულება დადებულია“) და არსებობს გარანტიის გაუქმების სამართლებრივი საფუძველი. გარანტია ასევე უქმდება მისი ვადის გასვლის შემთხვევაში.

6.2.2 წინადადების საფასური

წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენის შემდეგ, უნდა გადაიხადოთ „წინადადების წარდგენის საფასური“, საბანკო პლასტიკური ბარათის მეშვეობით. ამისათვის ბანკების ჩამოშლადი ველიდან ირჩევთ ამ ველში არსებულ ერთ-ერთ ბანკს.

ყურადღება

ვებ-გადახდა შესაძლებელია ნებისმიერი ბანკის მიერ გაცემული პლასტიკური ბარათით, რომელსაც მისი გამცემის მიერ მინიჭებული აქვს ვებ-გადახდის ფუნქცია.

„თანხის გადარიცხვა“ დაჭერით გადახვალთ ბანკის ვებ-გადახდების გვერდზე.

წინადადების წარდგენისთვის გადაიხადეთ საფასური!

წინადადების წარდგენის საფასურის გადახდა (50 ლარი)

ბანკი ★ გადახდა

ბანკის ვებ-გადახდების გვერდზე გადასვლის შემდეგ, ეკრანზე გამოჩნდება გადახდების შესაბამისი ფორმა, რომელიც განთავსებულია ქვემოთ მოცემულ სურათზე.

VISA **MasterCard**
 ობიექტი: S.P.A.
 მისამართი: Tbilisi
 შეკვეთის ნომერი: 1017845
 ბარათის ნომერი *
 მოქმედების ვადა ** 01 2013
 CVC2 [?]
შემდეგ >>>

Verified by VISA **MasterCard SecureCode**

* შეიყვანეთ ბარათის ნომერი ინტერგალის და ტირეს გარეშე, მაგალითად (2658491568749211)
 ** CVC2 (ბარათის ვერიფიკაციის კოდი) 3 ნიშნა უსაფრთხოების კოდი, რომელიც დატანილია ბარათის უკანა მხარეს, ბარათის ნომრის შემდეგ
 *** მოქმედების ვადა, რომელიც დატანილია ბარათის წინა მხარეს (თვე, წელიწადი)



ოპერაციის განხორციელების მიზნით შეგყავთ ბარათის 16 ნიშნა ნომერი (ინტერვალის და ტირეს გარეშე), უთითებთ მოქმედების ვადას, რომელიც დატანილია ბარათის წინა მხარეს და, ბოლოს, შეგყავთ „CVC2“ სამნიშნა უსაფრთხოების კოდი, რომელიც დატანილია ბარათის უკანა მხარეს. სავალდებულო ველების შევსების შემდგომ უნდა დააჭიროთ ღილაკს „შემდეგ>>>“, რის შედეგად ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული ფანჯარა.

ობიექტი	S.P.A.
მისამართი	Tbilisi
შეკვეთის ნომერი	1017905
თანხა	50 GEL
ბანკის საკომისიო	1.0 GEL
სულ გადასახდელი თანხა	51.0 GEL
ბარათის ნომერი *	4787630001834584
მოქმედების ვადა **	07/2014
CVC2 *	195

[<<< დაბრუნება](#)
[გადახდა >>>](#)

ღილაკზე „გადახდა>>>“ დაჭერით სისტემა თქვენი ბარათიდან ავტომატურად ჩამოჭრის თანხას და გადარიცხავს სააგენტოს ანგარიშზე, გადახდის წარმატებით განხორციელების შემდეგ ღილაკის „დაბრუნება“ მეშვეობით ბრუნდებით სისტემაში. უკან დაბრუნების მაგალითი მოცემულია ქვემოთ განთავსებულ სურათზე.

გადახდა განხორციელდა წარმატებით...

ოპერაციის დეტალები:

ობიექტი	S.P.A.
მისამართი	Tbilisi
შეკვეთის ნომერი	1017846
ტრანზაქციის თარიღი	Mon Apr 22 2013 17:57:54 GMT+0400 (Georgian Standard Time)
ბარათის ნომერი *	478763*****84
მოქმედების ვადა **	1407
საგადახდო სისტემა	Visa International

[დაგბრუნდეთ ვებგვერდზე...](#)




6.2.3 ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვა

წინადადების წარდგენის საფასურის გადახდის შემდეგ, თქვენ აუცილებლად უნდა ატვირთოთ ტექნიკური დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, სისტემა წინადადების წარდგენის საშუალებას არ მოგცემთ.

ყურადღება

ტენდერში/კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია მხოლოდ შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვა. ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო/საკონკურსო განცხადებითა და სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციით, გარდა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა, რომელიც, თავის მხრივ, არის ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი დოკუმენტაცია.

ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვისათვის, წინადადების წარდგენის საფასურის გადახდის შემდეგ, ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა.



ღილაკზე „Choose File” დაჭერით საშუალება გაქვთ შეარჩიოთ და მონიშნოთ თქვენს კომპიუტერში შენახული ტექნიკური დოკუმენტაცია, ხოლო ღილაკზე „მიმაგრება” დაჭერით აღნიშნული დოკუმენტაცია აიტვირთება სისტემაში.

ყურადღება

საკონკურსო წინადადების წარდგენისას დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაცია შეიცავდეს რაიმე სახის ინფორმაციას წინადადების ფასთან დაკავშირებით და ასეთის არსებობის შემთხვევაში პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას

დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, საშუალება გაქვთ ნახოთ თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტი და შეცდომის შემთხვევაში, შემდეგ ღილაკზე დაჭერით წაშალოთ არასწორად ატვირთული ფაილი. წინადადების ფასის წარდგენამდე შეგიძლიათ ატვირთოთ ერთი ან რამდენიმე დოკუმენტი. თქვენს მიერ მიზმული ტექნიკური დოკუმენტაცია, ელექტრონული ვაჭრობის დასრულებამდე ხელმისაწვდომია მხოლოდ თქვენთვის. მისი წაშლა ან დამატებითი დოკუმენტის ატვირთვა შესაძლებელია მხოლოდ წინადადების წარდგენის საფასურის გადახდიდან თქვენს მიერ წინადადების ფასის სისტემაში დაფიქსირებამდე.



ტექნიკური დოკუმენტაცია

პრეტენდენტი	ფაილი	თარიღი	
სატესტო მიმწოდებელი	SPA130000309_satesto.pdf	13.05.2013 22:44	

ტექნიკური დოკუმენტაციის მიმაგრება (PDF ფაილი. მაქსიმალური ზომა 8 მეგაბაიტი)

ფაილი No file chosen

აღწერა

წარმოადგინეთ სატენდერო წინადადების ფასი დღგ-ს გათვალისწინებით

თანხა (5' 478.00 ან უცვლელად: 5' 500.00)

ყურადღება

ტექნიკური დოკუმენტაციის წაშლა ან ატვირთვა შესაძლებელია მხოლოდ წინადადების წარდგენის საფასურის გადახდიდან თქვენს მიერ წინადადების ფასის სისტემაში დაფიქსირებამდე.

6.2.4 საკონკურსო წინადადების ფასის წარდგენა

მას შემდეგ რაც დარწმუნდებით, რომ ტექნიკური დოკუმენტაცია სრულად და უშეცდომოდ გაქვთ ატვირთული და მზად ხართ წარადგინოთ საკონკურსო წინადადების ფასი, ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯრის დახმარებით, მარტივად შეგიძლიათ დააფიქსიროთ საკონკურსო წინადადების ფასი.

წარმოადგინეთ წინადადების ფასი დღგ-ს გარეშე

თანხა

სამუშაო ველის „თანხა“ გასწვრივ მიუთითებთ თქვენს მიერ შემოთავაზებულ ფასს.

ყურადღება

დაუშვებელია შეთავაზების ველში მძიმის, სიცარიელის (ე.წ. პრაბელი) ან რაიმე სხვა სიმბოლოს ჩაწერა, გარდა რიცხვისა, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი შეთავაზება არ დაფიქსირდება.

შეთავაზების ველში რიცხვისგან განსხვავებული ნებისმიერი სიმბოლოს ჩაწერის შემთხვევაში, შესაბამისი ველი მიიღებს შემდეგ სახეს.



თანხა მთელი რიცხვი

შემდეგ დააჭერთ ღილაკს „შეთავაზება“, რის შემდეგაც ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა, რომლის დახმარებითაც ღილაკზე „დიახ“ დაჭერით დაადასტურებთ საკონკურსო წინადადების ფასის სისწორეს, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა გამოიყენოთ ღილაკი „არა“.

წარმოადგინეთ წინადადების ფასი დღგ-ს გარეშე

შეთავაზებული თანხა 850.00

ჩავენროთ ეს შეთავაზება?

საკონკურსო წინადადების ფასის მითითებისას, თუ თქვენს მიერ შეთავაზებული თანხა მნიშვნელოვნად განსხვავდება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებისაგან, სისტემა ეკრანზე გამოგიტანთ ქვემოთ მოცემული სურათის მსგავს ფანჯარას. თანხმობის შემთხვევაში, თქვენ ჯერ მონიშნით უნდა დაადასტუროთ თანხმობა და შემდეგ დააჭიროთ ღილაკს „დიახ“, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დააჭიროთ ღილაკს „არა“.

შეთავაზებული თანხა 250.00

თქვენს მიერ შემოთავაზებული თანხა მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შემოთავაზებისგან / შესყიდვის სავარაუდო ღირებულებისგან. მონიშნეთ დადასტურების ნიშნად.

მონიშვნა

საკონკურსო წინადადების ფასის დაფიქსირების შემდეგ, ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად, თქვენი შეთავაზება გამოჩნდება შეთავაზებების ძირითად ველში. ძირითადი დროის განმავლობაში სხვა პრეტენდენტების ვინაობა და რაოდენობა, ასევე მათ მიერ წარდგენილი შეთავაზება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიუწვდომელია და მხოლოდ მისი დასრულების შემდგომ გამოჩნდება პრეტენდენტების ვინაობა, ხოლო მათ მიერ შეთავაზებული საკონკურსო წინადადების ფასები დახურული იქნება მანამ სანამ შემსყიდველის მხრიდან არ მოხდება თვითოეული მონაწილის საკონკურსო წინადადების შეფასება და საკონკურსო განცხადებას სისტემურად არ მიენიჭება გამარჯვებული გამოვლენილია სტატუსი.

პრეტენდენტი	შეთავაზებული თანხა / დრო	კოფ.	აგრერირებული ქულა
SATESTO55	845 01.06.2015 10:37		



ყურადღება

საკონკურსო წინადადების წარდგენისას, თქვენ ხედავთ მხოლოდ საკუთარ დასახელებას/ტექნიკურ დოკუმენტაციას რაც შეეხება სხვა პრეტენდენტებს, მათი ვინაობა ანონიმურია, ხოლო ტექნიკური დოკუმენტაცია და საკონკურსო წინადადება– დაფარული. ძირითადი დროის დასრულების შემდგომ ხელმისაწვდომი ხდება სხვა პრეტენდენტების დასახელება და მათ მიერ წარდგენილი საკონკურსო წინადადების შესაბამისი დოკუმენტები, ხოლო მათ მიერ შეთავაზებული ფასი დახურულია. საკონკურსო წინადადების ფასების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდება მხოლოდ მას შემდგომ რაც საკონკურსო განცხადებას მიენიჭება სტატუსი „გამარჯვებული გამოვლენილია“ ან „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“ .

საკონკურსო წინადადების ფასის წარდგენის შემდეგ შეუძლებელია თქვენს მიერ ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაციის წაშლა/რედაქტირება ან საკონკურსო წინადადების ფასის ცვლილება.

6.2.5 სატენდერო წინადადების ფასის წარდგენა ძირითად დროში

მას შემდეგ რაც დარწმუნდებით, რომ ტექნიკური დოკუმენტაცია სრულად და უშეცდომოდ გაქვთ ატვირთული და მზად ხართ წარადგინოთ სატენდერო წინადადების ფასი, ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯრის დახმარებით, მარტივად შეგიძლიათ დააფიქსიროთ სატენდერო წინადადების ფასი.

ყურადღება

წარმოადგინეთ წინადადების ფასი „დღგ–ს“ გათვალისწინებით. ეხება მხოლოდ „დღგ–ს“ გადამხდელ მიმწოდებლებს.

წარმოადგინეთ სატენდერო წინადადების ფასი დღგ-ს გათვალისწინებით

თანხა (13'197.00 ან უცვლელად: 13'250.00)

სამუშაო ველის „თანხა“ გასწვრივ მიუთითებთ თქვენს მიერ შემოთავაზებულ ფასს სავარაუდო ღირებულების და შეთავაზების ფასის კლების ბიჯის გათვალისწინებით (კლების ბიჯი გათვალისწინებულ უნდა იქნას პრეტენდენტის მიერ საკუთარი სატენდერო წინადადების ფასის ყოველი შემდგომი ცვლილების შემთხვევაში და არა კონკურენტის მიერ შემოთავაზებულ ფასთან მიმართებაში).

ყურადღება

დაუშვებელია შეთავაზების ველში მძიმის, სიცარიელის (ე.წ. პრაბელი) ან რაიმე სხვა სიმბოლოს ჩაწერა, გარდა რიცხვისა, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი შეთავაზება არ დაფიქსირდება.



შეთავაზების ველში რიცხვისგან განსხვავებული ნებისმიერი სიმბოლოს ჩაწერის შემთხვევაში, შესაბამისი ველი მიიღებს შემდეგ სახეს.

თანხა (14' 355.00 ან ნაკლები) 12, რიცხვი? შეთავაზება

შემდეგ დააჭერთ ღილაკს „შეთავაზება“, რის შემდეგაც ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა, რომლის დახმარებითაც ღილაკზე „დიახ“ დაჭერით დაადასტურებთ სატენდერო წინადადების ფასის სისწორეს, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა გამოიყენოთ ღილაკი „არა“.

ნარმოადგინეთ სატენდერო წინადადების ფასი დღგ-ს გათვალისწინებით

შეთავაზებული თანხა 13197.00

ჩავწეროთ ეს შეთავაზება?

დიახ არა

სატენდერო წინადადების ფასის მითითებისას, თუ თქვენს მიერ შეთავაზებული თანხა მნიშვნელოვნად განსხვავდება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებისაგან ან თქვენს მიერ წარდგენილი წინა შეთავაზებისაგან, სისტემა ეკრანზე გამოგიტანთ ქვემოთ მოცემული სურათის მსგავს ფანჯარას. თანხმობის შემთხვევაში, თქვენ ჯერ მონიშნით უნდა დაადასტუროთ თანხმობა და შემდეგ დააჭიროთ ღილაკს „დიახ“, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დააჭიროთ ღილაკს „არა“.

შეთავაზებული თანხა 250.00

თქვენს მიერ შემოთავაზებული თანხა მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შემოთავაზებისგან / შესყიდვის სავარაუდო ღირებულებისგან. მონიშნეთ დადასტურების ნიშნად.

დიახ არა მონიშვნა

ყურადღება

წინადადების ფასის ველში უკანასკნელად შეყვანილ თანხას გააჩნია უპირატესი ძალა ტექნიკურ დოკუმენტაციაში (ხარჯთაღრიცხვაში) მითითებულ თანხასთან მიმართებაში.

სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემდეგ, ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად, თქვენი შეთავაზება გამოჩნდება შეთავაზებების ძირითად ველში. ძირითადი დროის განმავლობაში სხვა პრეტენდენტების ვინაობა და რაოდენობა, ასევე მათ მიერ წარდგენილი შეთავაზება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიუწვდომელია და მხოლოდ მისი დასრულების შემდგომ გამოჩნდება პრეტენდენტების ჩამონათვალი.



პრეტენდენტი	ბოლო შეთავაზება თანხა/დრო	პირველი შეთავაზება თანხა/დრო	შეთავაზებები
სატესტო მიმწოდებელი	13`197.00 22.04.2013 18:40	13`250.00 22.04.2013 18:35	[2] ნახვა

ყურადღება

სატენდერო წინადადების წარდგენისას, თქვენ ხედავთ მხოლოდ საკუთარ დასახელებას/ტექნიკურ დოკუმენტაციას რაც შეეხება სხვა პრეტენდენტებს, მათი ვინაობა ანონიმურია, ხოლო ტექნიკური დოკუმენტაცია და სატენდერო წინადადება – დაფარული. ძირითადი დროის დასრულების შემდგომ სხვა პრეტენდენტების მიერ შეთავაზებული ფასი ხდება ხელმისაწვდომი, ხოლო დამატებითი რაუნდების დასრულების შემდგომ – პრეტენდენტის ვინაობა და ტექნიკური დოკუმენტაცია. სატენდერო წინადადების ფასის წარდგენის შემდეგ შეუძლებელია თქვენს მიერ ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაციის წაშლა/რედაქტირება.

ელექტრონული ვაჭრობის დასრულებამდე შესაძლებლობა გაქვთ სისტემის საშუალებით უარი თქვათ სატენდერო წინადადებაზე და ამისათვის ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად, უნდა გამოიყენოთ ღილაკი „წინადადებაზე უარის თქმა“.

← უკან

გვერდის განახლება

გადახდები

ტექნიკური დოკუმენტაცია

2 0 18 33

დღე საათი წუთი წამი

მიმდინარეობს ძირითადი დრო

შესყიდვის საგარეუდო ღირებულება: 15`000.00
მონოდების ვადა: 2013 წლის სექტემბის ბოლომდე.

წინადადებაზე უარის თქმა

წარმოადგინეთ წინადადების ფასი დღგ-ს გარეშე

თანხა

შეთავაზება

სატენდერო წინადადებაზე უარის თქმა არის თქვენს მიერ წარდგენილი გარანტიის შესრულების სამართლებრივი საფუძველი.

6.2.5. სატენდერო წინადადების ფასის შემცირება დამატებით დროში (დამატებითი რაუნდები)

ტენდერის ძირითადი დროის დასრულების შემდეგ იწყება ვაჭრობის დამატებითი სამი რაუნდი, რომელშიც მონაწილეობა არ არის სავალდებულო. დამატებითი რაუნდების დროს თითოეულ პრეტენდენტს სისტემის საშუალებით შეუძლია შეამციროს მის მიერ ძირითად დროში წარმოდგენილი ფასი ან უარი თქვას სატენდერო წინადადებაზე. დამატებითი რაუნდებისთვის სისტემაში განკუთვნილია შესაბამისი სამუშაო ველები ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად.



ვაჭრობის 1-ლი რაუნდი			
დანყება	დამთავრება	პრეტენდენტი	თანხა
12:35	12:37	ლევანი გაბდელიანი	27`699.00
12:37	12:39	მალხაზი ბენდელიანი	27`400.00
ვაჭრობის მე-2 რაუნდი			
დანყება	დამთავრება	პრეტენდენტი	თანხა
12:41	12:43	ლევანი გაბდელიანი	27`399.00
12:43	12:45	მალხაზი ბენდელიანი	27`100.00
ვაჭრობის მე-3 რაუნდი			
დანყება	დამთავრება	პრეტენდენტი	თანხა
12:47	12:49	ლევანი გაბდელიანი	25`000.00
12:49	12:51	მალხაზი ბენდელიანი	24`999.00

პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ ფასის შემცირების რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში პირველ შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე მაღალი ფასი დააფიქსირა, ხოლო მე-2 რაუნდში - ის პრეტენდენტი, რომელმაც ამ რაუნდის დაწყებამდე ყველაზე მაღალი ფასი დააფიქსირა, ხოლო მე-3 რაუნდში - ის პრეტენდენტი, რომელმაც ამ რაუნდის დაწყებამდე ყველაზე მაღალი ფასი დააფიქსირა.

გახსოვდეთ

ელექტრონული ვაჭრობის სამივე რაუნდის დროს თითოეულ პრეტენდენტს საკუთარი შეთავაზების განხორციელება შეუძლია მისი რიგის დადგომიდან **2 წუთის განმავლობაში** თითოეულ რაუნდში საბოლოო ფასს აფიქსირებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ამ რაუნდის დაწყებამდე დააფიქსირა ყველაზე დაბალი ფასი.

როგორც აღვნიშნეთ, ძირითადი დროის დასრულების შემდეგ იწყება პირველი შესვენება, რომელიც, მეორე და მესამე შესვენებისგან განსხვავებით ნაცვლად 2 წუთისა გრძელდება **5 წუთს** პირველი შესვენების დასრულების შემდეგ იწყება ვაჭრობის პირველი რაუნდი. ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა მინიშნებით, „**მიმდინარეობს პირველი რაუნდი**“. ამავე ფანჯარაში პრეტენდენტი იხილავს ინფორმაციას შესაბამისი რაუნდის დაწყების, დასრულებისა და პრეტენდენტების რიგითობის შესახებ ზუსტი დროის მითითებით.

SPA130000295 სატენდერო დოკუმენტაცია შეთავაზებები შედეგები ხელშეკრულების მიმდინარეობა

← უკან გვერდის გაწახლება გადახედვი ტენიკური დოკუმენტაცია

0 საათი 0 წუთი 28 წამი

შესცილვის სავარაუდო ღირებულება: 125.00
მონოფების ვადა: სატენდერო

დაელოდეთ თქვენს კერს

	დანყება	დამთავრება	პრეტენდენტი
1-ლი რაუნდი	12:35	12:37	სატენდერო მიმნოდებელი (პრეტენდენტი #1)
1-ლი რაუნდი	12:37	12:39	პრეტენდენტი #2

პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში დააფიქსირა ყველაზე მაღალი ფასი, პირველი წარადგენს სატენდერო წინადადების ფასს ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯრის დახმარებით.



ნარმოადგინეთ სატენდერო წინადადების ფასი დღგ-ს გათვალისწინებით

თანხა (121.00 ან ნაკლები) შეთავაზება

	დანყება	დამთავრება	პრეტენდენტი
1-ლი რაუნდი	12:35	12:37	სატესტო მიწოდებელი (პრეტენდენტი #1)
1-ლი რაუნდი	12:37	12:39	პრეტენდენტი #2

სამუშაო ველის „თანხა“ გასწვრივ პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს თანხა, რისი შეთავაზებაც სურს და შემდეგ უნდა დააჭიროს ღილაკს „შეთავაზება“.

რიგით პირველი პრეტენდენტის მიერ ფასის წარდგენის შემდეგ, სისტემა **2 წუთის განმავლობაში** მეორე პრეტენდენტს აძლევს საშუალებას წარადგინოს საკუთარი ფასი ზემოთ აღწერილი წესითა და თანმიმდევრობით. ამავე წესის და შესაბამისი რიგითობის დაცვით წარადგენს ყველა სხვა დანარჩენი პრეტენდენტი (მათი არსებობის შემთხვევაში) სატენდერო წინადადების ფასს.

მას შემდეგ, რაც პირველ რაუნდში ყველა პრეტენდენტი წარადგენს სატენდერო წინადადების ფასს, სრულდება პირველი რაუნდი, ცხადდება მორიგი შესვენება და მარჯვნივ მოცემული სურათის მსგავსი მინიშნება გამოვა ეკრანზე.

0	0	49
საათი	წუთი	წამი
მიმდინარეობს მე-2 შესვენება		

ამავე დროს ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა, რომელშიც ასახული იქნება პირველი რაუნდის ვაჭრობის შედეგები.

ვაჭრობის 1-ლი რაუნდი

დანყება	დამთავრება	პრეტენდენტი	თანხა
12:35	12:37	სატესტო მიწოდებელი (პრეტენდენტი #1)	123.00
12:37	12:39	პრეტენდენტი #2	122.00

მე-2 შესვენების დასრულების შემდეგ, იწყება **მე-2 რაუნდი**. ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა მინიშნებით „**მიმდინარეობს მეორე რაუნდი**“. ამავე ფანჯარაში პრეტენდენტი იხილავს სატენდერო წინადადების წარდგენის, დაწყების, დასრულების და რიგითობის შესახებ ზუსტ ინფორმაციას.

SPA 130000295 სატენდერო დოკუმენტაცია შეთავაზებები შედეგები ხელშეკრულების მიმდინარეობა

← უკან

0 საათი 0 წუთი 55 წამი

გვერდის განახლება გადახედები ტექნიკური დოკუმენტაცია

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 125.00
წონოვების ვადა: სატესტო

დაელოდეთ თქვენს ვერს

	დანყება	დამთავრება	პრეტენდენტი
მე-2 რაუნდი	12:41	12:43	სატესტო მიწოდებელი (პრეტენდენტი #1)
მე-2 რაუნდი	12:43	12:45	პრეტენდენტი #2

ყურადღება

თუ პრეტენდენტი მონაწილეობას არ მიიღებს დამატებით რაუნდებში, ძალაში რჩება მის მიერ ძირითად დროში დაფიქსირებული ფასი.



მას შემდეგ, რაც **მე-2 რაუნდში** ყველა პრეტენდენტი წარადგენს სატენდერო წინადადებას, სრულდება მეორე რაუნდი, ცხადდება მორიგი შესვენება და მარჯვნივ მოცემული სურათის მსგავსი მინიშნება გამოვა ეკრანზე.

0	0	53
საათი	წუთი	წამი
მიმდინარეობს მე-2 შესვენება		

ამავე დროს, ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა, რომელშიც ასახული იქნება **მე-2 რაუნდის** ვაჭრობის შედეგები, პირველი რაუნდის ვაჭრობის შედეგებთან ერთად. როდესაც რაუნდების ცხრილში თითოეული პრეტენდენტის შესაბამისი ველი, მისი რიგის დადგომის შემდგომ არააქტიურია (ღია ნაცრისფრადაა შეფერილი) ეს მიანიშნებს, რომ პრეტენდენტმა არ მიიღო მონაწილეობა აღნიშნულ რაუნდში და მისი სატენდერო წინადადების ფასი დარჩა უცვლელი.

ვაჭრობის 1-ლი რაუნდი			
დანწყება	დამთავრება	პრეტენდენტი	თანხა
12:35	12:37	სატესტო მიმწოდებელი	123.00
12:37	12:39	მიმწოდებელი#	122.00
ვაჭრობის მე-2 რაუნდი			
დანწყება	დამთავრება	პრეტენდენტი	თანხა
12:41	12:43	სატესტო მიმწოდებელი	120.00
12:43	12:45	მიმწოდებელი#	122.00
ვაჭრობის მე-3 რაუნდი			
დანწყება	დამთავრება	პრეტენდენტი	თანხა
12:47	12:49	მიმწოდებელი#	122.00
12:49	12:51	სატესტო მიმწოდებელი	120.00

მე-3 შესვენების დასრულების შემდეგ, იწყება **მე-3 რაუნდი**. ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა მინიშნებით „**მიმდინარეობს მესამე რაუნდი**“. ამავე ფანჯარაში პრეტენდენტი იხილავს სატენდერო წინადადების წარდგენის, დაწყების, დასრულების და რიგითობის შესახებ ზუსტ ინფორმაციას.

SPA130000295 სატენდერო დოკუმენტაცია შეთავაზებები შედეგები ხელშეკრულების მიმდინარეობა

4 უკან

0	1	22
საათი	წუთი	წამი
მიმდინარეობს მე-3 რაუნდი		

შესყიდვის საცარადლო ღირებულება: 125.00
შოროდების გადა: სატესტო

დაელოდეთ თქვენს პერს

	დანწყება	დამთავრება	პრეტენდენტი
მე-3 რაუნდი	14:31	14:33	პრეტენდენტი #2
მე-3 რაუნდი	14:33	14:35	სატესტო მიმწოდებელი (პრეტენდენტი #1)

მას შემდეგ, რაც ამოიწურება ყველა პრეტენდენტისთვის წინადადების წარდგენის ვადა და დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად, ეკრანზე გაჩვენებთ დამატებით რაუნდებში პრეტენდენტების ვაჭრობის შედეგებს.



ვაჭრობის 1-ლი რაუნდი			
დანყება	დამთავრება	პრეტენდენტი	თანხა
12:35	12:37	სატესტო მიმწოდებელი	123.00
12:37	12:39	მიმწოდებელი#	122.00

ვაჭრობის მე-2 რაუნდი			
დანყება	დამთავრება	პრეტენდენტი	თანხა
12:41	12:43	სატესტო მიმწოდებელი	120.00
12:43	12:45	მიმწოდებელი#	122.00

ვაჭრობის მე-3 რაუნდი			
დანყება	დამთავრება	პრეტენდენტი	თანხა
12:47	12:49	მიმწოდებელი#	122.00
12:49	12:51	სატესტო მიმწოდებელი	120.00

სამივე რაუნდის ამოწურვის შემდეგ, სისტემა დაალაგებს ყველა შედეგს კლებადობის პრინციპის მიხედვით (თანაბარი ფასების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმ პრეტენდენტს, რომელმაც აღნიშნული თანხა პირველმა დააფიქსირა), როგორც ქვემოთ მოცემულ სურათზე არის გამოსახული.

პრეტენდენტი	ბოლო შეთავაზება თანხა/დრო	პირველი შეთავაზება თანხა/დრო	შეთავაზებები
მიმწოდებელი#	122.00 23.04.2013 12:24	122.00 23.04.2013 12:24	[1] ნახვა
სატესტო მიმწოდებელი	120.00 23.04.2013 12:41	123.00 23.04.2013 12:21	[2] ნახვა

ვარსკვლავი ნიშნავს დამატებით რაუნდებში მონაწილეების რაოდენობას. ზემოთ მოცემული სურათის მიხედვით, მონაწილე „მიმწოდებელი#“ არ იღებდა დამატებით რაუნდებში მონაწილეობას და შესაბამისად არ აქვს ვარსკვლავი.

დამატებითი რაუნდების დასრულების შემდეგ, როდესაც შემსყიდველი გამოავლენს გამარჯვებულს, მიმწოდებელმა, მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა ატვირთოს შესაბამისი დოკუმენტაცია. მიმწოდებლის მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, შემსყიდველის მიერ ატვირთული დოკუმენტაციისგან გამოირჩევა წითელი ფერით.

დოკუმენტი	თარიღი/ავტორი
1. SPA130013014_ოქმი #2, დასკვნა.pdf	19.06.2013 16:00 :: ევა ირემაძე
2. SPA130013014_ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ.pdf	19.06.2013 16:00 :: ევა ირემაძე
3. SPA130013014_წერილი დაბუსტებაზე.pdf	19.06.2013 16:00 :: ევა ირემაძე
4. SPA130013014_წერილი დაბუსტება.pdf	19.06.2013 16:59 :: ირაკლი გულიაშვილი
5. SPA130013014_დაბუსტებული დანართი N2.pdf	19.06.2013 16:59 :: ირაკლი გულიაშვილი

ატვირთეთ ოქმი და სხვა შესაბამისი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში). (PDF ფაილი. მაქს: 8 მბ.)

ფაილი No file chosen

აღწერა

7. კონკურსის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის გასაჩივრება

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს ელექტრონული მოდულით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. იმ პირთათვის, რომელთაც სურთ საჩივრის დავების განხილვის საბჭოში წარდგენა, სავალდებულოა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია „მიმწოდებლის“ სახით.

7.1 საჩივრის ელექტრონული ფორმა

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) საჩივარი წარედგინება ელექტრონული ფორმით (იხილეთ ქვემოთ სურათი).

საჩივრის ფორმაში ავტომატურად გენერირდება შემდეგი მონაცემები:

- საჩივრის მიმდინარე სტატუსი „საჩივარი შემოსულია“;
- „მომჩივანისა“ და „შემსყიდველი ორგანიზაციის“ დასახელება, მისამართი, ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი;
- შესყიდვის კატეგორია (CPV კოდი) – გენერირდება კლასიფიკატორის (CPV) დანაყოფის კოდი;
- სადავო შესყიდვის ნომერი.

საჩივრის საბჭოში წარდგენის შემდეგ, საბჭოს აპარატი საჩივრის ფორმაში უთითებს:

- საჩივრის მიმდინარე – ახალ სტატუსს;



- დავის განხილვის დროს;
- საჭიროების შემთხვევაში, დაინტერესებულ მხარეს. დაინტერესებული მხარის მითითების შემთხვევაში, დაინტერესებული მხარის დასახელება, მისამართი, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი გენერირდება ავტომატურად.

7.2 საჩივრის შევსების ინსტრუქცია

საჩივრის წარსადგენად გასაჩივრების მსურველი ირჩევს იმ კონკურსს, გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერს ან ელექტრონულ ტენდერს, რომლის გასაჩივრებაც სურს და განცხადების გვერდზე აჭერს ღილაკს **გასაჩივრება**, როგორც ქვემოთ მოცემულ სურათზეა მონიშნული.



შესაბამის ღილაკზე დაჭერით გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა სადაც უნდა მიუთითოთ საჩივრის არსი, საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები და მოთხოვნა.

ახალი საჩივარი / საჩივრები მიმდინარე შესყიდვაზე

საჩივრის #	სტატუსი	თარიღი	მომჩივანი
მიმდინარე ტენდერზე საჩივრები არ არის			

☺ სიის განახლება

საჩივრის არსი

ჩანერეთ თქვენი საჩივრის შინაარსი. შეუთითეთ შემსყიდველი ორგანიზაციის რა ქმედებას ახაჩივრებთ და დასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები

მოთხოვნა

საჩივრის წარმომდგენი

პირადი ნომერი	სახელი, გვარი	ტელეფონის ნომერი
<input style="width: 95%;" type="text"/>	<input style="width: 95%;" type="text"/>	<input style="width: 95%;" type="text"/>

ჩანერა

დახურვა

- „საჩივრის არსი“ – უნდა მიეთითოს საჩივრის შინაარსი და ინფორმაცია იმ დარღვევ(ებ)ის შესახებ, რომელიც, მომჩივანის აზრით, გამოვლენილია შესყიდვის მიმდინარეობის დროს. ამასთან, აუცილებელია, რომ საჩივრის არსი ასახავდეს შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო/საკონკურსო კომისიის არასათანადო გადაწყვეტილებას/ქმედებას;




- „საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები“ – მომჩივანი ირჩევს ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძველს საჩივრის ელექტრონულ ფორმაში მითითებული შესაბამისი ნორმების/მუხლების ჩამონათვალიდან;
- „საჩივრის მოთხოვნა“ – ველში მითითებულია საჩივრის მოთხოვნის ორი შესაძლო ვარიანტი:

ა) გაუქმდეს შემსყიდველი ორგანიზაციის კანონმდებლობის შეუსაბამო გადაწყვეტილება/ქმედება – მიეთითება ისეთ შემთხვევაში, როდესაც მომჩივანი ასაჩივრებს შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო/საკონკურსო კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ან განხორციელებულ ქმედებას;

ბ) გაუქმდეს სატენდერო/საკონკურსო განცხადების/დოკუმენტაციის კანონმდებლობის შეუსაბამო ჩანაწერი – მიეთითება იმ შემთხვევაში, როდესაც მომჩივანი ასაჩივრებს სატენდერო/საკონკურსო განცხადებაში ან/და სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციაში არსებულ კანონმდებლობასთან შეუსაბამო ჩანაწერს;

- „საჩივრის წარმოდგენი“ – მიეთითება ინფორმაცია იმ პირის შესახებ, რომელიც ავსებს საჩივარს. საჩივრის წარმოდგენი უთითებს პირად ნომერსა (პირადი ნომრის მითითების შედეგად გენერირდება საჩივრის წარმოდგენის სახელი და გვარი) და ტელეფონის ნომერს;


მას შემდეგ, რაც მიუთითებთ საჩივრის არსს, საჩივრის სამართლებრივ საფუძვლებს, მოთხოვნასა და პირად ინფორმაციას, ღილაკზე „ჩაწერა“ დაჭერით იქმნება საჩივრის პროექტი და გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა, სადაც მომჩივანს შესაძლებლობა აქვს, ატვირთოს/მიამაგროს დამატებითი დოკუმენტ(ებ)ი PDF-ის ფორმატში. თითოეული დოკუმენტის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 8 მეგაბაიტს:



- **საჩივრის წარდგენა** - აღნიშნულ ღილაკზე დაჭერით თქვენ გადაგზავნით საჩივარს დავების განხილვის საბჭოში. საჩივრის გადაგზავნის შემდეგ აღარ გექნებათ მისი რედაქტირების შესაძლებლობა.




- **შესწორება** - აღნიშნულ ღილაკზე დაჭერით თქვენ საშუალება გაქვთ შეიტანოთ შესწორება(ცვლილება შესაძლებელია საჩივრის წარდგენამდე) მიმდინარე საჩივარში.
- **პროექტის წაშლა** - აღნიშნულ ღილაკზე დაჭერით თქვენ გაქვთ შესაძლებლობა წაშალოთ საჩივრის პროექტი.
- **დახურვა** - ღილაკზე „დახურვა“ დაჭერის შემთხვევაში საჩივრის პროექტის მოძებნა შესაძლებელია ღილაკით „გასაჩივრებული შესყიდვები“ (იხილეთ ქვემოთ სურათი)




ამ შემთხვევაში, გასაჩივრებული შესყიდვიდან შესაძლებელია ერთ-ერთის არჩევა და სატენდერო/საკონკურსო განცხადების ქვედა მარჯვენა მხარეს ღილაკის „საჩივრები მიმდინარე შესყიდვაზე“ დაჭერა (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი), რის შემდეგაც იხსნება საჩივრის პროექტი.



„საჩივრის წარდგენა“ ღილაკზე დაჭერის შემთხვევაში გამოვა საჩივრის გადაგზავნის დიალოგური ფანჯარა.



საჩივრის წარდგენის შემდგომ, საჩივარი იგზავნება საბჭოში, რომლის დასაშვებობასაც იხილავს საბჭოს აპარატი და, შესაბამისად, უზრუნველყოფს სათანადო რეაგირებას. იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს აპარატი მომჩივანს მიმართავს საჩივრის დაზუსტების მოთხოვნით, დასაზუსტებელი საჩივრის ნახვა შესაძლებელია ღილაკით „საჩივრები მიმდინარე შესყიდვაზე“ (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი).



ღილაკზე „საჩივრები მიმდინარე შესყიდვაზე“ დაჭერის შემდეგ, იხსნება დასაზუსტებელი საჩივარი, როგორც ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.



საჩივრები მიმდინარე შესყიდვაზე

საჩივრის #	სტატუსი	თარიღი	შომჩივანი
...	დასაბუსტებელი	* * * * *	* * * * *

[ფ გვერდის განახლება](#)

[დახურვა](#)

მომჩივანი ავსებს/აზუსტებს საჩივრის ფორმის იმ ველ(ებ)ს, რომელზეც საბჭოს აპარატმა დაადგინა ხარვეზი ღილაკით „დაზუსტებული საჩივრის წარდგენა“ (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი) მომჩივანი აგზავნის დაზუსტებულ საჩივარს საბჭოში, რის შემდეგაც საბჭოს აპარატი იხილავს მის დასაშვებობას და, შესაბამისად, უზრუნველყოფს სათანადო რეაგირებას.

საჩივრის #	სტატუსი	თარიღი	შომჩივანი
...	დასაბუსტებელი	* * * * *	* * * * *

[ფ გვერდის განახლება](#)

 დასაბუსტებელი
 შესყიდვის კატეგორია (CPV)
 * * *
 საჩივრის არსი
 * * *
 საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები
 * * *
 მოთხოვნა
 * * *

საჩივრის წარმოდგენი პირადი ნომერი ტელეფონის ნომერი
 * * * * * * * * * * * * * * *

[→ დაბუსტებული საჩივრის წარდგენა](#) [შესწორება](#)

მიმაგრებული ფაილები
 (ფაილები არ არის)

ახალი ფაილი PDF ფორმატით. მაქს. ზომა: 8მბ
 No file chosen [მიმაგრება](#)

სტატუსების ისტორია
 * * * * * დასაბუსტებელი

[დახურვა](#)



მას შემდეგ, რაც საჩივარს წარადგენთ დავების განხილვის საბჭოში, აღარ შეგეძლება შეცვალოთ ან წაშალოთ საჩივარი, გარდა გამონაკლისისა, როდესაც დავების საბჭოს აპარატის მიერ მოთხოვნილია საჩივრის დაზუსტება (დასაზუსტებელი საჩივრის შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ ცვლილების განხორციელება და საჩივრის უკან გადაგზავნა, ხოლო საჩივრის წაშლა შეუძლებელია).

8. შესყიდვის შედეგები

გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადება

კონკრეტულ e-შესყიდვაში წინადადებების მიღების დასრულების შემდეგ, თქვენ როგორც შემსყიდველს, შესაძლებლობა გაქვთ გამოავლინოთ გამარჯვებული პრეტენდენტი კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით.

უპირველეს ყოვლისა, უნდა შეხვიდეთ თქვენს მიერ გამოცხადებულ კონკრეტულ e-შესყიდვაში, მას შემდეგ, რაც წინადადებების მიღება დასრულდება და დააჭიროთ ღილაკს „შედეგები“. ღილაკზე დაჭერის შემდეგ, ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა, რომლის დახმარებითაც თქვენ უნდა ატვირთოთ კომისიის ყველა შესაბამისი სხდომის ოქმი და ამ შესყიდვასთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი დოკუმენტი.

ღილაკი „Choose File“ საშუალებას გაძლევთ თქვენს კომპიუტერში შენახული დოკუმენტი შეარჩიოთ და მონიშნოთ, შემდეგ სამუშო ველში „აღწერა“ მიუთითოთ დოკუმენტის მოკლე შინაარსი და ღილაკზე „მიმავრება“ დაჭერით ატვირთოთ სისტემაში.

გახსოვდეთ

კომისიის სხდომის ოქმი და დოკუმენტაცია სისტემაში უნდა ატვირთოთ მისი ხელმოწერისთანავე.

8.1 შერჩევა/შეფასება

მას შემდეგ, რაც თქვენ ატვირთავთ სისტემაში სატენდრო/საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმს/ოქმებს და სხვა შესაბამის დოკუმენტს/დოკუმენტებს (არსებობის შემთხვევაში). ოქმის



ატვირთვისთანავე განცხადებას სისტემა ავტომატურად მიანიჭებს სტატუსს „შერჩევა/შეფასება“, რომელიც ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად, გამოჩნდება ყველა მსგავსი სტატუსის მქონე e-შესყიდვის შემთხვევაში.

<p>გამარტივებული ელექტრონული ტენდერი</p> <p>განცხადების ნომერი: SPA130000030</p> <p>შესყიდვის გამოცხადების თარიღი: 24.01.2013</p> <p>წინადადებების მიღების ვადა: 31.01.2013</p> <p>შემსყიდველი: შემსყიდველი #A</p> <p>შესყიდვის კატეგორია: 03300000-ფერმერული, ნანადირევი და თევზის პროდუქტები</p> <p>შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 4* 555.00 ლარი</p>	<p>შერჩევა/შეფასება</p> <p>მონაწილეთა რაოდენობა: 1</p>
---	--

8.1.1 დისკვალიფიკაციის სახეები

წინადადების მიღების დასრულების შემდეგ, როდესაც შემსყიდველის მიერ აიტვირთება კომისიის სხდომის ოქმი/ოქმები და სისტემის მიერ e-შესყიდვას ავტომატურად მიენიჭება სტატუსი „შეფასება/შერჩევა“, შემსყიდველს ტენდერის შემთხვევაში ეძლევა შესაძლებლობა გამოავლინოს გამარჯვებული პრეტენდენტი (არსებობის შემთხვევაში), ხოლო კონკურსის შემთხვევაში ეძლევა შესაძლებლობა სისტემურად დააფიქსიროს თვითთავი პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაციის ხაარისხის ჯამური ქულა და ღილაკის „ხარისხის ჯამური ქულის ფასთან აგრეგირება“ დაჭერით მოახდინოს ჯამური ქულის საკონკურსო წინადადების ფასთან აგრეგირება, ან დისკვალიფიკაცია გაუკეთოს პრეტენდენტს კანონმდებლობის შესაბამისად.

პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია როგორც ტენდერში ასევე კონკურსის შემთხვევაში უნდა მოხდეს ქვემოთ მოცემულ სურათზე ასახული ღილაკების გამოყენებით, რომელიც დამოკიდებული არის შესყიდვის სტატუსზე. სურათზე ასახული არის „შეფასება/შერჩევა“ სტატუსის მქონე განცხადების შესაბამისი დისკვალიფიკაციის ღილაკები.

მიმწოდებელი: სატესტო მიმწოდებელი

- დისკვალიფიკაცია ტექნიკური დოკუმენტაციის გამო
- პრეტენდენტმა უარი თქვა წინადადებაზე
- დისკვალიფიკაცია არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო

შესრულება

„გამარჯვებული გამოვლენილია“ სტატუსის შემთხვევაში, გამოჩნდება შემდეგი სახის დისკვალიფიკაციის ღილაკები:

მიმწოდებელი: სატესტო მიმწოდებელი

- დისკვალიფიკაცია საკვალიფიკაციო დოკუმენტების გამო
- პრეტენდენტმა უარი თქვა წინადადებაზე
- დისკვალიფიკაცია არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო

შესრულება



„გამარჯვებული გამოვლენილია“ სტატუსში კონკურსის შემთხვევაში შემოდის კიდეც ერთი დამატებითი სახის დისკვალიფიკაციის საფუძველი, რომლის დასახელებაა „დისკვალიფიკაცია წინადადების ფასის გაანგარიშების გამო“

„მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ სტატუსის შემთხვევაში, გამოჩნდება შემდგომი სახის დისკვალიფიკაციის ღილაკები:

ყურადღება

ღილაკზე „შესრულება“ დაჭერამდე, შემსყიდველი ვალდებულია ატვიროს სისტემაში კომისიის სხდომის ოქმი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის მიზეზების მითითებით

თითოეული ღილაკის მონიშვნის და ღილაკზე „შესრულება“ დაჭერის შედეგად, გამოდის ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა, რომლის მეშვეობითაც კანონმდებლობით გათვალისწინებული გარემოებების შესაბამისად, ხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის დადასტურება.

თითოეული სახის დისკვალიფიკაცია იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შედეგს (საგარანტიო თანხის დაბრუნება ან ჩამოჭრა, შავ სიაში შეყვანის მოთხოვნის სააგენტოსთვის გაგზავნა) და, შესაბამისად, ღილაკზე „შესრულება“ დაჭერის შემდეგ, შეტყობინების სახით ეკრანზე გამოდის დისკვალიფიკაციის შესაბამისი სახის შედეგის განმარტება. ამიტომ, სისტემა დისკვალიფიკაციის შესრულების საშუალებას არ იძლევა, ვიდრე შემსყიდველი არ მონიშნავს ველს „გავეცანი და ავტვირთე შესაბამისი დოკუმენტი“.

ყურადღება

ყოველი დისკვალიფიკაციის შემდეგ, სხვა პრეტენდენტის არსებობის შემთხვევაში, ტენდერის სტატუსი იცვლება ავტომატურად „შეფასება/შერჩევა“ სტატუსით, ხოლო კონკურსის შემთხვევაში „გამარჯვებული გამოვლენილია“ სტატუსით



8.2 სტატუსი - არ შედგა

თუ e-შესყიდვაში არც ერთი პრეტენდენტის მიერ არ იქნა წარდგენილი სატენდერო/საკონკურსო წინადადების ფასი, ამ შემთხვევაში, სისტემის მიერ ავტომატურად ხდება e-შესყიდვისთვის საბოლოო სტატუსის მინიჭება „არ შედგა“ და აღნიშნული სტატუსის მქონე შესყიდვა მიიღებს ქვემოთ მოცემული სურათის მსგავს სახეს.

	ერთეულობიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	არ შედგა
	განცხადების ნომერი: SPA150014978	
	შესყიდვის გამოცხადების თარიღი: 26.05.2015	
	წინადადებების მიღების ვადა: 01.06.2015	
	შემსყიდველი: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია	
	შესყიდვის კატეგორია: 24300000-ძირითადი არაორგანული და ორგანული ქიმიკატები	
	შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 26`520.00 ლარი	

8.3 სტატუსი - გამარჯვებული გამოვლენილია

8.3.1 გამარჯვებულის გამოვლენა ტენდერში

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში წარმოდგენილი იქნა სულ ცოტა ერთი სატენდერო წინადადება (ტექნიკური დოკუმენტაცია და სატენდერო წინადადების ფასი, რომელიც წარდგენილია ამისათვის განკუთვნილი სისტემური ველის გამოყენებით) და წინადადების წარმდგენი პრეტენდენტი შემსყიდველის მიერ არ არის დისკვალიფიცირებული, სისტემა იძლევა მხოლოდ სტატუსის „გამარჯვებული გამოვლენილია“ მინიჭების შესაძლებლობას.

შესყიდვის სტატუსის შეცვლა:

ამ შემთხვევაში, ზემოთ მოცემული სურათის მსგავსად, თქვენ აჭერთ ღილაკს „მინიჭება“, რის შედეგად სისტემის მიერ ავტომატურად ხდება ტენდერისთვის სტატუსის „გამარჯვებული გამოვლენილია“ მინიჭება და აღნიშნული სტატუსის მქონე ტენდერი მიიღებს ქვემოთ მოცემული სურათის მსგავს სახეს.

	ერთეულობიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	გამარჯვებული გამოვლენილია მონაწილეთა რაოდენობა: 2
	განცხადების ნომერი: SPA150014565	
	შესყიდვის გამოცხადების თარიღი: 21.05.2015	
	წინადადებების მიღების ვადა: 28.05.2015	
	შემსყიდველი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე	
	შესყიდვის კატეგორია: 30200000-კომპიუტერული მონაცემების მართვა და აქსესუარები	
	შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 3`598.00 ლარი	




ყურადღება

სტატუსი „გამარჯვებული გამოვლენილია“ არის ტენდერის გარდამავალი და არა საბოლოო სტატუსი.


8.3.2 გამარჯვებულის გამოვლენა კონკურსში

იმ შემთხვევაში, თუ კონკურსში წარმოდგენილი იქნა სულ ცოტა ერთი საკონკურსო წინადადება (ტექნიკური დოკუმენტაცია და საკუნკურსო წინადადების ფასი, რომელიც წარდგენილია ამისათვის განკუთვნილი სისტემური ველის გამოყენებით) და წინადადების წარმდგენი პრეტენდენტი შემსყიდველის მიერ არ არის დისკვალიფიცირებული, სისტემა იძლევა დოკუმენტაციის შეფასებისა და შეფასების შემდგომ ჯამური ქულის სისტემაში მითითების შესაძლებლობას.

იმისათვის რომ მოახდინოთ გამარჯვებულის გამოვლენა, ღილაკზე „შეფასება“ დაჭერით უნდა გადახვიდეთ შეფასების გვერდზე. შეფასების გვერდზე გადასვლის მაგალითი ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ სურათზე.



„შეფასება„ გვერდზე გადასვლის შემდგომ, „დოკუმენტების შეფასება“ ჩამოშლადი ველიდან ყოველი ორგანიზაციის გასწვრივ, თვითოეულ ჩამოშლად ველში უნდა მოახდინოთ შესაბამისი სტატუსის მინიჭება, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები



„დოკუმენტების შეფასება“ ჩამოშლადი ველების შევსების შემდგომ, შესაძლებლობა გეძლევათ გადახვიდეთ ხარისხის შეფასებაზე. ხარისხის შეფასებაზე გადასვლა ხდება ღილაკზე „დოკუმენტების შეფასების დასრულება“ დაჭერით, რის შემდგომაც გამოჩნდება ხარისხის შეფასების სამუშაო ველები, მსგავსად ქვემოთ მოცემული სურათისა.



ხარისხის შეფასება

პრეტენდენტი	შეფასების კოეფიციენტი
ნინო შადური	0.00
ნანა კორინთელი	0.00

ლილაკზე დაჭერის შემდგომ ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად, ეკრანზე გამოვა ხარისხის ჯამური შეფასების შედეგად მიღებული ხარისხის კოეფიციენტის სისტემაში მისათითებელი საუშაო ფანჯარა.

შეფასების კოეფიციენტი ✕

0

შეფასების კოეფიციენტის თვითოეულ ველში წერთ, შესაბამისი პრეტენდენტის მიერ მიღებული შეფასების კოეფიციენტს, რომელიც მიიღება ექსელში არსებული ხარისხის ჯამური ქულის დაანგარიშების მატრიცის გამოყენებით. შეფასების კოეფიციენტების მითითების დასრულებისთანავე, ავტომატურად გაიხსნება ხარისხის ჯამური ქულის დაანგარიშების შევსებული მატრიცის ასატვირთვი ველი, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.

პრეტენდენტი	შეფასების კოეფიციენტი
ნინო შადური	10.00
ნანა კორინთელი	5.54

შეფასების მატრიცა

ტვირთეთ ხარისხის ჯამური ქულის დაანგარიშების შევსებული მატრიცა (XLS ან XLSX ფაილი, მაქსიმალური ზომა 8 მგაბაიტი). ატვირთვის შემდეგ თქვენ ვეღარ შეძლებთ შეფასების კოეფიციენტების ცვლილებას.

გავეცანი

ფაილი No file chosen

შემდეგ, უნდა მონიშნოთ მოსანიშნი ველი „გავეცანი“ და დააჭიროთ ლილაკს „Choose File“, რომელიც საშუალებას მოგცემთ თქვენს კომპიუტერში *XLS ან XLSX ფორმატში* შენახული ჯამური ქულის დაანგარიშების შევსებული მატრიცის ფაილი მონიშნოთ და ბოლოს, ლილაკზე „მიმაგრება“ დაჭერით ატვირთოთ აღნიშნული ფაილი სისტემაში.



გახსოვდეთ

ჯამური ქულის დაანგარიშების შევსებული მატრიცის ფაილის ატვირთვის შემდგომ ველარ შემღებთ ვერანაირ ქმედებას, გარდა საკონკურსო კომისიის შესაბამისი ოქმის ატვირთვისა და ჯამური ქულის ფასთან აგრეგირებისა.

ჯამური ქულის დაანგარიშების შევსებული მატრიცის ატვირთვის შემდგომ, სავალდებულოა სისტემაში შედეგების გვერდზე აიტვირთოს საკონკურსო კომისიის შესაბამისი ოქმი. ოქმის ატვირთვისთანავე ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად, შეფასების გვერდზე ავტომატურად გამოჩნდება ღილაკი „**ხარისხის ჯამური ქულის ფასთან აგრეგირება**“. აღნიშნულ ღილაკზე დაჭერით, ავტომატურად მოხდება პრეტენდენტთა მიერ მიღებული ჯამური ქულებისა და საკონკურსო წინადადების ფასების აგრეგირება სისტემის მიერ, ხოლო საკონკურსო განცხადებას ასევე სისტემურად მიენიჭება სტატუსი „**გამარჯვებული გამოვლენილია**“. აგრეგირების და გამარჯვებულის გამოვლენის შემდგომ, შეფასების გვერდი მიიღებს ქვემოთ მოცემული სურათის შესაბამის სახეს.

#CNT15000013
დოკუმენტაცია
შეთავაზებები
შეფასება
შედეგები
ხელშეკრულება

← უკან

დოკუმენტაციის შეფასება

<p>პრეტენდენტი</p> <p> ნინო შადური</p> <p> ნანა კორინთელი</p>	<p>დოკუმენტის შეფასება</p> <p>დოკუმენტაცია შეესაბამება მოთხოვნას</p> <p>დოკუმენტაცია შეესაბამება მოთხოვნას</p>
ხარისხის შეფასება	
<p>პრეტენდენტი</p> <p> ნინო შადური</p> <p> ნანა კორინთელი</p>	<p>შეფასების კოეფიციენტი</p> <p style="font-size: 1.2em;">10</p> <p style="font-size: 1.2em;">5</p>

შეფასების მატრიცა

CNT15000013_შევსებული მატრიცა_New Microsoft Excel Worksheet.xlsx

საკონკურსო განცხადებაზე სტატუსის „**გამარჯვებული გამოვლენილია**“ მინიჭების შემდგომ, ცვლილებები მოხდება შეთავაზების გვერდზეც და თუ აღნიშნულ სტატუსამდე პრეტენდენტთა საკონკურსო წინადადების ფასი დახურული იყო და მხოლოდ პრეტენდენტებს ქონდათ წვდომა მათივე შეთავაზებულ თანხებზე, აღნიშნული სტატუსიდან უკვე ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომი გახდება თვითოეული პრეტენდენტის მიერ შეთავაზებული თანხა. თანხებთან ერთად შედეგების გვერდზე ასევე ხელმისაწვდომი გახდება თვითოეული პრეტენდენტისთვის სისტემის მიერ, მინიჭებული აგრეგირებული ქულა და შედეგების გვერდი მიიღებს ქვემოთ მოცემული სურათის შესაბამის სახეს.



#CNT15000013	დოკუმენტაცია	შეთავაზებები	შეფასება	შედეგები	ხელშეკრულება
← უკან		☺ გვერდის განახლება		▼ გადახდები	▼ ტექნიკური დოკუმენტაცია
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 78`478 მონოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015წ-ის 15 ივნისის ჩათვლით წინადადებების მიღება დასრულებულია					
პრეტენდენტი	შეთავაზებული თანხა / დრო	კოეფ.	აგრეირებული ქულა		
ნინო შადური	78`021 29.04.2015 10:10	10	0.19555037873123811066742254046468721025		
ნანა კორინთელი	60`000 29.04.2015 10:54	5	0.12900449424471461290947904719430067371		

8.4 სტატუსი - დასრულებულია უარყოფითი შედეგით

იმ შემთხვევაში, თუ e-შესყიდვაში წარმოდგენილი იქნა სულ ცოტა ერთი სატენდერო წინადადება (ტექნიკური დოკუმენტაცია და წინადადების ფასი, რომელიც წარდგენილია ამისათვის განკუთვნილი სისტემური ველის გამოყენებით) და წინადადების წარმდგენი ყველა პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია შემსყიდველის მიერ, სისტემა იძლევა მხოლოდ სტატუსის „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“ მინიჭების შესაძლებლობას.

შესყიდვის სტატუსის შეცვლა: ▼ მინიჭება

დასრულებულია უარყოფითი შედეგით

ამ შემთხვევაში, ზემოთ მოცემული სურათის მსგავსად, თქვენ აჭერთ ღილაკს „მინიჭება“, რის შედეგად სისტემის მიერ ავტომატურად ხდება e-შესყიდვისთვის საბოლოო სტატუსის „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“ მინიჭება და აღნიშნული სტატუსის მქონე შესყიდვა მიიღებს ქვემოთ მოცემული სურათის მსგავს სახეს.

ერთეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი დასრულებულია უარყოფითი შედეგით

განცხადების ნომერი: SPA150013539 მონაწილეთა რაოდენობა: 2

შესყიდვის გამოცხადების თარიღი: 08.05.2015

წინადადებების მიღების ვადა: 15.05.2015

შემსყიდველი: შემოსავლების სამსახური

შესყიდვის კატეგორია: 44100000-სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: **8`200.00 ლარი**

8.5 სტატუსი - მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება

e-შესყიდვისთვის სტატუსის „გამარჯვებული გამოვლენილია“ მინიჭების შემდეგ, სისტემა არ გაძლევთ e-შესყიდვისთვის სტატუსის შეცვლის შესაძლებლობას, თუ თქვენს მიერ არ იქნა ატვირთული კომისიის სხდომის ოქმი/ოქმები და სხვა შესაბამისი დოკუმენტი/დოკუმენტები (არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტის მიბმა ხდება ქვემოთ



მოცემული სურათის მაგალითზე. შემდეგ თქვენ ირჩევთ ფაილს და ლილაკზე „მიმაგრება“ დაჭერით ტვირთავთ კომისიის სხდომის ოქმს.

აქტიურთა ოქმი და სხვა შესაბამისი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში). (PDF ფაილი. მაქს: 8 მბ.)

ფაილი No file chosen

აღწერა

სატენდერო/საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის/ოქმების და დოკუმენტის/დოკუმენტების (არსებობის შემთხვევაში) ატვირთვის შემდეგ, სისტემა ავტომატურად გაძლევთ ორი შესაძლო სტატუსიდან ერთ-ერთის მინიჭების შესაძლებლობას:

ა) „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“, ვიდრე სახეზეა ერთი აქტიური (რომელიც არ არის დისკვალიფიცირებული) პრეტენდენტი მაინც, სისტემა იძლევა მხოლოდ „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ სტატუსის მინიჭების შესაძლებლობას.

შესყიდვის სტატუსის შეცვლა:

აღნიშნული სტატუსის მქონე შესყიდვა მიიღებს ქვემოთ მოცემული სურათის მსგავს სახეს.

ერთეაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება

განცხადების ნომერი: SPA150014584 მონაწილეთა რაოდენობა: 4

შესყიდვის გამოცხადების თარიღი: 21.05.2015

წინდადებების მიღების ვადა: 28.05.2015

შემსყიდველი: **ერთგული სკრინინგ ცენტრი**

შესყიდვის კატეგორია: 30200000-კომპიუტერული მონაცემები და აქსესუარები

შესყიდვის საგარაუდო ღირებულება: **7 800.00 ლარი**

ბ) „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“, თუ შესყიდვაში მონაწილე ყველა პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულ იქნა. სატენდერო/საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის/ოქმების და დოკუმენტის/დოკუმენტების (არსებობის შემთხვევაში) ატვირთვის შემდეგ, სისტემა იძლევა მხოლოდ სტატუსის „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“ მინიჭების შესაძლებლობას.

შესყიდვის სტატუსის შეცვლა:

აღნიშნული სტატუსის მქონე შესყიდვა მიიღებს ქვემოთ მოცემული სურათის მსგავს სახეს:



ერთეულის განმარტივებული ელექტრონული ტენდერი დასრულებულია უარყოფითი შედეგით
მონაწილეთა რაოდენობა: 2

განცხადების ნომერი: **SPA150013539**
 შესყიდვის გამოცხადების თარიღი: 08.05.2015
 წინდადებების მიღების ვადა: 15.05.2015
 შემსყიდველი: **შემოსავლების სამსახური**
 შესყიდვის კატეგორია: **4410000-სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები**
 შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: **8`200.00 ლარი**

ხელშეკრულების ატვირთვამდე და საბოლოო სტატუსი "ხელშეკრულება დადებულია" სტატუსისმინიჭებამდე შემსყიდველი ვალდებულია „შედეგების“ ველში საქონლის შესყიდვაზე დაამატოს კლასიფიკატორების აღწერა. ღილაკზე „**დამატება**“ დაჭერით გამოჩნდება ქვემოთ მოცემული ფანჯარა:

- **კლასიფიკატორი** - აღნიშნულ ველზე გადასვლით გამოჩნდება CPV კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი შესაბამისი კონკრეტული ობიექტებით;
- **მწარმოებელი ქვეყანა** - აღნიშნულ ველში ეთითება ქვეყანა სადას იწარმოება აღნიშნული პროდუქტი;
- **მწარმოებელი კომპანია** - აღნიშნულ ველში მიუთითეთ შესყიდვის ობიექტის მწარმოებელი კომპანიის დასახელება (მაგ. NOKIA);
- **მოდელი** - აღნიშნულ ველში მიუთითეთ შესყიდვის ობიექტის მოდელი (მაგ. E 72) ;
- **სპეციფიკაცია** - აღნიშნულ ველში უნდა ჩაიწეროს შესყიდვის ობიექტის რაიმე სპეციფიკურ თავისებურებათა განსაზღვრა. სპეციფიკაციის ველის შევსება სავალდებულო არ არის;
- **საკვანძო სიტყვები** - ამ ველში მიეთითება შესყიდვის ობიექტის განსხვავებული, შემსყიდველი ძებნისთვის უფრო მოსახერხებელი ან/და ყოფით პრაქტიკაში დამკვიდრებული დასახელება (მაგ. მობილური ტელეფონი, ტელეფონის აპარატი და ა.შ). საკვანძო სიტყვების ველის შევსება სავალდებულო არ არის;
- **რაოდენობა** - აღნიშნულ ველში უნდა დაფიქსირდეს შესყიდვის ობიექტის რაოდენობა



- **ერთეულის ღირებულება** - აღნიშნულ ველში უნდა დაფიქსირდეს შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულება და ვალუტა;
- **საერთო ღირებულება** - მას შემდეგ რაც დაფიქსირდება შესყიდვის ობიექტის რაოდენობა და ერთეულის ფასი შესაბამის ველში ავტომატურად ჩაიწერება შესყიდვის ჯამური ღირებულება.

ყურადღება

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამარტივებული ელექტრონული და ელექტრონული ტენდერის საშუალებით საქონლის შესყიდვის შემთხვევაში სავალდებულო ხასიათს ატარებს კლასიფიკატორის აღწერის ველის შევსება. მოცემული ინფორმაციის სრულად ასახვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილებას და პასუხისმგებლობას. შესაბამისად, გთხოვთ, ყურადღებით მოეკიდოთ მოცემულ ველში ინფორმაციის განთავსებას, რაც ითვალისწინებს მოსაწოდებელი საქონლის მონაცემების სრულად ასახვას და არა სიმბოლოების (მაგ: - / ? ; და ა.შ.) მითითებას.

8.6 სტატუსი - ხელშეკრულება დადებულია

„ხელშეკრულება დადებულია“ არის e-შესყიდვის ერთ-ერთი საბოლოო სტატუსი. აღნიშნული სტატუსის მინიჭება სისტემაში ისევე მარტივად და კომფორტულად ხდება, როგორც ყველა სხვა დანარჩენი სტატუსის მინიჭება.

ყურადღება

ტენდერის შემთხვევაში სტატუსის „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ მინიჭებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო კონკურსის შემთხვევაში 10 სამუშაო დღის განმავლობაში დაუშვებელია ხელშეკრულების დადება, მისი ატვირთვა სისტემაში და e-შესყიდვისთვის სტატუსის „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ მინიჭება.

მას შემდეგ, რაც თქვენ კონკრეტულ e-შესყიდვას ზემოთ მოცემული წესის დაცვით მიანიჭებთ სტატუსს „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“, სისტემა გაძლევთ საშუალებას მიანიჭოთ მას სტატუსი - „ხელშეკრულება დადებულია“ ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯრის



#SPA110000631 დოკუმენტაცია შეთავაზებები შედეგები **ხელშეკრულება**

← უკან

ხელშეკრულების მიმაგრება

გამარჯვებული: SATESTO55

ხელშეკრულება: Choose File No file chosen

ხელშეკრულების ნომერი:

ხელშეკრულების თანხა: 6152 00 ლარი ▼

ხელშეკრულება ძალაშია:

1. სამუშაო ველის „გამარჯვებული“ გასწვრივ სისტემა ავტომატურად აფიქსირებს შესყიდვაში გამარჯვებულ პრეტენდენტს.

გახსოვდეთ

პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება მხოლოდ სისტემური ღილაკების გამოყენებით, შესაბამისი ოქმის სისტემაში ატვირთვის შემდეგ. ამ პროცედურების თანმიმდევრობის დაცვის გარეშე, თქვენ ვერ მოახდენთ მომდევნო პრეტენდენტის შერჩევა/შეფასებასა და მასთან ხელშეკრულების დადებას.

2. სამუშაო ველის „ხელშეკრულება“ გასწვრივ, ღილაკი „Choose File“ დახმარებით კომპიუტერში მონიშნავთ კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად დადებულ ხელშეკრულებას დასკანერებული სახით.
3. სამუშაო ველის „ხელშეკრულების ნომერი“ გასწვრივ ჩაწერთ ხელშეკრულების ნომერს.
4. სამუშაო ველის „ხელშეკრულების თანხა“ გასწვრივ ამოწმებთ თანხას, რომელსაც სისტემა ავტომატურად აგენერირებს შერჩეული პრეტენდენტის მინიმალური შეთავაზების მიხედვით. თუ აღნიშნულ პრეტენდენტთან დადებული ხელშეკრულების ღირებულება ნაკლებია მის მინიმალურ შეთავაზებაზე, შესაბამისად უნდა მოახდინოთ სისტემის მიერ დაგენერირებული თანხის რედაქტირება და მიუთითოთ ის თანხა, რაზეც დაიდო ხელშეკრულება.
5. სამუშაო ველის „ხელშეკრულება ძალაშია“ გასწვრივ, ორი კალენდრის მეშვეობით აფიქსირებთ ხელშეკრულების მოქმედების ვადებს.

„1“-„5“ პუნქტებში აღწერილი პროცედურების შემდეგ, ღილაკზე „მიმაგრება“ დაჭერით, სისტემაში ატვირთავთ ხელშეკრულების ასლს, რის შედეგადაც ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა.



#SPA110000631 დოკუმენტაცია შეთავაზებები შედეგები **ხელშეკრულება**

◀ უკან

SATESTO55
 ნომერი/თანხა: N1254 / 6152 ლარი
 ხელშეკრულება ძალაშია: 23.06.2015 - 31.07.2015
 01.06.2015 21:24

ნახვა/გადმოწერა

ხელშეკრულების წაშლა

შეცდომის თავიდან აცილების მიზნით, ვიდრე შესყიდვას მიანიჭებთ სტატუსს „ხელშეკრულება დადებულია“, სისტემა გაძლევთ საშუალებას, რომ „ხელშეკრულების წაშლა“ ღილაკზე დაჭერით წაშალოთ ხელშეკრულება და შეცვალოთ შეცდომით ატვირთული დოკუმენტი ან/და სისტემაში შეცდომით მითითებული მონაცემები ხელშეკრულების შესახებ.

გახსოვდეთ

სტატუსის „ხელშეკრულება დადებულია“ მინიჭების შემდეგ, შეუძლებელია ატვირთული ხელშეკრულების ან/და სისტემაში ხელშეკრულების შესახებ მითითებული მონაცემების შეცვლა. ამიტომ, სტატუსის მინიჭებამდე ყურადღებით გადაამოწმეთ ხელშეკრულება ან/და სისტემაში ხელშეკრულების შესახებ მითითებული მონაცემები შეცდომის თავიდან აცილების მიზნით.

მას შემდეგ, რაც დარწმუნდებით, რომ ხელშეკრულება ან/და სისტემაში ხელშეკრულების შესახებ მონაცემები სწორად გაქვთ მითითებული, ქვემოთ მოცემული სურათის მაგალითზე შეგიძლიათ აღნიშნულ შესყიდვას მიანიჭოთ სტატუსი „ხელშეკრულება დადებულია“.

შესყიდვის სტატუსის შეცვლა: მინიჭება

ამ შემთხვევაში, ზემოთ მოცემული სურათის მსგავსად, თქვენ აჭერთ ღილაკს „მინიჭება“, რის შედეგად სისტემის მიერ ავტომატურად ხდება e-შესყიდვისთვის სტატუსის „ხელშეკრულება დადებულია“ მინიჭება და აღნიშნული სტატუსის მქონე შესყიდვა მიიღებს ქვემოთ მოცემული სურათის მსგავს სახეს.



ერთეტიპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

განცხადების ნომერი: SPA150014311
 შესყიდვის გამოცხადების თარიღი: 18.05.2015
 წინდადებების მიღების ვადა: 22.05.2015
 შემსყიდველი: **სმართ ლოჯიქი**
 შესყიდვის კატეგორია: 32400000-ქსელები
 შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: **4 755.00 ლარი**
 ხელშეკრულების თანხა: 5059

ხელშეკრულება დადებულია
 მიმდინარე ხელშეკრულება
 გამარტივებული: მანტა სისტემსი
 მონაწილეთა რაოდენობა: 2

8.7 ხელშეკრულების ცვლილება

მას შემდეგ, რაც შესყიდვას მიენიჭება სტატუსი „ხელშეკრულება დადებულია“, ხელშეკრულებას ავტომატურად ენიჭება სტატუსი „მიმდინარე ხელშეკრულება“. აღნიშნული სტატუსის დროს „ხელშეკრულება“ ღილაკის შესაბამისი გვერდი მიიღებს ქვემოთ მოცემული სურათის შესაბამის სახეს:

#CNT15000014 დოკუმენტაცია შეთავაზებები შეფასება შედეგები **ხელშეკრულება**

← უკან

მიმდინარე ხელშეკრულება
 გოგია მჭედლიშვილი :: 20.05.2015
 89 დღე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამონურვამდე

SATESTO55
 ნომერი/თანხა: N5555 / 780000000 ლარი
 ხელშეკრულება ძალაშია: 12.05.2015 - 29.08.2015
 20.05.2015 12:10 ნახვა/გადმოწერა

უფლებამონაცვლის მითითება

ხელშეკრულებაში შეცდომის გასწორება ხელშეკრულების ცვლილება

„მიმდინარე ხელშეკრულება“ სტატუსის დროს შესაძლებელია განახორციელოთ ხელშეკრულების ცვლილება და შემდგომ სისტემაში დააფიქსიროთ შესაბამისი მონაცემები. ხელშეკრულების ცვლილების განხორციელების მიზნით უნდა დააჭიროთ ღილაკზე „ხელშეკრულების ცვლილება“ რის შემდგომაც ეკრანზე მიიღებთ ქვემოთ მოცემული სურათის მსგავს ფანჯარას.

გამარტივებული SATESTO55 ▼

ხელშეკრულების ცვლილება Choose File No file chosen

ხელშეკრულების ნომერი (არ იცვლება) 5555

ხელშეკრულების თანხა 780000000 00 ლარი/თეთრი ▼

ხელშეკრულება ძალაშია 12.05.2015 23.05.2015

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული მოქმედების განხორციელების შემდეგ მისი შედეგის გაუქმება შეუძლებელი იქნება..

მიმავრება გაუქმება



- 1 სამუშაო ველის „გამარჯვებული“ გასწვრივ სისტემა ავტომატურად აფიქსირებს შესყიდვაში გამარჯვებულ პრეტენდენტს, რომელთანაც არის დადებული ხელშეკრულება. სამუშაო ველის „ხელშეკრულების ცვლილება“ გასწვრივ, ღილაკის „Choose File“ დახმარებით კომპიუტერში მონიშნავთ კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად დადებულ ხელშეკრულების ცვლილებას დასკანერებული სახით;

გახსოვდეთ

„ხელშეკრულების ცვლილების“ ატვირთვის შემდგომ მისი რედაქტირება არ ხდება. შემსყიდველის მიერ ცვლილების არასწორად ატვირთვის შემთხვევაში სააგენტო პასუხს არ აგებს შედეგებზე და შემსყიდველის უყურადღებობით გამოწვეული ნებისმიერი სახის შეცდომა მთლიანდ შემსყიდველის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

- 2 სამუშაო ველის „ხელშეკრულების ნომერი“ გასწვრივ ჩაწერთ ხელშეკრულების ნომერს;
- 3 სამუშაო ველში „ხელშეკრულების თანხა“ წერთ ხელშეკრულების თანხას;
- 4 სამუშაო ველის „ხელშეკრულება ძალაშია“ გასწვრივ, ორი კალენდრის მეშვეობით აფიქსირებთ ხელშეკრულების შესრულების ვადებს.

„1“-„4“ პუნქტებში აღწერილი პროცედურების შემდეგ, ღილაკზე „მიმაგრება“ დაჭერით, სისტემაში ატვირთავთ ხელშეკრულების ცვლილების ასლს, რის შედეგადაც ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი შედეგი.

ხელშეკრულების ცვლილება

ცვლილება 1

ნომერი/თანხა: N68 / 6092.5 ლარი

ხელშეკრულება ძალაშია: 22.07.2014 - 01.10.2014

01.08.2014 22:59

ნახვები: 25

ნახვა/გადმოწერა

8.8 ხელშეკრულებაში შეცდომის გასწორება

თუ ხელშეკრულების ატვირთვისას, ხელშეკრულების სისტემურ მონაცემებში დაშვებულია შეცდომა, ასეთის არსებობის შემთხვევაში თქვენ გაქვთ შესაძლებლობა, ნაცვლად ხელშეკრულების ცვლილებისა განახორციელოთ ხელშეკრულების მონაცემების ცვლილება, გარდა ხელშეკრულების დოკუმენტისა. ხელშეკრულებაში შეცდომის გასწორება შეს შესაძლებელია ქვემოთ მოცემულ სურათზე არსებული ღილაკის „ხელშეკრულებაში შეცდომის გასწორება“ :

✓ უფლებამონაცვლის მითითება

✓ ხელშეკრულებაში შეცდომის გასწორება

✓ ხელშეკრულების ცვლილება



ლილაკზე დაჭერის შემდგომ ეკრანზე მიიღებთ ქვემოთ მოცემული სურათის მსგავს ფანჯარას:

გამარჯვებული	SATESTO55 ▾		
ხელშეკრულების ნომერი	555		
ხელშეკრულების თანხა	20021	00	ლარი/თეთრი ▾
ხელშეკრულება ძალაშია	07.05.2015	31.05.2015	

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული მოქმედების განხორციელების შემდეგ მისი შედეგის გაუქმება შეუძლებელი იქნება..

სისტემა ავტომატურად აგენერირებს ხელშეკრულების მიზმისას თქვენს მიერ მითითებულ მონაცემებს და გაძლევთ შესაძლებლობას დაარედაქტიროთ ნებისმიერი ველი გარდა გამარჯვებული ორგანიზაციისა. საჭირო ველი/ველების რედაქტირების შემდგომ ლილაკზე „ცვლილების განხორციელება“ დაჭერით სისტემაში დააფიქსირებთ თქვენს მიერ ხელშეკრულების მონაცემებში განხორციელებულ ცვლილებებს. ხელშეკრულებაში შესწორებული მონაცემები სისტემაში აისახება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად:

ხელშეკრულებაში შეცდომის გასწორება

ცვლილება 1
 ნომერი/თანხა: N451 / 20021 ლარი
 ხელშეკრულება ძალაშია: 07.05.2015 - 31.05.2015
 01.06.2015 22:37

გახსოვდეთ
 ხელშეკრულებაში შეცდომის გასწორების დაფიქსირების შემდგომ მისი რედაქტირება არ ხდება. შემსყიდველის მიერ ცვლილების არასწორად ატვირთვის შემთხვევაში სააგენტო პასუხს არ აგებს შედეგებზე და შემსყიდველის უყურადღებობით გამოწვეული ნებისმიერი სახის შეცდომა მთლიანად შემსყიდველის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

8.9 უფლებამონაცვლის მითითება

ხელშეკრულების მიმდინარეობისა თუ მოხდა გამარჯვებული ორგანიზაციის შერწყმა სხვა სუბიექტთან, რის შემდგომაც ხელშეკრულებას გაუჩნდა უფლება მონაცვლე. თქვენ გაქვთ შესაძლებლობა სისტემაში მარტივად ასახოთ შესაბამისი ინფორმაცია. ამისათვის შედიხართ ხელშეკრულების გვერდზე და ქვემოთ მოცემულ სურათზე არსებული ლილაკის „უფლებამონაცვლის მითითება“ გამოყენებით ახდენთ უფლება მონაცვლის მითითებას.



✓ უფლებამონაცვლის მითითება

✓ ხელშეკრულებაში შეცდომის გასწორება ✓ ხელშეკრულების ცვლილება

ლილაკზე „უფლებამონაცვლის მითითება“ დაჭერის შემდგომ ეკრანზე მიიღებთ ქვემოთ მოცემული სურათის მსგავს ფანჯარას

▼ უფლებამონაცვლე ორგანიზაცია

...გ ჩანერა გაუქმება

(ძებნა მე-3 სიმბოლოდან)

✓ ხელშეკრულებაში შეცდომის გასწორება ✓ ხელშეკრულების ცვლილება

უფლება მონაცვლე ორგანიზაცია ველში ახდენთ უფლება მონაცვლე ორგანიზაციის ძებნას შესაბამისი სახელის აკრეფით. სახელის აკრეფისას სისტემა ავტომატურად ეძებს აღნიშნულ ორგანიზაციას სისტემაში რეგისტრირებული მიმწოდებლების სიაში და გაძლევთ მსგავსი დასახელებების ჩამონათვალს. ორგანიზაციების ჩამონათვალის და შემდგომ სიიდან უფლება მონაცვლის მითითების მაგალითი ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ სურათზე:

▼ უფლებამონაცვლე ორგანიზაცია

...გ ჩანერა გაუქმება

თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი
სასწრაფო დახმარება
შპს საქართველოს სწრაფი ჯგუფი

...გ შეცდომის გასწორება ✓ ხელშეკრულების ცვლილება

შესაბამისი ორგანიზაციის მოძებნის და მითითების შემდგომ, ლილაკზე „ჩანერა“ დაჭერით თქვენ სისტემაში დააფიქსირებთ უფლება მონაცვლეს. შესაბამისი ჩანაწერი განთავსდება, ხელშეკრულების ველში მითითებული გამარჯვებული ურგანიზაციის ქვეშ, როგორც ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.

“ NEW HAPPY DAY ”

უფლებამონაცვლე: შპს საქართველოს სწრაფი ჯგუფი ნახვა/გადმოწერა

ნომერი/თანხა: N55 / 4250 ლარი

ხელშეკრულება ძალაშია: 14.04.2015 - 30.04.2015

20.04.2015 14:05

8.10 ხელშეკრულების სტატუსის მიმდინარეობა

იმისათვის, რომ ხელშეკრულებას მიანიჭოთ საბოლოო სტატუსი, აუცილებელია ატვირთოთ შესაბამისი დოკუმენტაცია დოკუმენტის ატვირთვის მაგალითი ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ სურათზე:



ხელშეკრულებაში შეცდომის გასწორება
 ხელშეკრულების ცვლილება

დოკუმენტი თარიღი/ავტორი

ჩანაწერები არ არის

ატვირთეთ ოქმი და სხვა შესაბამისი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში). (PDF ფაილი. მაქს: 8 მბ.)

ფაილი No file chosen

აღწერა

დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად გამოჩნდება ხელშეკრულების შესაძლო სტატუსების მონიშვნის ველები, შესაბამისი სტატუსის მონიშვნის შემდგომ გააქტიურდება ღილაკი „მინიჭება“ რომლის დახმარებითაც შეძლებთ ხელშეკრულებას მიანიჭოთ საბოლოო სტატუსი.

ხელშეკრულების სტატუსის შეცვლა:

შესრულებული ხელშეკრულება
 შეუსრულებელი ხელშეკრულება

1) სტატუსის „შესრულებული ხელშეკრულება“ მინიჭების შემთხვევაში, ღილაკი „ხელშეკრულება“ მიიღებს შემდეგ სახეს:

#SPA140021128 დოკუმენტაცია შეთავაზებები შედეგები **ხელშეკრულება**

◀ უკან

შესრულებული ხელშეკრულება
გენადი მახარაძე :: 19.09.2014

შპს "ბესტ სელერი" - წიგნის სადისტრიბუციო სამსახური
 ნომერი/თანხა: N56 / 1084 ლარი
 ხელშეკრულება ძალაშია: 19.09.2014 - 06.11.2014

ნახვა/გადმოწერა

09.09.2014 16:59

2) სტატუსის „შეუსრულებელი ხელშეკრულება“ მინიჭების შემთხვევაში, ღილაკი „ხელშეკრულება“ მიიღებს შემდეგ სახეს.

#SPA140019808 დოკუმენტაცია შეთავაზებები შედეგები **ხელშეკრულება**

◀ უკან

შეუსრულებელი ხელშეკრულება
ირაკლი ნაცვალაძე :: 08.09.2014

ნიკოლოზ ტოკლიკიშვილი
 ნომერი/თანხა: N37 / 3000 ლარი
 ხელშეკრულება ძალაშია: 03.09.2014 - 13.10.2014

ნახვა/გადმოწერა

21.08.2014 11:02



ყურადღება

ხელშეკრულების საბოლოო სტატუსის („შეუსრულებელი ხელშეკრულება“ ან „შესრულებული ხელშეკრულება“) მინიჭებამდე, სისტემაში ინფორმაცია სრულად უნდა გქონდეთ მითითებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდების შესახებ. გახსოვდეთ, რომ ხელშეკრულების საბოლოო სტატუსის მინიჭების შემდეგ შეუძლებელია სისტემაში რაიმე სახის ცვლილების განხორციელება.

ხელშეკრულების საბოლოო სტატუსის მინიჭებამდე შემსყიდველმა უნდა მიუთითოს ფაქტობრივი გადახდები, შესაბამისი სავალდებულო ველებით:

- წელი
- კვარტალი
- დაფინანსების წყარო
- ავანსი
- გადახდის თარიღი

ფაქტობრივი გადახდები ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ სურათზე.

ფაქტობრივი გადახდები

ხაზინის მეშვეობით განხორციელებული გადახდები სისტემაში აისახება ავტომატურად და მომხმარებლის მიერ ხელით მითითებას არ საჭიროებს.

თანხა	წელი	კვარტალი	გადახდის თარიღი	თარიღი/ავტორი
ჩანაწერები არ არის				

წელი კვარტალი დაფინანსების წყარო

თანხა .00 ლარი ავანსი? გადახდის თარიღი

ყურადღება

ხაზინის მეშვეობით განხორციელებული გადახდები სისტემაში აისახება ავტომატურად და მომხმარებლის მიერ ხელით მითითებას არ საჭიროებს.

9. ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ანგარიშები (CMR)

იმისათვის, რომ შემსყიდველმა წარადგინოს შესაბამისი წლის განმავლობაში დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ თითოეული ხელშეკრულება (გარდა ელექტრონული ტენდერისა, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და კონკურსის შედეგად დადებული ხელშეკრულებისა) და მათთან დაკავშირებული ინფორმაცია ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამისი მოდულის (ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ანგარიშები CMR) მეშვეობით, შემსყიდველი შედის სისტემაში და ლილაკზე დაჭერით გადადის CMR მოდულში.

★ რჩეული შესყიდვები ● ჩემი პროექტები 📁 პროფილი **CMR** 📄 ePLAN ⏻ გამოსვლა




ყურადღება

CMR მოდულში უნდა აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ყველა ხელშეკრულების და მასთან გათანაბრებული ნებისმიერი დოკუმენტის (მათ შორის ცვლილებების განხორციელების და შეწყვეტის ამსახველი დოკუმენტის) ასლი, გარდა ელექტრონული ტენდერის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და კონკურსის შედეგად დადებული ხელშეკრულებისა.

ყოველი კონკრეტული ხელშეკრულების შესახებ მონაცემები უნდა აიტვირთოს ინდივიდუალური ანგარიშის სახით, რომელსაც სისტემა ავტომატურად ანიჭებს უნიკალურ ნომერს (მაგ. CMR110000001). ყოველ ინდივიდუალურ ანგარიშს უნდა მიეზღოს შესაბამისი კონკრეტული ერთი ხელშეკრულება ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი (ხელშეკრულების ცვლილების ან შეწყვეტის შენმთხვევაში - შესაბამისი დოკუმენტი).

CMR მოდული და მასში ახალი ანგარიშის რეგისტრაციის ღილაკი გამოსახულია ქვემოთ მოყვანილ სურათზე.



მას შემდეგ, რაც მომხმარებელი გადავა რეგისტრაციის მოდულში, მან უნდა გამოიყენოს ღილაკი 'ახალი ჩანაწერი', რომლის დაჭერის შედეგად ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა.



შესყიდვის ტიპი / საფუძველი *

მიმწოდებელი რეზიდენტი

პირადი ნომერი (კოდი/ID)

სახელი, გვარი (დასახელება)

არარეზიდენტი

ქვეყანა

პირადი ნომერი (კოდი/ID)

სახელი, გვარი (დასახელება)

კლასიფიკატორის კოდები

ხელშეკრულება მრავალწლიანი არა დიახ

ნომერი

დადების თარიღი

ძალაშია

თანხა GEL ▼

SMP ნომერი

დაფინანსება აუცილებელია

დამატებითი ინფორმაცია

- შესყიდვის ტიპი და საფუძველი: ამ ველში მომხმარებელმა უნდა მიუთითოს შესყიდვის ტიპი და საფუძველი ქვემოთ მოცემული სურათების მსგავსად

შესყიდვის ტიპი

შესყიდვის ტიპი / საფუძველი *

გამარტივებული შესყიდვა
კონსოლიდირებული ტენდერი



შესყიდვის საფუძველი

<p>მონეტარული ზღვრის დაცვით გადაუდებელი აუცილებლობით ექსკლუზივი ხარისხის გაუარესება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის დონისძიება ჩანაცვლება ნარმომადგენლობითი ხარჯები ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელები განსაზღვრული ნლოვანების ავტოსატრანსპორტო საშუალებები სსიპ უმაღლ/საგანმანათლებლო დანესებულებების გამონაკლისი გამართივებული შესყიდვები რეგენტა საბჭოს თანხმობით დაყოფა გეოგრაფიული დაშორების პრინციპით დაყოფა რაციონალურობის პრინციპით დაყოფა ობიექტური პირობებით კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა (გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა)</p>

შესყიდვის ტიპის და საფუძველის განსაზღვრის შემდგომ, მომხმარებელმა უნდა შეავსოს სამუშაო ველები;

➤ მიმწოდებელი (რეზიდენტი)

- **პირადი ნომერი (კოდი/ID)** სამუშაო ველში მომხმარებელი წერს მიმწოდებლის საიდენტიფიკაციო კოდს (ან პირად ნომერს ფიზიკური პირის შემთხვევაში). საიდენტიფიკაციო კოდის ნომრის ჩაწერის შემდგომ „სამეწარმეო რეესტრი“ ღილაკზე დაჭერით ან პირადი ნომრის ჩაწერის და ღილაკზე „სამოქალაქო რეესტრი“ დაჭერით ავტომატურად შეივსება ველი **სახელი, გვარი(დასახელება)** ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად;

პირადი ნომერი (კოდი/ID)	36001004410	სამეწარმეო რეესტრი	სამოქალაქო რეესტრი
სახელი, გვარი (დასახელება)	გოგიტა მჭედლიძე		

- **სახელი, გვარი (დასახელება)** იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის საიდენტიფიკაციო კოდით (ან პირადი ნომრით, ფიზიკური პირის შემთხვევაში) ძებნა არ განხორციელდა და **სახელი, გვარი (დასახელება)** ველი არ შეივსო ავტომატურად, მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა ხელით შეავსოს აღნიშნული ველი.

➤ მიმწოდებელი (არარეზიდენტი)

- **ქვეყანა** ჩამოშლად სამუშაო ველში უთითებთ ორგანიზაციის (ან ფიზიკური პირის) წარმომავლობის ქვეყანას;
- **პირადი ნომერი(კოდი/ID)** სამუსაო ველში უთითებთ ორგანიზაციის რაიმე უნიკალურ ნომერს(ან ფიზიკური პირის პირად ნომერს);




- **სახელი, გვარი(დასახელება)** სამუშაო ველში უთითებთ ორგანიზაციის(ან ფიზიკურის პირის) დასახელებას.

ყურადღება

მიმწოდებლის საიდენტიფიკაციო კოდის (ან პირადი ნომრის) და დასახელების/სახელის სწორად მითითებაზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება შემსყიდველს და სააგენტო პასუხს არ აგებს აღნიშული ინფორმაციის არასწორად მითითების შემთხვევაში.

- **კლასიფიკატორის კოდები** ხელშეკრულების რეგისტრაციისას შემსყიდველი ასევე ვალდებულია მიუთითოს შესყიდვის კატეგორია და კლასიფიკატორის CPV კოდი.

„კლასიფიკატორის კოდები“ ველში მომხმარებელს შეუძლია მიუთითოს კლასიფიკატორის კოდის სახელწოდება. არანაკლებ 3 ასობგერის ჩაწერის შემდეგ სისტემა მარჯვნივ მოცემული სურათის მსგავსად



ავტომატურად იძლევა საშუალებას, რომ მომხმარებელმა აირჩიოს მის მიერ ჩაწერილი ასობგერების შესაბამისი შესყიდვის ობიექტი. დილაკზე „შერჩევა“ დაჭერით სისტემა ეკრანზე უჩვენებს კლასიფიკატორის კოდების იერარქიულ ჩამონათვალს, რომელთაგან მომხმარებელი ირჩევს მისთვის სასურველს.

ყურადღება

შესყიდვის კატეგორია და კლასიფიკატორის CPV კოდის მითითება სავალდებულოა.

- **ხელშეკრულება**

ყურადღება

სისტემის მიერ ავტომატურად არის მონიშნული ველი „ერთწლიანი“. იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვა მრავალწლიანია, მომხმარებელმა უნდა მონიშნოს ველი „კი“ და მიუთითოს შესაბამისი წლების რაოდენობა, ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად);

ხელშეკრულება

მრავალწლიანი არა კი წელი

- **ნომერი** (ამ ველში მიეთითება ხელშეკრულების ნომერი, რომელიც მას მიანიჭა შემსყიდველმა და იგი დატანილია ხელშეკრულებაზე);
- **დადების თარიღი** (ამ ველში მიეთითება ხელშეკრულების დადების თარიღი);



- **მოქმედების ვადა** (ამ ველში მიეთითება ხელშეკრულების მოქმედების ვადა კალენდარის მოდულის გამოყენებით);
- **SMP ნომერი** (ეთითება იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვა განხორციელდა სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმებით გზით)
- **დაფინანსება** (ამ ველში მიეთითება რომელი წლის სახსრებით განხორციელდა შესყიდვა)
- **დამატებითი ინფორმაცია** (სამუშაო ველის შევსება სავალდებულო არ არის და ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველს მიზანშეწონილად მიაჩნია რაიმე სახის დამატებითი ინფორმაციის დაფიქსირება, რომელიც არ არის მოცემული სავალდებულო ველებში);
- **თანხა** ამ სამუშაო ველში უნდა მიეთითოს თანხა, რომელზეც დაიდო ხელშეკრულება ან ხელშეკრულების ცვლილების შემთხვევაში, შეცვლილი თანხა შესაბამისი ვალუტის მითითებით. აღნიშნული ველის შევსება სავალდებულოა და ყოველთვის განსხვავდება ნულისაგან გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა და სპეციალური წესის შესაბამისად დადებული იმ ხელშეკრულებისა, სადაც არ არის მითითებული ხელშეკრულების ღირებულება;

ყველა სავალდებულო ველის შევსების შემდგომ 'ჩაწერა' ღილაკზე დაჭერით ხდება განცხადების ჩაწერა პროექტის სახით. იმისათვის, რომ მომხმარებელმა შეძლოს განცხადების პროექტის რეგისტრაცია, მან უნდა მიუთითოს დამატებით სავალდებულო ინფორმაცია, რომლის მითითება არ ხდება განცხადების ჩაწერისას და რომლის გარეშე ხელშეკრულების რეგისტრაცია შეუძლებელია.


- **ფაქტიურად გადახდილი თანხის დამატება** ამ ველის შევსება სავალდებულოა. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაციის დროს ფაქტობრივი გადახდა არ მომხდარა, ეთითება ნული (0);
- **დაფინანსების წყარო** ამ ველში უნდა მიეთითოს შესაბამისი დაფინანსების წყარო, რომლიდანაც ხდება სახელშეკრულებო თანხის გადახდა. რამდენიმე დაფინანსების წყაროს შემთხვევაში, მიეთითება თითოეული დაფინანსების წყაროს პროცენტული წილი;
- **დოკუმენტი** ამ ველში უნდა აიტვირთოს ერთი კონკრეტული ხელშეკრულება ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი (მათ შორის ცვლილების განხორციელების და შეწყვეტის ამსახველი დოკუმენტი. ეს დოკუმენტი უნდა იყოს PDF ფორმატში, მაქსიმალური ზომით 8 მეგაბაიტი. დოკუმენტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.



ყურადღება

იმისთვის, რომ შემსყიდველმა შეძლოს ხელშეკრულების ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის რეგისტრაცია, პირველ ეტაპზე უნდა შეიქმნას ხელშეკრულების შესახებ ანგარიში პროექტის სახით. ამის შემდგომ პროექტს ამატებს დაფინანსების წყაროს, ფაქტობრივად გადახდილ თანხას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ამაგრებს ხელშეკრულების ასლს (**PDF ფორმატი, მაქსიმალური ზომა 8 მეგაბაიტი**) და ახდენს ხელშეკრულების რეგისტრაციას.

ანგარიშის პროექტის ზედა მხარეზე განთავსებულია ღილაკები:



- **უკან** ღილაკით მომხმარებელი ბრუნდება მთავარ გვერდზე;
- **განახლება** ღილაკით ხდება გვერდის განახლება;
- **რეგისტრაცია** ღილაკით ხდება განცხადების რეგისტრაცია;
- **პროექტის წაშლა** ღილაკით ხდება დაურეგისტრირებელი პროექტის წაშლა.

ერთობლივი შესყიდვის შემთხვევაში (როდესაც შესყიდვას ახორციელებს ერთი ან მეტი მონაწილე) შესაძლებელია შესაბამისი შემსყიდველების დამატება მათი წილის მითითებით.

ყურადღება

შემსყიდველის დამატება ხდება მხოლოდ ერთობლივი შესყიდვისას.



ანგარიშის პროექტის და რეგისტრირებული ანგარიშის ფორმა ასახული არის ქვემოთ მოყვანილ სურათზე.

გამარტივებული შესყიდვა შემსყიდველი: სატესტო შემსყიდველი (14598632468) მიმწოდებელი: ანა ვუუნაშვილი (01017054834) ერთლიანი ხელშეკრულება 03400000 - მეტყვეობისა და ხე-ტყის პროდუქტები თანხა: 125.00 GEL	ანგარიშის პროექტი 22.03.2013 16:24
CMR130000044 გამარტივებული შესყიდვა შემსყიდველი: სატესტო შემსყიდველი (14598632468) მიმწოდებელი: ანა ვუუნაშვილი (01017054834) ერთლიანი ხელშეკრულება 09100000 - საწვავი თანხა: 20.00 GEL	რეგისტრაციის თარიღი 21.03.2013 12:38

ყურადღება

ანგარიშის პროექტის რეგისტრაციისას ყურადღება მიაქციეთ ეკრანის ზედა მარჯვენა კუთხის ნიშნის  **სტატუსი: დაურეგისტრირებელი** არსებობას. ეს ნიშანი მიუთითებს მომხმარებლის მიერ დაშვებულ შეცდომაზე. ამ ნიშნის დაჭერის შედეგად, ეკრანის მარცხენა ზედა კუთხეში გამოჩნდება შეცდომის აღწერა.

10. ელექტრონული გეგმის მოდული (ePLAN)

იმისათვის, რომ შემსყიდველმა წლიური გეგმა წარადგინოს ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამისი მოდულის მეშვეობით კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში, შემსყიდველი შედის სისტემაში და  ღილაკზე დაჭერით გადადის ePLAN მოდულში. შემდგომ ახალი წლიური გეგმის წარსადგენად აჭერს ღილაკს „ახალი წლიური გეგმა“ და მიჰყვება ქვემოთ მოცემულ ინსტრუქციას.

საფინანსო წელი ერთლიანი/მრავალწლიანი:

შესყიდვის ვადები პირველი მეორე მესამე მეოთხე
(მონიშნეთ მინიმუმ ერთი კვარტალი)

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი

სავარაუდო ღირებულება ლარი. დაფინანსების წყარო

შესყიდვის საშუალება

პრეისკურანტით კი არა

ალტერნატიული შესყიდვა კი არა

ერთობლივი შესყიდვა კი არა

შენიშვნა

- საფინანსო წელი - აღნიშნულ ველში უნდა აირჩიოთ შესაბამისი საფინანსო წელი;



- **ერთლწლიანი/მრავალწლიანი** - შემსყიდველმა აღნიშნულ ველში უნდა მიუთითოს ერთლწლიანია შესყიდვა თუ მრავალწლიანი;
- **შესყიდვის ვადები** - შესყიდვის ვადებში იგულისხმება რომელ კვარტალში განხორციელდება შესყიდვა;

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი - აღნიშნულ ველში შემსყიდველმა უნდა შეარჩიოს შესყიდვის ობიექტის შესაბამისი CPV კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი;

- **სავარაუდო ღირებულება** - სავარაუდო ღირებულების ველში შემსყიდველმა უნდა მიუთითოს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება;
- **დაფინანსების წყარო** - აღნიშნულ ველში შემსყიდველმა ქვემოთ მოცემული სურათის მსგავს ველში უნდა მონიშნოს რომელი დაფინანსების წყაროდან მოხდება დაგეგმილი შესყიდვის ობიექტის შეძენა;

- **შესყიდვის საშუალება** - აღნიშნულ ველში შემსყიდველმა უნდა მონიშნოს შესყიდვის რომელი საშუალებით განხორციელდება დაგეგმილი შესყიდვის ობიექტის შეძენა (იხ. ქვემოთ მოცემული სურათი);

- **პრეისკურანტი** - აღნიშნულ მოსანიშნ ველში შემსყიდველი ირჩევს ვაჭრობის ტიპს - პრეისკურანტით ან პრეისკურანტის გარეშე;
- **ალტერნატიული შესყიდვა** - ამ ველის გააქტიურების შემთხვევაში შემსყიდველს შესაძლებლობა ექნება განახორციელოს საკომუნიკაციო მომსახურების ალტერნატიული შესყიდვა განსხვავებული მიმწოდებლისგან.
- **ერთობლივი შესყიდვა** - შემსყიდველს შეუძლია წლიურ გეგმაში მონიშნოს ერთობლივი შესყიდვის ველი, იმ შემთხვევაში თუ შესყიდვის ობიექტის შეძენა უნდა განხორციელდეს რამოდენიმე შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ერთობლივად.



ყურადღება

შემსყიდველ ორგანიზაციათა შეთანხმება სახელმწიფო შესყიდვის ერთობლივად განხორციელების თაობაზე იდება წერილობითი ფორმით, რომელსაც ხელს აწერენ შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციების ხელმძღვანელები ან მათ მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირები.

რეგისტრირებულ დაინტერესებულ მომხმარებლებს ePLAN მოდულის ძეხვის ველით შეუძლიათ მარტივად მოიძიონ მათთვის საინტერესო შესყიდვების წლიური გეგმა. ასევე, სისტემა მომხმარებლებს საშუალებას აძლევს წლიური გეგმის ჩანაწერების ექსპორტი მოახდინონ Excel-ში.

11. გამარტივებული შესყიდვის შეთანხმება სააგენტოსთან

შემსყიდველი ორგანიზაციები ვალდებული არიან, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ შესაბამისად, ხელშეკრულების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება შესყიდვის განხორციელებამდე შეთანხმონ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან (შემდგომში – სააგენტო), სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ჩაშენებული SMP მოდულში მომართვის წარდგენის გზით.

სააგენტოსთან შეთანხმებას ექვემდებარება ის გამარტივებული შესყიდვები, რომელებიც ხორციელდება შემდეგი საფუძვლებით:

1. შესყიდვის ობიექტი მიწოდება წარმოადგენს ერთი პირის ექსკლუზიურ უფლებას;
2. არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა;
3. მიმწოდებლისგან შესყიდული შესყიდვის ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან ასაცილებლად ან შესყიდვის ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა შესყიდვა განხორციელდეს იმავე მიმწოდებლისგან ან იმავე მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვეკონტრაქტორისგან;



4. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარებისთვის გათვალისწინებულია შეზღუდული ვადები;

5. იმ შემთხვევაში, თუ გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შესყიდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების სააგენტოსთან შეთანხმება შეუძლებელია, რადგან შესყიდვის დაყოვნება, ალბათობის მაღალი ხარისხით, გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს გადაუდებელი აუცილებლობით დაცულ სიკეთე(ებ)ს, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, დაიწყოს შესყიდვის პროცედურები, რაზეც იგი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას და აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ მიმართავს სააგენტოს სისტემის SMP მოდულის საშუალებით.

გამარტივებული შესყიდვის შესახებ სააგენტოსადმი წარდგენილი მომართვის საფუძვლიანობა და დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობა მოწმდება SMP მოდულში ჩაშენებული კითხვარით. ზემოხსენებული საფუძვლებით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების უფლება შემსყიდველს წარმოეშობა მხოლოდ სააგენტოს თანხმობის მიღების შემთხვევაში.

11.1 გამარტივებული შესყიდვის ერთობლივად განხორციელება


შემსყიდველ ორგანიზაციებს უფლება აქვთ, გამარტივებული შესყიდვა განახორციელონ ერთობლივად. შესყიდვის ერთობლივად განსახორციელებლად საჭიროა წერილობითი ფორმით დაიდოს შეთანხმება შემსყიდველ ორგანიზაციებს შორის, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველი ორგანიზაციების ხელმძღვანელები ან მათ მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირები. ამასთან, თუ, ერთობლივი შესყიდვა ხორცილდება ერთ სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ, შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ზემდგომი თანამდებობის პირის ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე. ასეთი შეთანხმება ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აუცილებელია აიტვირთოს სისტემის SMP მოდულში, სააგენტოსთან გამარტივებული შესყიდვის შეთანხმების მომართვასთან ერთად.


ერთობლივი შესყიდვის შესახებ შეთანხმება ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აუცილებელია შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

1. გამარტივებული შესყიდვის განხორციელების საფუძველი და პირობები;
2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პირობები;
3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების წესი;
4. მითითებას იმ შემსყიდველი ორგანიზაციის შესახებ, რომელიც შეთანხმების მონაწილეთა გადაწყვეტილებით უფლებამოსილია გამარტივებული შესყიდვის შესახებ მიმართვა წარადგინოს SMP მოდულში.



11.2 SMP მოდულში გამარტივებული შესყიდვის შესახებ მომართვის წარდგენა

SMP მოდულში შეთანხმების მომართვის წარსადგენად, პირველ ყოვლისა, უნდა გაიაროთ ავტორიზაცია სისტემაში (არსებული მომხმარებლის სახელითა და კოდით). სისტემაში შესვლის შემდეგ, გადადით SMP მოდულში (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი) და დააჭირეთ ღილაკს .



მომართვის გასაკეთებლად აუცილებელია მიეთითოს შესაბამისი ინფორმაცია. მაგალითად, როდესაც შესყიდვის ობიექტის მიწოდება წარმოადგენს ერთი პირის ექსკლუზიურ უფლებას, აუცილებელია შეივსოს შემდეგი ინფორმაცია (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი):

1. შესყიდვის საფუძველი (საჭიროა მონიშნოთ ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთერთი)⁵:
 - ექსკლუზიური უფლებამოსილება;
 - გადაუდებელი აუცილებლობა;
 - შეთანხმება გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შემდგომ;
 - ხარისხის გაუარესების თავიდან აცილება;
 - ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება.
2. მიმწოდებლის წარმომავლობა;
3. მიმწოდებლის საიდენტიფიკაციო კოდი;
4. მიმწოდებლის დასახელება;
5. შემსყიდველი ორგანიზაციის ზემდგომი ორგანო;
6. კლასიფიკატორის კოდები;
7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები;
8. შესყიდვის ღირებულება;

ასევე, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის მითითება შენიშვნების ველში.

⁵ სხვადასხვა შესყიდვის საფუძვლის არჩევის შემთხვევაში შესაბამისად იცვლება მისათითებელი დამატებითი ინფორმაცია.



ახალი ჩანაწერი ✕

შესყიდვის საფუძველი

- ექსკლუზიური უფლებამოსილება
- გადაუდებელი აუცილებლობა
- შეთანხმება გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შემდგომ
- ხარისხის გაუარესების თავიდან აცილება
- ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება

მიმწოდებელი

რეზიდენტი არარეზიდენტი

კოდი სახელი

შემდგომი ორგანო ..გ

კლასიფიკატორის კოდები ..გ

CPV

შესყიდვის ობიექტის შინაგონების ვადები

შესყიდვის ღირებულება

შენიშვნა

ჩანწერა გაუქმება

აღნიშნული ინფორმაციის მითითების შემდეგ, უნდა დააჭიროთ ღილაკს **ჩანწერა** რის შემდეგაც სისტემა ავტომატურად დააგენერირებს მითითებული ინფორმაციის შესაბამის კითხვარს, რომლის შევსებაც სავალდებულოა მიმართვის წარსადგენად (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი).

1. რა არის შესყიდვის ობიექტი?

პასუხი

2. რით არის განპირობებული შესყიდვის საჭიროება?

პასუხი

3. რა მეთოდით დადგინდა პირის ექსკლუზიური უფლებამოსილება?

პასუხი

4. რა მეთოდით დადგინდა, რომ არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად?

პასუხი

კითხვებზე პასუხების გასაცემად საჭიროა დააჭიროთ ღილაკს **პასუხი** და შესაბამისი ინფორმაციის ჩაწერის/მოწიშვნის/ატვირთვის შემდგომ, დააჭიროთ ღილაკს **ჩანწერა** (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი).



კითხვა/პასუხი ✕

5. რა მეთოდით განისაზღვრა შესყიდვის სავარაუდო ღირებულება?

ჩანერა გაუქმება

კითხვა/პასუხი ✕

7. რამდენად შესაძლებელია, რომ შესყიდვის ობიექტი დანაწევრდეს ცალკეულ კომპონენტებად და იმგვარად იქნეს შესყიდული? (კი/არა)

კი

არა


ჩანერა გაუქმება

გამარტივებული შესყიდვის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების ასატვირთად, დააჭირეთ ღილაკს პასუხი, რომელიც მოცემულია ველის „გთხოვთ ატვირთოთ გამარტივებული შესყიდვის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება“ ქვემოთ. შემდეგ დააჭირეთ ღილაკს „Choose File“, აირჩიეთ საჭირო დოკუმენტი თქვენი კომპიუტერიდან და დააჭიროთ ღილაკს ჩანერა „ჩაწერა“.

საჭიროების შემთხვევაში, თქვენ საშუალება გაქვთ, თქვენს ჩანაწერს დაურთოთ დამატებითი ინფორმაცია ელექტრონული ფაილის სახით. ამისათვის უნდა დააჭიროთ ღილაკს „Choose File“, შემდეგ აირჩიოთ საჭირო დოკუმენტი თქვენი კომპიუტერიდან და დააჭიროთ ღილაკს „მიმაგრება“.




კითხვარის სრულად შევსებისა და გამარტივებული შესყიდვის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების ატვირთვის შემდეგ, იმისათვის, რათა თქვენი მომართვა დარეგისტრირდეს სისტემაში, აუცილებელია დააჭიროთ ღილაკს **რეგისტრაცია**. თუ გსურთ მიმართვის ინფორმაციაში ცვლილების შეტანა, დააჭიროთ ღილაკს **რედაქტირება**. მომართვის პროექტის წაშლა შესაძლებელია ღილაკზე **წაშლა** დაჭერით (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი).



11.3 სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღება და მომართვის სტატუსები

შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილ მომართვას სააგენტო იხილავს წარდგენიდან არაუადრეს 2 და არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში.

მომართვის რეგისტრაციის შემდეგ, მიმართვას ავტომატურად მიენიჭება საიდენტიფიკაციო ნომერი, მიმდინარე სტატუსი (თავდაპირველად მომართვას ენიჭება სტატუსი „განიხილება“ (რომელიც შემდგომში იცვლება შემსყიდველი ორგანიზაციისა და სააგენტოს ქმედებების შესაბამისად) და განხილვის საბოლოო თარიღი (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი). მომართვაში ასევე შეგიძლიათ იხილოთ მინიჭებული სტატუსების ქრონოლოგია, როგორც ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.



სტატუსების ქრონოლოგია





სააგენტო უფლებამოსილია, შემსყიდველ ორგანიზაციას მოსთხოვოს მომართვის დაზუსტება, თუ იგი არ შეიცავს სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციას. ასეთ შემთხვევაში, მომართვას ენიჭება სტატუსი „დასაზუსტებელია“. შედეგად, შემსყიდველ ორგანიზაციას მომართვის დასაზუსტებლად განესაზღვრება 1 სამუშაო დღის ვადა (18:00 საათამდე), რა პერიოდშიც სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადის დინება ჩერდება. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მომართვის დაზუსტების შემდეგ, მომართვას ენიჭება სტატუსი „დაზუსტებულია“, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია განსაზღვრულ ვადაში არ დააზუსტებს მომართვას ან დააზუსტებს არასრულყოფილად, მიმართვა რჩება განუხილველი და, შესაბამისად, მას მიენიჭება სტატუსი „განუხილველი“.

იმ შემთხვევაში, თუ მომართვა არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, სააგენტო დასაბუთებულ უარს უცხადებს შემსყიდველს გამარტივებულ შესყიდვაზე თანხმობის მიცემაზე. ასეთ შემთხვევაში, მომართვას ენიჭება სტატუსი „უარყოფილია“. მომართვაზე სააგენტოს მიერ თანხმობის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას არ აქვს უფლება, შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული წესით. ასეთ შემთხვევაში, იგი ვალდებულია, შესყიდვა განახორციელოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თუ წარდგენილი მომართვა სრულად შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას მომართვაზე თანხმობის გაცემის შესახებ და მომართვას ენიჭება სტატუსი „თანხმობა გაცემულია“.

სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, შემსყიდველს საშუალება აქვს, გაიხმოს მომართვა. ასეთ შემთხვევაში, მიმართვას ენიჭება სტატუსი „გახმობილია“.

11.4 მომართვის საჯაროობა და დაინტერესებული პირის მიერ მასზე მოსაზრების დაფიქსირება

სახელმწიფო შესყიდვების პროცესებში გამჭვირვალობის პრინციპიდან გამომდინარე, შემსყიდველი ორგანიზაციების სააგენტოსადმი მომართვა გამარტივებულ შესყიდვაზე თანხმობის მისაღებად ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

სისტემაში რეგისტრირებულ მომხმარებელსა და სტუმარს⁶ საშუალება აქვთ, სააგენტოს მიერ შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, წარადგინონ მათი მოსაზრებები შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, SMP მოდულში არსებული კომენტარების ფუნქციის გამოყენებით. სააგენტო შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვაზე გადაწყვეტილების მიღებისას, ასევე იხილავს მომართვაზე დაინტერესებული პირების მიერ დაფიქსირებულ მოსაზრებებს.

⁶ იმისათვის, რათა სტუმრის სტატუსით მოსარგებლე დაინტერესებულმა პირმა შეძლოს SMP მოდულის ნახვა და შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე კომენტარის გაკეთება, საჭიროა სისტემაში სტუმრის სტატუსით სისტემაში შესვლის შემდეგ, მან დამატებით გაიაროს ავტორიზაცია Facebook-ის ანგარიშით.




12. შესყიდვის ელ. პროცედურა დონორის სახსრებით


სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, შესყიდვის ელ. პროცედურა დონორის სახსრებით შეიძლება დავყოთ სამ ეტაპად: **პირველი ეტაპი** - შემსყიდველის მიერ ახალი DEP შესყიდვის გამოცხადება, **მეორე ეტაპი** - მიმწოდებლის მიერ შესყიდვაში მონაწილეობა და **მესამე ეტაპი** - ხელშეკრულების გაფორმება.

12.1 პირველი ეტაპი - DEP შესყიდვის გამოცხადება


შემსყიდველი, როგორც სისტემის რეგისტრირებული მომხმარებელი, ახალი DEP- შესყიდვის გამოცხადების მიზნით უნდა შევიდეს სისტემაში მისი სახელითა და პაროლით. სისტემაში შესვლის შემდეგ გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი სამუშაო ფანჯარა შემდეგი ფუნქციური ღილაკებით:



შესყიდვის გამოცხადების მიზნით, თქვენ უნდა გამოიყენოთ ღილაკი „ახალი შესყიდვა“, რომლის დაჭერის შედეგად ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი სამუშაო ფანჯარა.



უპირველეს ყოვლისა, ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად, თქვენ უნდა დაკლიკოთ ღილაკზე - **შესყიდვა დონორის სახსრებით**



შესყიდვის ტიპის განსაზღვრის შემდეგ, ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი სამუშაო ფანჯარა:



შესყიდვა დონორის სახსრებით ✕

შესყიდვის ტიპი შესყიდვის ელ. პროცედურა დონორის სახსრებით

დონორი

პროგრამის დასახელება

ლოტის დასახელება / N:

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი

დამატებითი ინფორმაცია

შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა

მოწოდების ვადა

წინადადებების წარმოდგენის ვადა

დაფინანსება

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ლარი

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს

ჩანერა გაუქმება

- დონორი (აღნიშნულ ველში ეთითება დონორის დასახელება);
- პროგრამის დასახელება
- ლოტის დასახელება / N

კლასიფიკატორის კოდები ტექსტურ ველში თავად შეგიძლიათ მიუთითოთ კლასიფიკატორის კოდის სახელწოდება. არანაკლებ 3 ასობგერის ჩაწერის შემდეგ სისტემა მარჯვნივ მოცემული სურათის მსგავსად ავტომატურად მოგცემთ საშუალებას აირჩიოთ თქვენს მიერ ჩაწერილი ასობგერების შესაბამისი შესყიდვის ობიექტი. ღილაკზე „შერჩევა“ დაჭერით სისტემა ეკრანზე გაჩვენებთ კლასიფიკატორის კოდების იერარქიულ ჩამონათვალს, რომელთაგან აირჩევთ თქვენთვის სასურველს;

ყურადღება

შესყიდვის გამოცხადებისას, აუცილებელია შესაბამისი შესყიდვის ობიექტის ყველაზე დეტალური CPV კოდის არჩევა. თუ ეს შეუძლებელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნას არჩეული უფრო ზედა იერარქიული კატეგორია, ხოლო კონკრეტული შესყიდვის ობიექტის დასახელება უნდა მიეთითოს ველში „დამატებითი ინფორმაცია“.

- დამატებითი ინფორმაცია;
- შესყიდვების რაოდენობა ან მოცულობა;
- მოწოდების ვადა;
- წინადადებების წარმოდგენის ვადა (აღნიშნული სამუშაო ველი ავტომატურად თვლის წინადადების წარმოდგენის შესაძლო მინიმალურ ვადას შესყიდვის ტიპის მიხედვით);



- დაფინანსება (აღნიშნულ ველში ეთითება თუ რომელი წლის სახსრებით ხდება შესყიდვა)
- შესყიდვის საგარაუდო ღირებულება (ღირებულება წარმოდგენილი უნდა იყოს ლარებში)
- წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს (აღნიშნულ ველში ეთითება წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გარეშე თუ დღგ-ს ჩათვლით).

ზემოთ მოცემული სამუშაო ველების შევსების შემდეგ, თუ გსურთ, რომ სისტემამ შეინახოს შესყიდვის განცხადების შესახებ ინფორმაცია, უნდა დააჭიროთ ღილაკს „ჩაწერა“, წინააღმდეგ შემთხვევაში კი – ღილაკს „გაუქმება“.

ღილაკზე „ჩაწერა“ დაჭერით, განცხადების შესახებ ინფორმაცია ავტომატურად განთავსდება შესყიდვის განცხადებების პროექტების ჩამონათვალში, რომელიც ხელმისაწვდომი ხდება ღილაკზე „ჩემი პროექტების“ დაჭერის შედეგად. თქვენს სამუშაო ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა.

The screenshot shows a web interface for a procurement project. At the top, there are tabs for '#', 'დოკუმენტაცია', 'შეთავაზებები', 'შედეგები', and 'ხელშეკრულება'. The main content area displays the following information:

- პროექტი:** ტენდერი დასრულება ძირითად დროში. დამატებითი რაუნდები არ გაიმართება
- შესყიდვის ტიპი:** შესყიდვის ელ. პროცედურა დონორის სახსრებით
- დონორი:** მსოფლიო ბანკი
- განცხადების ნომერი:** N/A
- ტენდერის სტატუსი:** განცხადების პროექტი
- შემსყიდველი:** ტყიბულის მუნიციპალიტეტი
- გამოცხადების თარიღი:** 23.06.2014 00:00
- წინადადებების მიღება იწყება:** 25.06.2014 12:30
- წინადადებების მიღება მთავრდება:** 2015 წლის სახსრები
- დაფინანსების წყარო:** 5`555`777.00 GEL
- შესყიდვის საგარაუდო ღირებულება:** დღგ-ს გარეშე
- კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი:** 09300000 - ელექტრო, სითბური, მზისა და ბირთვული ენერჯია
- კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი:** 09300000 - ელექტრო, სითბური, მზისა და ბირთვული ენერჯია
- შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა:** მითითებულია მიმაგრებულ ფაილში სახელწოდებით ტექნიკური დავალება
- მონოდების ვადა:** ხელშეკრულების გაფორმებიდან 150 კალენდარული დღის განმავლობაში
- დამატებითი ინფორმაცია:** ქ. ტყიბულში ბეტონისსაფარიანი გზების მონყობა

At the bottom right, there is a timestamp: 'განცხადების ჩანერა: გოგია მჭედლოშვილი :: 27.05.2014 11:11' and 'ბოლო შესწორება: გოგია მჭედლოშვილი :: 28.05.2014 13:22'. At the bottom, there are buttons for 'რედაქტირება', 'რეგისტრაცია', 'განცხადების ისტორია', 'ბეჭდვა', and 'პროექტის ნაშლა'.

სისტემა საშუალებას გაძლევთ განცხადების პროექტში ღილაკის „რედაქტირება“ დახმარებით თქვენთვის სასურველი ცვლილებები შეიტანოთ, ღილაკზე „ბეჭდვა“ დაჭერით ამობეჭდოთ იგი ან ღილაკის „პროექტის წაშლა“ დახმარებით საერთოდ წაშალოთ სისტემიდან.

თუ გსურთ, რომ თქვენს მიერ შემუშავებულმა განცხადების პროექტმა მიიღოს განცხადების სახე, თქვენ უნდა დააჭიროთ ღილაკს „დოკუმენტაცია“ და ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა,

The screenshot shows a web interface for uploading documents. At the top, there are tabs for '#', 'დოკუმენტაცია', 'შეთავაზებები', 'შედეგები', and 'ხელშეკრულება'. The main content area displays the following information:

- დოკუმენტაცია:** დოკუმენტაცია მიმაგრებული არ არის
- ახალი დოკუმენტის მიმაგრება (PDF ფაილი. მაქსიმალური ზომა 8 მეგაბაიტი):**
- ფაილი:** Choose File No file chosen
- აღწერა:** [Empty text field]
- მიმაგრება:** [Upload button]



შემდეგ, უნდა დააჭიროთ ღილაკს „Choose File“, რომელიც საშუალებას მოგცემთ თქვენს კომპიუტერში **PDF ფორმატში** შენახული შესყიდვის დოკუმენტაცია მონიშნოთ, შემდეგ მოკლედ მიუთითოთ სამუშაო ველში „აღწერა“, თუ რას ეხება ეს დოკუმენტი და ბოლოს, ღილაკზე „მიმაგრება“ დაჭერით ატვირთოთ აღნიშნული დოკუმენტი სისტემაში.

ყურადღება

ნებისმიერი დოკუმენტი, რომელსაც სისტემაში ატვირთავთ, უნდა იყოს **PDF, XLS ან XLSX ფორმატში**, რომლის მაქსიმალური ზომა არ უნდა აღემატებოდეს 8 მეგაბაიტს.

ზემოაღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ, სისტემაში შედის შესაბამისი ორგანიზაციის პრივილეგირებული მომხმარებელი, რომელსაც გააჩნია შესყიდვის განცხადების რეგისტრაციაზე თანხმობის უფლება და ეთანხმება რეგისტრაციას „თანხმობა რეგისტრაციაზე“ ღილაკზე დაჭერით. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ პრივილეგირებული პირის მიერ არ მოხდა რეგისტრაციის დასტური შემსყიდველს არ აქვს უფლება დაარეგისტროს აღნიშნული განცხადება.

რეგისტრაციაზე თანხმობის შემდგომ, თქვენ უნდა დაბრუნდეთ შესყიდვის განცხადების ველში და დააჭიროთ ღილაკს „რეგისტრაცია“, რის შედეგად განცხადებას სისტემის მიერ მიენიჭება უნიკალური ნომერი, სტატუსი „გამოცხადებულია“ და ყველა დაინტერესებულ პირს ექნება შესაძლებლობა ნახოს შესყიდვის ელ. პროცედურა დონორის სახსრებით გამოცხადებული შესყიდვის განცხადება და შესაბამისი წესის დაცვით წარადგინოს საკუთარი წინადადებები.

გახსოვდეთ

თქვენს მიერ გამოცხადებული შესყიდვის შეწყვეტა, შესაბამისი დასაბუთების არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ ნებისმიერ დროს გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესყიდვის სტატუსია „ხელშეკრულება დადებულია“.

სტატუსის „გამოცხადებულია“ შემთხვევაში, შემსყიდველს აქვს შესყიდვის განცხადების რედაქტირების უფლება. განცხადების პროექტისგან განსხვავებით, როდესაც შემსყიდველს შეეძლო დოკუმენტის წაშლა, რეგისტრირებულ განცხადების შემთხვევაში მას აქვს მხოლოდ დოკუმენტის გაუქმების და ახალი დოკუმენტის ატვირთვის უფლება.

The screenshot shows a web interface for document management. At the top, there are navigation tabs: "# დოკუმენტაცია", "შეთავაზებები", "შედეგები", and "ხელშეკრულება". Below the tabs is a "უკან" (Back) button and a "დოკუმენტაცია" (Documents) header. A table lists documents with columns for "# მიმაგრებული ფაილები" (Attached files) and "თარიღი/ავტორი" (Date/Author). One document is listed: "1. _ დოკუმენტაცია.pdf" with a date of "04.09.2014 15:07" and a status of "გოგითა შევსებული" (Completed). Below the table is a form for uploading a document, with the text "ახალი დოკუმენტის მიმაგრება (PDF ფაილი. მაქსიმალური ზომა 8 მეგაბაიტი)". The form includes a "ფაილი" (File) section with a "Browse..." button and "No file selected." text, and an "აღწერა" (Description) section. A "მიმაგრება" (Upload) button is at the bottom. A red arrow points to the "მიმაგრება" button.

დოკუმენტის გაუქმების შემდეგ, შემსყიდველი ირჩევს ახალ ფაილს და ღილაკზე „მიმაგრება“ დაჭერით ახდენს ახალი დოკუმენტის ატვირთვას.



გაუქმებული დოკუმენტი ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისთვის და მისი გახსნა-წაკითხვა შესაძლებელია, მსგავსად აქტიური დოკუმენტისა. გაუქმებული დოკუმენტის შემთხვევა გამოსახულია ქვემოთ მოცემულ სურათზე.

#	დოკუმენტაცია	შეთავაზებები	შედევები	ხელშეკრულება
სატენდერო დოკუმენტაცია				
#	მიმავრებული ფაილები	თარიღი/ავტორი		
1.	სატენდერო-დოკუმენტაცია -სატენდერო-დოკუმენტაცია.pdf	20.05.2015 13:21 გოგია მჭედლიშვილი		
2.	სატენდერო დოკუმენტაცია _სატენდერო დოკუმენტაცია 1.pdf	20.05.2015 20:05 გოგია მჭედლიშვილი		

ახალი დოკუმენტის მიმაგრება (PDF ფაილი. მაქსიმალური ზომა 8 მეგაბაიტ)

ფაილი No file selected.

აღწერა

12.2 მიმწოდებლის მონაწილეობა (DEP-შესყიდვა)

მიმწოდებელი, როგორც სისტემის რეგისტრირებული მომხმარებელი DEP-შესყიდვაში მონაწილეობის მიღების მიზნით უნდა შევიდეს სისტემაში საკუთარი მომხმარებლის სახელითა და პაროლით. სისტემაში შესვლის შემდეგ, გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი სამუშაო ფანჯარა შემდეგი ფუნქციური ღილაკებით:

მიმწოდებელი: სატესტო მიმწოდებელი :: გოგია მჭედლიშვილი 22:06:12								
მთავარი	შესყიდვები დღეს	მომხმარებლები	რჩეული შესყიდვები	გასაჩივრებული შესყიდვები	პროფილი	CMR	ePLAN	გამოსვლა

- **მთავარი** - აღნიშნულ ღილაკზე დაჭერით თქვენ ნებისმიერ დროს დაბრუნდებით მთავარ გვერდზე (საწყის სამუშაო ფანჯარაზე);
- **შესყიდვები დღეს** - აღნიშნულ ღილაკზე დაჭერით თქვენ იხილავთ იმ შესყიდვების ჩამონათვალს, სადაც წინადადების მიღების ვადა მიმდინარე დღეს იწურება ან ამოიწურა;
- **მომხმარებლები** - აღნიშნულ ღილაკზე დაჭერით თქვენ საშუალება გაქვთ სისტემაში რეგისტრირებულ ნებისმიერ მომხმარებელზე (შემსყიდველი, მიმწოდებელი, პრეტენდენტები შემსყიდველობაზე, შავ სიაში მყოფი სუბიექტები) მოიძიოთ ინფორმაცია;
- **რჩეული შესყიდვები** - აღნიშნულ ღილაკზე დაჭერით ნახავთ იმ შესყიდვების ჩამონათვალს, რომლებიც მონიშნეთ რჩეულ შესყიდვად;
- **პროფილი** - აღნიშნულ ღილაკზე დაჭერით, ეკრანზე გამოჩნდება თქვენს შესახებ სისტემაში თქვენს მიერვე შეყვანილი ინფორმაცია (სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი და ა.შ.). ღილაკის „რედაქტირება“ გამოყენებით საშუალება გაქვთ ნებისმიერ დროს განაახლოთ თქვენს შესახებ ინფორმაცია;
- **CMR (ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ანგარიშები)** ;
- **ePLAN (ელექტრონული გეგმის მოდული)** - აღნიშნულ ღილაკზე დაჭერით, ეკრანზე გამოჩნდება წლიური გეგმა, რომელსაც შემსყიდველი წარადგენს სისტემის მეშვეობით კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში. შემსყიდველი უთითებს შესყიდვის კატეგორიას, შესყიდვის ვადებს, შესყიდვის საშუალებას, სავარაუდო ღირებულებას და ა.შ;




ყურადღება

პროფილში მოცემული ნებისმიერი მონაცემის ცვლილება დაუყოვნებლივ უნდა აისახოს სისტემაში.

- **გასვლა** - აღნიშნულ ღილაკზე დაჭერით თქვენ გამოხვალთ სისტემიდან. ყოველი სამუშაო სესიის დასრულებისას, სისტემაში თქვენი ორგანიზაციის შესახებ მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით, აუცილებელია დააჭიროთ ღილაკს „გასვლა“;

DEP-შესყიდვაში მონაწილეობის მიღების მიზნით, თქვენ როგორც მიმწოდებელმა, სისტემაში უნდა მოძებნოთ თქვენთვის მისაღები განცხადება. კონკრეტული შესყიდვის განცხადების არჩევის შემდეგ, ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა.

ღილაკზე „განცხადების ისტორია“ დაჭერით თქვენ ეკრანზე იხილავთ კონკრეტული განცხადების ისტორიას, კერძოდ თუ ვის მიერ და როდის იქნა რედაქტირებული განცხადება, ასევე იხილავთ დეტალურ ინფორმაციას შეცვლილი ველების შესახებ. ღილაკი „**ბეჭდვა**“ საშუალებას გაძლევთ ამობეჭდოთ შესაბამისი განცხადება, ხოლო ღილაკზე „**ქრონოლოგია**“ დაჭერით თქვენ იხილავთ შესყიდვის გამოცხადებიდან მისი მიმდინარეობის სტატუსის ყოველი ცვლილების თარიღს.



ღილაკზე დაჭერით განცხადებას დაამატებთ თქვენი რჩეული შესყიდვების სიაში.

DEP-შესყიდვის დოკუმენტაციის გაცნობის მიზნით, თქვენ ამავე განცხადებაში უნდა დააჭიროთ ღილაკს „**დოკუმენტაცია**“, რის შედეგად ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა.



შესაბამისი დოკუმენტზე მაუსის მიტანით და დაკლიკვით გაიხსნება (*PDF, XLS ან XLSX ფორმატში*) სისტემაში არსებული დოკუმენტაცია.

12.3 წინადადების საფასური (DEP-შესყიდვა)

კონკრეტულ DEP-შესყიდვაში, შეთავაზების წარდგენის მიზნით, შესაბამისი განცხადების ძირითად ფანჯარაში უნდა დააჭიროთ ღილაკს „შეთავაზებები“, ხოლო შეთავაზებების გვერდზე შესვლის შემდეგ, უნდა გადაიხადოთ „წინადადების წარდგენის საფასური“, საბანკო პლასტიკური ბარათის მეშვეობით. ამისათვის ბანკების ჩამოშლადი ველიდან ირჩევთ ამ ველში არსებულ ერთ-ერთ ბანკს.

წინადადების წარდგენისთვის გადაიხადეთ საფასური!

წინადადების წარდგენის საფასურის გადახდა (50 ლარი)

ყურადღება
 ვებ-გადახდა შესაძლებელია ნებისმიერი ბანკის მიერ გაცემული პლასტიკური ბარათით, რომელსაც მისი გამცემის მიერ მინიჭებული აქვს ვებ-გადახდის ფუნქცია.

ღილაკზე „გადახდა“ დაჭერით გადახვალთ ბანკის ვებ-გადახდების გვერდზე.

ბანკის ვებ-გადახდების გვერდზე გადასვლის შემდეგ, ეკრანზე გამოჩნდება გადახდების შესაბამისი ფორმა, რომელიც განთავსებულია ქვემოთ მოცემულ სურათზე.


Verified by VISA **MasterCard SecureCode**

* შეიცვანთ ბარათის ნომერი ინტერვალის და ტირეს გარეშე. მაგალითად (2658491568749211)
 * CVC2 (ბარათის ვერიფიკაციის კოდი) 3 ნიშნა უსაფრთხოების კოდი, რომელიც დატანილია ბარათის უკანა მხარეს, ბარათის ნომრის შემდეგ
 ** მოქმედების ვადა, რომელიც დატანილია ბარათის წინა მხარეს (თვე, წელიწადი)

ოპერაციის განხორციელების მიზნით შეგყავთ ბარათის 16 ნიშნა ნომერი (ინტერვალის და ტირეს გარეშე), უთითებთ მოქმედების ვადას, რომელიც დატანილია ბარათის წინა მხარეს და, ბოლოს, შეგყავთ „CVC2“ სამნიშნა უსაფრთხოების კოდი, რომელიც დატანილია ბარათის უკანა მხარეს. სავალდებულო ველების შევსების შემდგომ უნდა დააჭიროთ ღილაკს „შემდეგ>>>“, რის შედეგად ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული ფანჯარა.



ლილაკზე „გადახდა>>>“ დაჭერით სისტემა თქვენი ბარათიდან ავტომატურად ჩამოჭრის თანხას და გადარიცხავს სააგენტოს ანგარიშზე, გადახდის წარმატებით განხორციელების შემდეგ ლილაკის „დაბრუნება“ მეშვეობით ბრუნდება სისტემაში. უკან დაბრუნების მაგალითი მოცემულია ქვემოთ განთავსებულ სურათზე.



12.4 ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვა (DEP-შესყიდვა)

წინადადების წარდგენის საფასურის გადახდის შემდეგ, თქვენ აუცილებლად უნდა ატვირთოთ ტექნიკური დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, სისტემა წინადადების წარდგენის საშუალებას არ მოგცემთ.

გარდა ტექნიკური დოკუმენტაციისა, თქვენ ასევე, უნდა ატვირთოთ მინდობილობა, რომლითაც დასტურდება, რომ თქვენს მიერ სისტემაში ატვირთულ დოკუმენტაციაზე ხელმოწერ პირს გააჩნია შესაბამისი უფლებამოსილება.



ყურადღება

შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვა.

ტექნიკური დოკუმენტაცია DEP შესყიდვის მიზნებისთვის არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია შესყიდვის განცხადებითა და დოკუმენტაციით.

ტექნიკური დოკუმენტაციისა და მინდობილობის ატვირთვისათვის, წინადადების წარდგენის საფასურის გადახდის შემდეგ, ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა.

ახალი დოკუმენტის მიმაგრება (PDF ფაილი. მაქსიმალური ზომა 8 მეგაბაიტი)

ფაილი No file chosen

აღწერა

მინდობილობა

ფაილი No file chosen

აღწერა

ლილაკზე „Choose File“ დაჭერით საშუალება გაქვთ შეარჩიოთ და მონიშნოთ თქვენს კომპიუტერში შენახული ტექნიკური დოკუმენტაცია და მინდობილობა, ხოლო ღილაკზე „მიმაგრება“ დაჭერით აღნიშნული დოკუმენტაციები აიტვირთება სისტემაში.

შესყიდვის დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, საშუალება გაქვთ ნახოთ თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტი და შეცდომის შემთხვევაში, შემდეგ ღილაკზე დაჭერით წაშალოთ არასწორად ატვირთული ფაილი. წინადადების ფასის წარდგენამდე შეგიძლიათ ატვირთოთ ერთი ან რამდენიმე დოკუმენტი. თქვენს მიერ მიბმული ტექნიკური დოკუმენტაცია, ელექტრონული ვაჭრობის დასრულებამდე ხელმისაწვდომია მხოლოდ თქვენთვის. მისი წაშლა შესაძლებელია მხოლოდ წინადადების წარდგენის საფასურის გადახდიდან თქვენს მიერ წინადადების ფასის სისტემაში დაფიქსირებამდე, ხოლო დამატებითი დოკუმენტის ატვირთვა შესაძლებელია წინადადების მიღების დასრულებამდე.

ტექნიკური დოკუმენტაცია

პრეტენდენტი	ფაილი	თარიღი	
სატესტო მიმწოდებელი	SPA130000309_satesto.pdf	13.05.2013 22:44	

ტექნიკური დოკუმენტაციის მიმაგრება (PDF ფაილი. მაქსიმალური ზომა 8 მეგაბაიტი)

ფაილი No file chosen

აღწერა

ნარმოადგინეთ სატენდერო წინადადების ფასი დღ-ს გათვალისწინებით

თანხა


**ყურადღება**

ტექნიკური დოკუმენტაციის წაშლა შესაძლებელია მხოლოდ წინადადების წარდგენის საფასურის გადახდიდან თქვენს მიერ წინადადების ფასის სისტემაში დაფიქსირებამდე, ხოლო დამატებითი დოკუმენტის ატვირთვა წინადადების მიღების დარულებამდე.

ტექნიკური დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია შესყიდვის განცხადების სტატუსზე.

1. **წინადადების მიღება დაწყებულია** სტატუსში, ტექნიკური დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ მისი მფლობელი ორგანიზაციისთვის.
2. შუალედურ სტატუსებში სანამ მოხდება ხელშეკრულების გაფორმება, ტექნიკური დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ მისი მფლობელი ორგანიზაციისთვის და შემსყიდველისთვის, ვისაც ეკუთვნის შესაბამისი შესყიდვის განცხადება.
3. **ხელშეკრულება დადებულია** სტატუსში, ტექნიკური დოკუმენტები ავტომატურად ხელმისაწვდომი ხდება ყველა დაინტერესებული მხარისათვის, გარდა იმ დოკუმენტებისა რომელზეც მიმწოდებელმა სისტემურად მონიშნა, რომ დოკუმენტი არის კონფიდენციალური.

ტექნიკური დოკუმენტაციის კონფიდენციალურად მონიშვნის მაგალითი, ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ სურათზე.



თქვენს მიერ მონიშნული დოკუმენტებიდან თუ რომელიმე არასწორადაა მონიშნული როგორც კონფიდენციალური დოკუმენტი, სისტემა გაძლევთ საშუალებას რომ გააუქმოთ აღნიშნული მონიშვნა, რაც შესაძლებელია იგივე ღილაკზე განმეორებით დაკლიკვით.

12.5 წინადადების ფასის წარდგენა(DEP-შესყიდვა)

მას შემდეგ რაც დარწმუნდებით, რომ ტექნიკური დოკუმენტაცია სრულად და უშეცდომოდ გაქვთ ატვირთული და მზად ხართ წარადგინოთ წინადადების ფასი, ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯრის დახმარებით, მარტივად შეგიძლიათ დააფიქსიროთ საშესყიდვო წინადადების ფასი.

ყურადღება

„წარმოადგინეთ წინადადების ფასი „დღგ-ს“ გათვალისწინებით. ეხება მხოლოდ „დღგ-ს“ გადამხდელ მიმწოდებლებს.



ტექნიკური დოკუმენტაცია			
პრეტენდენტი	ფაილი	თარიღი	
სატესტო მიმწოდებელი	SPA130000309_satesto.pdf	13.05.2013 22:44	

ტექნიკური დოკუმენტაციის მიმაგრება (PDF ფაილი. მაქსიმალური ზომა 8 მეგაბაიტი)

ფაილი No file chosen

აღწერა

ნარმოადგინეთ სატენდერო წინადადების ფასი დღგ-ს გათვალისწინებით

თანხა

სამუშაო ველის „თანხა“ გასწვრივ მიუთითებთ თქვენს მიერ შემოთავაზებულ ფასს.

ყურადღება

დაუშვებელია შეთავაზების ველში მძიმის, სიცარიელის (ე.წ. პრაბელი) ან რაიმე სხვა სიმბოლოს ჩაწერა, გარდა რიცხვისა, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი შეთავაზება არ დაფიქსირდება.

შეთავაზების ველში რიცხვისგან განსხვავებული ნებისმიერი სიმბოლოს ჩაწერის შემთხვევაში, შესაბამისი ველი მიიღებს შემდეგ სახეს.

თანხა მთელი რიცხვი

შემდეგ დააჭერთ ღილაკს „შეთავაზება“, რის შემდეგაც ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა, რომლის დახმარებითაც ღილაკზე „დიახ“ დაჭერით დაადასტურებთ წინადადების ფასის სისწორეს, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა გამოიყენოთ ღილაკი „არა“.

ნარმოადგინეთ სატენდერო წინადადების ფასი დღგ-ს გათვალისწინებით

შეთავაზებული თანხა **13197.00**

ჩაწერეთ ეს შეთავაზება?

ყურადღება

წინადადების ფასის ველში უკანასკნელად შეყვანილ თანხას გააჩნია უპირატესი ძალა ტექნიკურ დოკუმენტაციაში (ხარჯთაღრიცხვაში) მითითებულ თანხასთან მიმართებაში.



წინადადების ფასის დაფიქსირების შემდეგ, ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად, თქვენი შეთავაზება გამოჩნდება შეთავაზებების ძირითად ველში. ძირითადი დროის განმავლობაში სხვა პრეტენდენტების ვინაობა და რაოდენობა, ასევე მათ მიერ წარდგენილი შეთავაზება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიუწვდომელია და მხოლოდ მისი დასრულების შემდგომ გამოჩნდება პრეტენდენტების ჩამონათვალი.

პრეტენდენტი	ბოლო შეთავაზება თანხა/დრო	პირველი შეთავაზება თანხა/დრო	შეთავაზებები
სატესტო მიმწოდებელი	13`197.00 22.04.2013 18:40	13`250.00 22.04.2013 18:35	[2] ნახვა

ყურადღება

შესყიდვის წინადადების წარდგენისას, თქვენ ხედავთ მხოლოდ თქვენს მიერ შეთავაზებულ თანხას, რაც შეეხება სხვა პრეტენდენტებს, მათი ვინაობა ანონიმურია, ხოლო ტექნიკური დოკუმენტაცია და წინადადება – დაფარული. წინადადების მიღებისათვის განკუთვნილი ვადის დასრულების შემდგომ ხელმისაწვდომი ხდება სხვა პრეტენდენტების მიერ შეთავაზებული ფასი და პრეტენდენტის ვინაობა, ხოლო ტექნიკური დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი გახდება მხოლოდ შემსყიდველისთვის.

წინადადებების მიღებისათვის განკუთვნილი ვადის დასრულებამდე შესაძლებლობა გაქვთ სისტემის საშუალებით უარი თქვათ თქვენს მიერ წარდგენილ წინადადებაზე, ამისათვის ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსად, უნდა გამოიყენოთ ღილაკი „წინადადებაზე უარის თქმა“.

◀ უკან

2	0	18	33
დღე	საათი	წუთი	წამი

მიმდინარეობს ძირითადი დრო

☺ გვერდის განახლება

▼ გადახდები

▼ ტექნიკური დოკუმენტაცია

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 15`000.00
მონოდების ვადა: 2013 წლის სექტემბრის ბოლომდე.

წინადადებაზე უარის თქმა

წარმოადგინეთ წინადადების ფასი დღგ-ს გარეშე

თანხა

შეთავაზება

წინადადებების მიღებისათვის განკუთვნილი ვადის დასრულების შემდეგ, როდესაც შემსყიდველი გამოავლენს გამარჯვებულს, მიმწოდებელმა, მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა ატვირთოს შესაბამისი დოკუმენტაცია. მიმწოდებლის მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, შემსყიდველის მიერ ატვირთული დოკუმენტაციისგან გამოირჩევა წითელი ფერით.



დოკუმენტი	თარიღი/ავტორი
1. SPA130013014_ოქმი #2, დასკვნა.pdf	19.06.2013 16:00 :: ევა ირემაძე
2. SPA130013014_ხელნერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ.pdf	19.06.2013 16:00 :: ევა ირემაძე
3. SPA130013014_ნერილი დაბუსტებაზე.pdf	19.06.2013 16:00 :: ევა ირემაძე
4. SPA130013014_ნერილი დაბუსტება.pdf	19.06.2013 16:59 :: ირაკლი გულაშვილი
5. SPA130013014_დაბუსტებული დანართი N2.pdf	19.06.2013 16:59 :: ირაკლი გულაშვილი

ატვირთეთ ოქმი და სხვა შესაბამისი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში). (PDF ფაილი. მაქს: 8 მბ.)

ფაილი No file chosen

აღწერა

12.6 შედეგები(DEP-შესყიდვა)

კონკრეტულ DEP-შესყიდვაში, წინადადებების მიღების დასრულების შემდეგ, თქვენ როგორც შემსყიდველს, შესაძლებლობა გაქვთ გამოავლინოთ გამარჯვებული პრეტენდენტი შესაბამისი დონორის შესყიდვების წესების დაცვით.

უპირველეს ყოვლისა, უნდა შეხვიდეთ თქვენს მიერ გამოცხადებულ კონკრეტულ DEP-შესყიდვაში, მას შემდეგ, რაც წინადადებების მიღება დასრულდება და დააჭიროთ ღილაკს „შედეგები“. ღილაკზე დაჭერის შემდეგ, ეკრანზე გამოჩნდება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა, რომლის დახმარებითაც თქვენ უნდა ატვირთოთ შესყიდვის კომისიის ყველა შესაბამისი სხდომის ოქმი და ამ შესყიდვასთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი დოკუმენტი.

#DEP140000011 დოკუმენტაცია შეთავაზებები **შედეგები** ხელშეკრულების მიმდინარეობა

◀ უკან შესყიდვის შეწყვეტა

დოკუმენტი	თარიღი/ავტორი	ნახები
ჩანაწერები არ არის		

ატვირთეთ ოქმი და სხვა შესაბამისი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში). (PDF ფაილი. მაქს: 8 მბ.)

ფაილი No file chosen

აღწერა

ღილაკი „Choose File“ საშუალებას გაძლევთ თქვენს კომპიუტერში შენახული დოკუმენტი შეარჩიოთ და მონიშნოთ, შემდეგ სამუშაო ველში „აღწერა“ მიუთითოთ დოკუმენტის მოკლე შინაარსი და ღილაკზე „მიმაგრება“ დაჭერით ატვირთოთ სისტემაში.

გახსოვდეთ

კომისიის სხდომის ოქმი და დოკუმენტაცია სისტემაში უნდა ატვირთოთ მისი ხელმოწერისთანავე.

12.7 შერჩევა/შეფასება (DEP-შესყიდვა)

მას შემდეგ, რაც თქვენ ატვირთავთ სისტემაში სატენდრო კომისიის სხდომის ოქმს/ოქმებს და სხვა შესაბამის დოკუმენტს/დოკუმენტებს (არსებობის შემთხვევაში), სისტემა ავტომატურად მიანიჭებს DEP-შესყიდვას სტატუსს „შერჩევა/შეფასება“, რომელიც ქვემოთ



მოცემული სურათის მსგავსად, გამოჩნდება ყველა მსგავსი სტატუსის მქონე DEP-შესყიდვის შემთხვევაში.

შესყიდვის ელ. პროცედურა დონორის სახსრებით	შერჩევა/შეფასება მონაწილეთა რაოდენობა: 1
განცხადების ნომერი: DEP150000003	
შესყიდვის გამოცხადების თარიღი: 24.01.2013	
წინადადებების მიღების ვადა: 31.01.2013	
შემსყიდველი: შემსყიდველი #A	
შესყიდვის კატეგორია: 03300000-ფერმერული, ნანადირევი და თევზის პროდუქტები	
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 4`555.00 ლარი	

12.8 გამარჯვებული გამოვლენილია (DEP-შესყიდვა)

იმ შემთხვევაში, თუ DEP-შესყიდვაში წარმოდგენილი იქნა სულ ცოტა ერთი წინადადება (ტექნიკური დოკუმენტაცია და წინადადების ფასი, რომელიც წარდგენილია მისთვის განკუთვნილი სისტემური ველის გამოყენებით) და წინადადების წარმდგენი პრეტენდენტი შემსყიდველის მიერ არ არის დისკვალიფიცირებული, სისტემა იძლევა მხოლოდ სტატუსის „გამარჯვებული გამოვლენილია“ მინიჭების შესაძლებლობას.

შესყიდვის სტატუსის შეცვლა:

ამ შემთხვევაში, ზემოთ მოცემული სურათის მსგავსად, თქვენ აჭერთ ღილაკს „მინიჭება“, რის შედეგად სისტემის მიერ ავტომატურად ხდება DEP-შესყიდვისთვის სტატუსის „გამარჯვებული გამოვლენილია“ მინიჭება და აღნიშნული სტატუსის მქონე შესყიდვა მიიღებს ქვემოთ მოცემული სურათის მსგავს სახეს.

შესყიდვის ელ. პროცედურა დონორის სახსრებით	გამარჯვებული გამოვლენილია მონაწილეთა რაოდენობა: 2
განცხადების ნომერი: DEP150000005	
შესყიდვის გამოცხადების თარიღი: 21.05.2015	
წინადადებების მიღების ვადა: 28.05.2015	
შემსყიდველი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე	
შესყიდვის კატეგორია: 30200000-კომპიუტერული მონაცემების დამამუშავებელი და აქსესუარები	
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 3`598.00 ლარი	

ყურადღება
სტატუსი „გამარჯვებული გამოვლენილია“ არის შესყიდვის გარდამავალი და არა საბოლოო სტატუსი.

12.9 არ შედგა (DEP-შესყიდვა)

თუ DEP-შესყიდვაში, არც ერთი პრეტენდენტის მიერ არ იქნა წარდგენილი შესყიდვის წინადადების ფასი, ამ შემთხვევაში, სისტემის მიერ ავტომატურად ხდება DEP-



შესყიდვისთვის საბოლოო სტატუსის მინიჭება „არ შედეგა“ და აღნიშნული სტატუსის მქონე შესყიდვა მიიღებს ქვემოთ მოცემული სურათის მსგავს სახეს.

	შესყიდვის ელ. პროცედურა დონორის სახსრებით განცხადების ნომერი: DEP140000009 შესყიდვის გამოცხადების თარიღი: 17.04.2013 წინდადებების მიღების ვადა: 22.04.2013 შემსყიდველი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შესყიდვის კატეგორია: 39200000-ავგვეულობა შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 300.00 ლარი	არ შედეგა
--	--	-----------

12.10 დასრულებულია უარყოფითი შედეგით (DEP-შესყიდვა)

იმ შემთხვევაში, თუ DEP შესყიდვაში წარმოდგენილი იქნა სულ ცოტა ერთი წინადადება (ტექნიკური დოკუმენტაცია და წინადადების ფასი, რომელიც წარდგენილია ამისათვის განკუთვნილი სისტემური ველის გამოყენებით) და წინადადების წარმდგენი ყველა პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია შემსყიდველის მიერ, სისტემა იძლევა მხოლოდ სტატუსის „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“ მინიჭების შესაძლებლობას.

შესყიდვის სტატუსის შეცვლა:

ამ შემთხვევაში, ზემოთ მოცემული სურათის მსგავსად, თქვენ აჭერთ ღილაკს „მინიჭება“, რის შედეგად სისტემის მიერ ავტომატურად ხდება DEP-შესყიდვისთვის საბოლოო სტატუსის „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“ მინიჭება და აღნიშნული სტატუსის მქონე შესყიდვა მიიღებს ქვემოთ მოცემული სურათის მსგავს სახეს.

	შესყიდვის ელ. პროცედურა დონორის სახსრებით განცხადების ნომერი: DEP140000040 შესყიდვის გამოცხადების თარიღი: 08.05.2015 წინდადებების მიღების ვადა: 15.05.2015 შემსყიდველი: შემოსავლების სამსახური შესყიდვის კატეგორია: 44100000-სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 8`200.00 ლარი	დასრულებულია უარყოფითი შედეგით მონაწილეთა რაოდენობა: 2
--	--	---

12.11 ხელშეკრულება დადებულია (DEP-შესყიდვა)

„ხელშეკრულება დადებულია“ არის DEP-შესყიდვის ერთ-ერთი საბოლოო სტატუსი. აღნიშნული სტატუსის მინიჭება სისტემაში ისევე მარტივად და კომფორტულად ხდება, როგორც ყველა სხვა დანარჩენი სტატუსის მინიჭება.

მას შემდეგ, რაც თქვენ კონკრეტულ DEP-შესყიდვას ზემოთ მოცემული წესის დაცვით მიაწიქებთ სტატუსს „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“, სისტემა გაძლევა საშუალებას მიაწიქოთ მას სტატუსი - „ხელშეკრულება დადებულია“ ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯრის დახმარებით.



#DEP14000037 . დოკუმენტაცია შეთავაზებები შედეგები ხელშეკრულება

უკან

ხელშეკრულების მიმაგრება

გამარჯვებული SATESTO55

ხელშეკრულება Choose File No file chosen

ხელშეკრულების ნომერი

ხელშეკრულების თანხა 6152 00 ლარი

ხელშეკრულება ძალაშია

მიმაგრება

- სამუშაო ველის „გამარჯვებული“ გასწვრივ სისტემა ავტომატურად აფიქსირებს გამარჯვებულ პრეტენდენტს.
- სამუშაო ველის „ხელშეკრულება“ გასწვრივ, ღილაკი „Choose File“ დახმარებით კომპიუტერში მონიშნავთ კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად დადებულ ხელშეკრულებას დასკანერებული სახით.
- სამუშაო ველის „ხელშეკრულების ნომერი“ გასწვრივ ჩაწერთ ხელშეკრულების ნომერს.



13. საგრანტო კონკურსის ელ-სისტემა (მიმწოდებლის მომხმარებლის ინსტრუქცია)

13.2 სისტემის მომხმარებელი

სისტემას ჰყავს რამდენიმე ტიპის მომხმარებელი: სტუმარი, რეგისტრირებული მომხმარებელი/ მონაწილე. ისინი სარგებლობენ შემდეგი უფლებებით:

სტუმარი:

1. რეგისტრირების გარეშე სისტემაში შესვლა
2. გრანტებთან დაკავშირებული ინფორმაციის და დოკუმენტების მოძებნა და/ან ნახვა

მონაწილე:

1. სისტემაში რეგისტრაცია და ავტორიზებული შესვლა
2. საგრანტო წინადადების ფორმის შევსება
3. ფაილების ატვირთვა / ჩამოტვირთვა
4. ფაილების გაუქმება
5. ფაილების წაშლა
6. საკუთარი განცხადების ქვეშ ყველა ფაილების ნახვა
7. ხარვეზის გამოსწორება
8. კომუნიკაცია საგრანტო საქმის მენეჯერთან
9. ხელშეკრულების დოკუმენტის ხედვა
10. ძებნა

რეგისტრირებულ მომხმარებელს შეუძლია განახორციელოს ყველა ის ქმედება, რაც აქვს მონაწილეს. აგრეთვე:

1. საგრანტო დოკუმენტაციის ხედვა
2. მომხმარებლის რეკვიზიტების რედაქტირება
3. ძებნა

13.3 რეგისტრაცია სისტემაში

სისტემაში რეგისტრაციის

გავლაშეუძლიათ მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული ურიდიულ პირებს.

ამისთვის:

1. აუცილებელია სარეგისტრაციო ფორმის შევსება (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი). სავალდებულოდ შესავსები ველები აღნიშნულია წითელი ვარსკვლავით *.
2. ველების შევსების შემდეგ, ღილაკით 'რეგისტრაცია' გაიგზავნება მოთხოვნა რეგისტრაციაზე.
3. მომხმარებელს, მითითებულ ელ-ფოსტის მისამართზე, მიუვა გასააქტიურებელი ბმული.
4. ბმულის გამოყენების შემდეგ, მომხმარებელი გააქტიურდება სისტემაში.

- 5.
- 6.



ამავე ფანჯრის ჩანართებიდან, მომხმარებელს შეუძლია შემდეგი ქმედებების განხორციელება:

- 'აქტივაციის კოდის მოთხოვნა' –
- 'შეტყობინება ადმინისტრატორს' – მომხმარებელს შეუძლია ადმინისტრატორთან დაკავშირება ამ ფანჯარაში მოცემული ველების შევსებით.
- 'პაროლის აღდგენა' – საჭიროა ველების შევსება და შევსებული ინფორმაციის 'გაგზავნა' ღილაკით.
- 'საკონტაქტო ინფორმაცია' –
- 'LOG-IN გვერდი' - მომხმარებელს გაიყვანს ავტორიზაციის გვერდზე (იხ. შემდეგი თავი).

13.4 ავტორიზაცია

1. რეგისტრირებულმა მომხმარებელმა სისტემაში უნდა გაიაროს ავტორიზაცია:


2. სათანადო ველებში შეიყვანოს რეგისტრირებული მომხმარებლის სახელი და პაროლი
3. დააწკაპუნოს ღილაკზე „შესვლა“:
 - 3.1 წარმატებული ავტორიზაციის შემთხვევაში, მომხმარებელს გაეხსნება სისტემის მთავარი გვერდი
 - 3.2 წარუმატებელი მცდელობისას, მომხმარებელს გამოუვა შესაბამისი შეტყობინება




13.5 მომხმარებლის რეკვიზიტების რედაქტირება

ავტორიზაციის გავლის შემდეგ, მომხმარებელს (მხოლოდ გრანტორის უფლების მქონეს) შეუძლია საკუთარი რეკვიზიტების შეცვლა/შესწორება:

1. ზედა ჰორიზონტალური მენიუდან უნდა აირჩეს ჩანართი „პროფილი“ (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი)



2. გაიხსნება პროფილის ფანჯარა, საიდანაც ღილაკით „რედაქტირება“ შესაძლებელია ორგანიზაციის მონაცემების შეცვლა (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი):



3. თუ უნდა დაემატოს ახალი მომხმარებელი:

- 3.1 ამავე ფანჯრის ჩანართიდან ‘მომხმარებლები’ უნდა გაიხსნას ფანჯარა (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი)

მომხმარებელი	SMS	ტელეფონი	აქტიური	გრანტორი	
გოგიტა მჭედლიშვილი 12001004410 g.mchedlishvili@napr.gov.ge კალაუბნის ქუჩა N 451111	✓	577244484	✓	✓	31.07.2010
ბონდო ლობჯანიძე 01001059141 kakha.gh@gmail.com თბილისი გლდანი VI მ/რ კორ. 28 ბ. 55	✗	577111111	✗	✗	გოგიტა მჭედლიშვილი 11.08.2010
გოგიტა მჭედლიშვილი 36001004410 dmargania@spa.ge საგარეჯო ს. კავაბეთი	✓	557645854	✓	✗	13.10.2010
გოგიტა მჭედლიშვილი 36001004410 ebikashvili@napr.gov.ge საგარეჯო ს. კავაბეთი	✓	557555555	✓	✓	გოგიტა მჭედლიშვილი 15.03.2011



3.2 ღილაკით **‘დამატება’** (იხილეთ ზემოთ მოცემული სურათი) მომხმარებელი გახსნის **‘მომხმარებლები’**-ს ფანჯარას (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი) და დაამატებს ახალ მომხმარებელს (ამ შემთხვევაში ღილაკი **‘რედაქტირება’** არ იქნება გააქტიურებული).

4. მომხმარებლის მონაცემების რედაქტირებისას:

4.1 უნდა დაწკაპუნდეს მომხმარებლის რიგზე, რაც გააქტიურებს ღილაკს **‘რედაქტირება’**

4.2 ღილაკზე **‘რედაქტირება’** დაწკაპუნებით გაიხსნება ფანჯარა მომხმარებლის მონაცემებით

4.3 შეტანილი ცვლილებები შეინახება ღილაკით **‘ჩაწერა’** (იხილეთ ზემოთ მოცემული სურათი)

13.6 რეგისტრაცია საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის

სისტემაში ავტორიზაციის შემდეგ:

1. მომხმარებელმა უნდა მოძებნოს საგრანტო კონკურსის განცხადება და შევიდეს ჩანართში **‘შეთავაზება’**.
2. გაიხსნება ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა, რომლის ზედა ნაწილში მოცემულია ინსტრუქცია საგრანტო კონკურსში მონაწილედ რეგისტრაციისთვის.

3. ღილაკზე **‘საბეჭდი ფორმა’** დაჭრით გამოვა რეგისტრაციაზე განაცხადის ნაწილობრივ შევსებული ფორმა (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი), რომელიც უფლებამოსილმა



პირმა უნდა ამოხედავს და შეავსოს შემდეგი აუცილებელი ველები: სახელი/გვარი, თანამდებობა, ხელმოწერა და ბეჭედი.

სახელი/დასახელება: SATESTO55	
საიდენტიფიკაციო კოდი: 76288789900	
ქვეყანა: ანტარქტიდა	
ქალაქი/დაბა/სოფელი: ქალაქი	
მისამართი: ორხევის დასახლება	
ტელეფონი: +9951122321	
ფაქსი: +995111cc555784	
ელ-ფოსტა: kakha.gh@gmail.com	
ვებ-გვერდი: http://china.ge	სახელი და გვარი -----
კოდი: 9YDQAS	თანამდებობა -----
	ხელმოწერა და ბეჭედი -----

ფორმის შევსების შემდეგ, პირი მიმართავს სააგენტოს ოფიციალური წერილით, რომელსაც თანდაურთავს მოცემულ ფორმას. წერილს გააგზავნის ან ელ-ფოსტით (info@procurement.gov.ge), ან მიიტანს სააგენტოში ფიზიკურად (რიჩარდჰოლბრუკის ქუჩა N8, 0113 თბილისი).



13.7 ძებნა სისტემაში

სისტემაში ძებნა განხორციელდება ქვემოთ მოცემულ სურათში ნაჩვენები პარამეტრებით:

შემსყიდველი
 მიმწოდებელი
 შესყიდვის სტატუსი
 ხელშეკრულების სტატუსი
 შესყიდვის ტიპი

 შესყიდვის კატეგორია
 კლასიფიკატორის კოდები
 თარიღი
 თანხით (-დან/-მდე)
 პრეისკურანტი
 მწარმოებელი
 მოდელი
 ძებნა ჩემს ჩანაწერებში

მომხმარებელს, კონკრეტული განცხადების მოძებნა შეუძლია შესაბამის ველში განცხადების ნომრის მითითებით.

თუ ძიება განხორციელდება კონკრეტული შემსყიდველის, მიმწოდებლის, ან სხვა პარამეტრის მიხედვით, აუცილებელია, ასევე, მიეთითოს შესყიდვის ტიპი - **'საგრანტო კონკურსი'**:

შესყიდვის ტიპი

- გამარტივებული ელექტრონული ტენდერი
- ელექტრონული ტენდერი
- შესყიდვის ელექტრონული პროცედურა
- კონსოლიდირებული ტენდერი
- შესყიდვის ელ. პროცედურა დონორის სახსრებით
- კონკურსი
- საგრანტო კონკურსი

თუ არც ერთი პარამეტრი მონიშნული არ იქნება, მოიძებნება ყველა შესყიდვის ტიპის განცხადება.



13.8 საგრანტო განცხადების გაცნობა

იმისათვის, რომ მონაწილემ წარადგინოს საკუთარი საგრანტო წინადადება, საჭიროა *განცხადების ჩანართიდან* საგრანტო განცხადების მოძებნა:

1. შესყიდვის ტიპში უნდა აირჩეს 'საგრანტო კონკურსი'
2. ლილაკით 'ძებნა' განხორციელდება საგრანტო განცხადებების ძებნა
3. მოძებნილ განცხადებებში უნდა აირჩეს მონაწილისთვის სასურველი განცხადება მასზე დაწკაპუნებით
4. მონაწილე გადავა კონკრეტული განცხადების გვერდზე (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი)

განცხადების ჩანართი

#GRA15000039	დოკუმენტაცია	შეთავაზებები	შედეგები	ხელშეკრულება
უკან	შესყიდვის ტიპი	საგრანტო კონკურსი		☆ დაამატე რჩეულებში
	დონორი	მთავრობის ადმინისტრაცია		
	პროგრამის დასახელება	75		
	ლოტის დასახელება / N:	25		
	განცხადების ნომერი	GRA15000039		
	შესყიდვის სტატუსი	გვერდი/შეფასება		
	ადმინისტრირებას უწევს	შემსყიდველი #B		
	შესყიდვის გამოცხადების თარიღი	19.11.2015 16:45		
	წინადადებების მიღება იწყება	21.11.2015 00:05		
	წინადადებების მიღება მთავრდება	15.12.2015 14:30		
	დაფინანსება	2016 წლის სახსრები		
	შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	654`789.00 GEL		
	პროგრამის ხანგრძლივობა	87		
	დამატებითი ინფორმაცია			
78				გაუგზავნე მეგობარს

6. ამ გვერდიდან შესაძლებელია:

- გრანტის განმცხადებლის შესახებ დეტალური ინფორმაციის ნახვა ლილაკზე დაწკაპუნებით:

ადმინისტრირებას უწევს შემსყიდველი #B

7. შესაძლებელია განცხადების დამატება რჩეულებში - ☆ დაამატე რჩეულებში

8. განცხადების გაგზავნა დაინტერესებული პირისთვის ლილაკით - გაუგზავნე მეგობარს, გახსნილ ფანჯარაში უნდა მიეთითოს ადრესატის მისამართი, კომენტარი და ლილაკით 'გაგზავნა' დასრულდეს ოპერაცია (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი):



GRA15000011

მეგობრის ელ. ფოსტა

იხილეთ ინფორმაცია გამოცხადებულ შესყიდვაზე GRA15000011
მიჰყევით ქვემოთმოყვანილ ბმულს.
<https://tenders.procurement.gov.ge/public/?go=11032&lang=ge>

რუსულდან კენკეზაშვილი
ტესტი_ნ

კომენტარი:

გაგზავნა დახურვა

9. ჩანართიდან **‘დოკუმენტაცია’** მონაწილეს შეეძლება

- გაეცნოს საგრანტო კონკურსის დოკუმენტებს.
- ლილაკით **ახალი კითხვა** დაწკაპუნებით გახსნას **‘კითხვა-პასუხის’** ფანჯარა და ჩაწეროს სასურველი შეკითხვა მოცემულ ველში (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი)

ჩანერა დახურვა

- დასმული კითხვა აისახება მთავარ ფანჯარაში
- აქვე შესაძლებელია **კომენტარის** გაკეთება დასმულ კითხვაზე, როგორც ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები

ახალი კითხვა

18.05.2015 16:21 ტესტი 6 ::
მაქვს შეკითხვა ამ განცხადებასთან დაკავშირებით

გამომხმარებელი (1) კომენტარი

18.05.2015 16:34 მიმწოდებელი 1 ::
მაქვს ახალი კომენტარი დასმულ კითხვასთან დაკავშირებით.

გაეძმება

- შეკითხვის დასმა შესაძლებელია როდესაც განცხადების სტატუსებია **‘გამოცხადებული’** და **‘წინადადების მიღება დაწყებული’**. გასათვალისწინებელია შეზღუდვა სტატუსის - **‘წინადადების მიღება დაწყებული’** მიმდინარეობისას, კითხვის დასმის უფლება სრულდება წინადადების მიღების დასრულებამდე 2 დღით ადრე.



10. ლილაკით **‘გაუქმება’** მონაწილეს შეუძლია გააუქმოს მხოლოდ ბოლოს დასმული შეკითხვა ან კომენტარი.

13.9 შეთავაზება

საგრანტო განცხადების შემდეგ, მონაწილეს შეუძლია წარადგინოს თავისი შეთავაზება:

1. ჩანართიდან **‘შეთავაზებები’** უნდა აიტვირთოს საჭირო დოკუმენტები (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი):

ახალი დოკუმენტის მიმაგრება (PDF/XLS/XLSX/DOC/DOCX ფაილი. მაქსიმალური ზომა 8 მეგაბაიტი)

ფაილი No file chosen

აღწერა

2. მიეთითოს თანხა, როგორც ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები:

თანხა

3. შეთავაზების დოკუმენტი და თანხა გამოჩნდება ამავე ფანჯარაში (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი):

#	პრეტენდენტი	ფაილი	თარიღი
1.	ტესტი_5	GRA150000011_შეთავაზება_FRD_Grant (2015_v.1.00).docx	18.05.2015 16:47

პრეტენდენტი	ბოლო შეთავაზება თანხა/დრო	პირველი შეთავაზება თანხა/დრო	შეთავაზებები
ტესტი_5	300.00 18.05.2015 16:50	300.00 18.05.2015 16:50	[1] ნახვა

4. დოკუმენტის **წაშლა** შესაძლებელია მის გასწვრივ არსებული ლილაკით საგრანტო წინადადების საფასურის წარდგენამდე.
5. **დამატება** შესაძლებელია წინადადების მიღების დასრულებამდე.

13.10 ხარვეზის გამოსწორება

დოკუმენტაციაში დაშვებული ხარვეზის შესახებ საგრანტო მენეჯერი ჩანართში **‘შედეგები’** ატვირთავს ოქმს ხარვეზის დაზუსტების მოთხოვნით. მონაწილეებს ატვირთული დოკუმენტის შესახებ ავტომატურად ეგზავნებათ სისტემური შეტყობინება და, აგრეთვე, sms-ი.

თუ დროულად არ მოხდა ან შეუსაბამოდ მოხდა ხარვეზების დაზუსტება, საგრანტო კონკურსების მენეჯერი უფლებამოსილია სისტემაში დააფიქსიროს მონაწილის დისკვალიფიკაცია და ატვირთოს შესაბამისი ოქმი.



13.11 ხედავ

13.11.1 შეთავაზება

საგრანტო დოკუმენტაცია, გარდა დოკუმენტის მფლობელისა, ხელმისაწვდომი ხდება გრანტის განმცხადებლისთვისაც.

ასევე, ნებისმიერი მომხმარებლისთვის ცნობილი ხდება შეთავაზებული თანხები და მონაწილე(ები).

13.11.2 შედეგები

საგრანტო კონკურსის შედეგების ნახვა ყველა მონაწილეს შეუძლია ჩანართიდან *'შედეგები'*, სადაც ატვირთული იქნება საგრანტო კონკურსის ოქმები.

დისკვალიფიკაციის შემთხვევაში სისტემაში აიტვირთება შესაბამისი ოქმი, რის შემდეგაც დისკვალიფიკაციის დაფიქსირება სისტემაში ხდება საგრანტო მენეჯერის მიერ, რაც სისტემის ნებისმიერი მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი გახდება.

დოკუმენტი	თარიღი/ავტორი
SPA150013539 ოქმი N2.PDF	19.05.2015 16:40 :: ლანა ტალახაძე
SPA150013539 ცნობა - ინტერესთა კონფლიქტი.PDF	19.05.2015 16:40 :: ლანა ტალახაძე
SPA150013539 წერილი - შპს GEORGIAN-TROPIOC.PDF	19.05.2015 16:40 :: ლანა ტალახაძე
SPA150013539 წერილი - შპს ახალი მთვარე.PDF	19.05.2015 16:41 :: ლანა ტალახაძე

19.05.2015 16:40	შ.პ.ს GEORGIAN-TROPIC	დისკვალიფიკაცია ტექნიკური დოკუმენტაციის გამო
19.05.2015 16:40	ახალი მთვარე	დისკვალიფიკაცია ტექნიკური დოკუმენტაციის გამო

13.12 ხელშეკრულება

გამარჯვებულთან ხელშეკრულების დადების შემდეგ, *'ხელშეკრულების'* ჩანართში გამოჩნდება დადებული ხელშეკრულება (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი) და მასზე განხორციელებული ქმედებები (მაგ. ჩასწორება), რისი ნახვაც შეუძლია ნებისმიერ მომხმარებელს.

მიმდინარე ხელშეკრულება
გოგია შველიძე :: 20.05.2015

1 დღე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე

SATESTO55

ნომერი/თანხა: N5555 / 780000000 ლარი
ხელშეკრულება ძალაშია: 12.05.2015 - 23.05.2015

ნახვა/გადმოწერა

20.05.2015 12:10

13.13 შეტყობინებები

მიმწოდებლი, სისტემის საშუალებით მიიღებს შეტყობინებას სააგენტოსგან ან შეტყობინებას საგრანტო მენეჯერის და საგრანტო კონკურსში მონაწილის მიერ განხორციელებულ რამდენიმე ქმედებაზე:

1. დასმული კითხვაზე პასუხი
2. დაინტერესებულ განცხადებაზე სხვის მიერ დასმული კითხვა-პასუხი
3. ახალი საგრანტო განცხადების გამოქვეყნების შეტყობინება
4. საგრანტო მენეჯერის მიერ ატვირთული დოკუმენტის შესახებ
5. საგრანტო განცხადების სტატუსების ცვლილებების შეტყობინებები




6. სააგენტოს მიერ გამოგზავნილი შეტყობინება შეტყობინებებთან მუშაობა განცხობრციელდება შემდეგნაირად:


1. შეტყობინებები მოვა ფანჯრის მარცხენა პანელის მენიუში 'შეტყობინებები (1...N)'



2. მენიუს ღილაკზე დაწკაპუნებით, გაიხსნება შემოსული შეტყობინებების სია, როგორც ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.



3. კონკრეტულ შეტყობინებაზე დაწკაპუნებით გაიხსნება შეტყობინების ფანჯარა (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი) შინაარსით და რამდენიმე ღილაკით.



14. საგრანტო კონკურსის ელ-სისტემა (საგრანტო მენეჯერის ინსტრუქცია)

14.1 სისტემის მომხმარებელი

სისტემაში საგრანტო საქმიანობის მენეჯერი (შემდეგში - საგრანტო მენეჯერი) განახორციელებს საგრანტო კონკურსის გამოქვეყნებას, განცხადებაზე სტატუსების შეცვლას, მიმწოდებელთან კომუნიკაციას და სხვა მრავალ ქმედებას, რომელსაც ჩამოვთვლით ქვევით:

1. ელ-სისტემაში ავტორიზებული შესვლა
2. საგრანტო კონკურსის გამოცხადება ელ-სისტემაში
3. საგრანტო განაცხადის რედაქტირება
4. განცხადებაზე სტატუსების მინიჭება
5. ხელშეკრულებაზე სტატუსების მინიჭება
6. ფაილების ატვირთვა / ჩამოტვირთვა
7. ფაილების გაუქმება
8. ფაილების წაშლა
9. ფაილების ნახვა
10. საგრანტო კონკურსში მონაწილის დისკვალიფიკაცია
11. საგრანტო კონკურსის შეწყვეტა
12. ხარვეზის დაზუსტება
13. გამარჯვებულის გამოვლენა
14. ხელშეკრულების დადება
15. კომუნიკაცია განმცხადებელთან
16. მომხმარებლის რეკვიზიტების რედაქტირება
17. ძებნა
18. ფაილების ამობეჭდვა

14.2 რეგისტრაცია

საგრანტო მენეჯერმა, ისევე როგორც სხვა მომხმარებელმა (სტუმრის გარდა), სისტემაში უნდა გაიაროს რეგისტრაცია. ამისთვის აუცილებელია:

1. სარეგისტრაციო ფორმის შევსება (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი). სავალდებულოდ შესავსები ველები აღნიშნულია წითელი ვარსკვლავით *.
2. ველების შევსების შედეგ, ლილავით 'რეგისტრაცია' გაიგზავნება მოთხოვნა რეგისტრაციაზე.
3. მომხმარებელს, მითითებულ ელ-ფოსტის მისამართზე, მიუვა გასააქტიურებელი ბმული.
4. ბმულის გამოყენების შემდეგ, მომხმარებელი გააქტიურდება სისტემაში.



რეგისტრაცია აქტივაციის კოდის მოთხოვნა შეტყობინება ადმინისტრატორს პაროლის აღდგენა **საკონტაქტო ინფორმაცია** LOG-IN გვერდი

მომხმარებლის ტიპი*
სამართლებრივი ფორმა*
საიდენტიფიკაციო კოდი*
სახელი/დასახელება*
სახელი/დასახელება (E)* (English only)
ქვეყანა*
ქალაქი/დაბა/სოფელი*
მისამართი*
ტელეფონი*
ფაქსი*
ელ-ფოსტა*
ელ-ფოსტა (ხელშეორედ)*
ვებ-გვერდი*
პირადი ნომერი*
სახელი, გვარი*
მისამართი*
ტელეფონი*
მომხმარებლის სახელი*
პაროლი*
პაროლი ხელშეორედ*
დამცავი კოდი*
გაეცანო და ეთანხმები*
რეგისტრაცია

ჩანართები

ოფიციალური მისამართი
ოფიციალური საკონტაქტო ტელეფონი
საკონტაქტო ფაქსის ნომერი
მოთხოვლ მისამართზე გამოიგზავნება რეგისტრაციის დადასტურების შედეგობრება
ოფიციალური ვებ-გვერდის მისამართი
მომხმარებლის სახელი და გვარი
მინ. 5 სიმბოლო
მინ. 5 სიმბოლო
მინ. 5 სიმბოლო
აკრფველ ნახატებ გამოსახული სიმბოლოები

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენების პირობები

ამავე ფანჯრის ჩანართებიდან, მომხმარებელს შეუძლია შემდეგი ქმედებების განხორციელება:

- 'აქტივაციის კოდის მოთხოვნა' –
- 'შეტყობინება ადმინისტრატორს' – მომხმარებელს შეუძლია ადმინისტრატორთან დაკავშირება ამ ფანჯარაში მოცემული ველების შევსებით.
- 'პაროლის აღდგენა' – საჭიროა ველების შევსება და შევსებული ინფორმაციის 'გაგზავნა' ღილაკით.
- 'საკონტაქტო ინფორმაცია' –
- 'LOG-IN გვერდი' – მომხმარებელს გაიყვანს ავტორიზაციის გვერდზე.

14.3 ავტორიზაცია

რეგისტრირებულმა მომხმარებელმა სისტემაში უნდა გაიაროს ავტორიზაცია:

რეგისტრირებული მომხმარებელი [] პაროლი [] შესვლა

სტუმარი + მომხმარებლის რეგისტრაცია შეტყობინება ადმინისტრატორს პაროლის აღდგენა


- სათანადო ველებში შეიყვანოს რეგისტრირებული მომხმარებლის სახელი და პაროლი
- დააწკაპუნოს ღილაკზე 'შესვლა'
 - წარმატებული ავტორიზაციის შემთხვევაში, მომხმარებელს გაეხსნება სისტემის მთავარი გვერდი
 - წარუმატებელი მცდელობისას, მომხმარებელს გამოუვა შესაბამისი შეტყობინება




14.4 მომხმარებლის რეკვიზიტების რედაქტირება

ავტორიზაციის გავლის შემდეგ, მომხმარებელს (მხოლოდ გრანტორის უფლების მქონეს) შეუძლია საკუთარი რეკვიზიტების შეცვლა/შესწორება:

1. ზედა ჰორიზონტალური მენიუდან უნდა აირჩეს ჩანართი 'პროფილი' (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი)



2. გაიხსნება პროფილის ფანჯარა, საიდანაც ღილაკით 'რედაქტირება' შესაძლებელია ორგანიზაციის მონაცემების შეცვლა (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი):



3. თუ საგრანტო მენეჯერი ამატებს ახალს ან არედაქტირებს არსებული მომხმარებლის მონაცემებს:

3.1 უნდა შევიდეს ამავე ფანჯრის ჩანართში 'მომხმარებლები'

მომხმარებელი	SMS	ტელეფონი	აქტიური	გრანტორი	
გოგიტა მჭედლიშვილი 12001004410 g.mchedlishvili@napr.gov.ge კალაუბნის ქუჩა N 451111	✓	577244484	✓	✓	31.07.2010
ბონდო ლობჯანიძე 01001059141 kakha.gh@gmail.com თბილისი გლდანის VI მ/რ კორ. 28 ბ. 55	✗	577111111	✗	✗	გოგიტა მჭედლიშვილი 11.08.2010
გოგიტა მჭედლიშვილი 36001004410 dmargania@spa.ge საგარეო ს. კაკაბეთი	✓	557645854	✓	✗	13.10.2010
გოგიტა მჭედლიშვილი 36001004410 ebikashvili@napr.gov.ge საგარეო ს. კაკაბეთი	✓	557555555	✓	✓	გოგიტა მჭედლიშვილი 15.03.2011

3.2 ღილაკი 'დამატება' გახსნის მომხმარებლები-ს ფანჯარას (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი) და დაამატებს ახალ მომხმარებელს (ამ შემთხვევაში ღილაკი 'რედაქტირება' არ იქნება გააქტიურებული)



პროფილი

მთავარი | საკონტაქტო პირები | დოკუმენტაცია | კონსოლიდირებული ტენდერი | **მომხმარებლები**

პირადი ნომერი

სახელი, გვარი

მისამართი

ტელეფონი მონიშნეთ შეტყობინებების მისაღებად

მომხმარებლის სახელი

ელ-ფოსტა

პაროლი

პაროლი ხელმეორედ

აქტიური

გრანტორი

4. თუ საგრანტო მენეჯერი არედაქტირებს არსებული მომხმარებლის მონაცემებს:

- 4.1 უნდა დააწკაპუნოს მომხმარებლის რიგზე
- 4.2 ღილაკი 'რედაქტირება' გააქტიურდება
- 4.3 ღილაკზე 'რედაქტირება' დაწკაპუნებით გაიხსნება ფანჯარა მომხმარებლის მონაცემებით
- 4.4 შეტანილი ცვლილებები შეინახება ღილაკით 'ჩაწერა'

14.5 ძებნა სისტემაში

სისტემაში ძებნა განხორციელდება ქვემოთ მოცემულ სურათში არსებული პარამეტრებით:

განცხადების ნომერი

შემსყიდველი

მიმწოდებელი

შესყიდვის სტატუსი

ხელშეკრულების სტატუსი

შესყიდვის ტიპი

საგრანტო კონკურსი

შესყიდვის კატეგორია

კლასიფიკატორის კოდები

თარიღი

თანხით (-დან/-მდე)

პრეისკურანტი

მწარმოებელი

მოდელი

ძებნა ჩემს ჩანაწერებში

მომხმარებელს კონკრეტული განცხადების მოძებნა შეუძლია შესაბამის ველში განცხადების ნომრის მითითებით.

თუ ძიება განხორციელდება კონკრეტული შემსყიდველის, მიმწოდებლის, ან სხვა პარამეტრის მიხედვით, აუცილებელია ასევე მიეთითოს შესყიდვის ტიპი - 'საგრანტო კონკურსი':

შესყიდვის ტიპი

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი
ელექტრონული ტენდერი
შესყიდვის ელექტრონული პროცედურა
კონსოლიდირებული ტენდერი
შესყიდვის ელ. პროცედურა დონორის სახსრებით
კონკურსი
საგრანტო კონკურსი

თუ არც ერთი პარამეტრი მონიშნული არ იქნება, მოიძებნება ყველა შესყიდვის ტიპის განცხადება.



14.6 საგრანტო პროექტის მომზადება

1. საგრანტო საქმის მენეჯერმა უნდა შეავსოს საგრანტო კონკურსის ფორმა (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი):

2. ჩანართი - # მომხმარებელს დააბრუნებს განცხადების ფანჯარაზე

3. ატვირთოს საგრანტო დოკუმენტაცია:

შენიშვნა: სისტემაში შესაძლებელია სამი ფორმატის დოკუმენტის ატვირთვა: **.doc/.docx**, **.pdf** და **.xls /.xlsx**.

14.7 საგრანტო პროექტის რეგისტრაცია

1. ღილაკით **‘რეგისტრაცია’** (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი) დაარეგისტრირებს განცხადებას.

#	დოკუმენტაცია	შეთავაზებები	შედევები	ხელშეკრულება
უკან	შესყიდვის ტიპი	საგრანტო კონკურსი		
	დონორი	იუსტიციის სამინისტრო		
	პროგრამის დასახელება	ტესტი		
	ლოტის დასახელება / N:	1122		
	განცხადების ნომერი	N/A		★ დაამატე რჩევლებში
	შესყიდვის სტატუსი	განცხადების პროექტი		
	ადმინისტრირებას უწევს	შემსყიდველი #B		
	შესყიდვის გამოცხადების თარიღი			
	წინადადებების მიღება იწყება	21.12.2015 00:00		
	წინადადებების მიღება მთავრდება	22.12.2015 12:00		
	დაფინანსება	2016 წლის სახსრები		
	შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	4'000.00 GEL	ხელშეკრულების უზრუნველყოფის საგრანტო არ მოითხოვება	
	პროგრამის ხანგრძლივობა	2 თვის მანძილზე		
	დამატებითი ინფორმაცია			
ვტესტავთ				
დაფინანსება				
მიუთითეთ დაფინანსების წყარო!				
რედაქტირება	რეგისტრაცია	ბეჭდვა	პროექტის წაშლა	განცხადების ჩანერა: გოგია მგვდლიძე :: 17.12.2015 14:56

2. დაარეგისტრირებულ განცხადებას მიენიჭება უნიკალური ნომერი პრეფიქსით GRA..., მაგ. GRA150000001.

14.8 პროექტის რედაქტირება / წაშლა

პროექტის წაშლა მოხდება ღილაკით **‘პროექტის წაშლა’** (იხილეთ ზემოთ მოცემული სურათი) რომელიც შესაძლებელი იქნება განცხადების რეგისტრაციამდე.

პროექტის რედაქტირება მოხდება ღილაკით **‘რედაქტირება’** (იხილეთ ზემოთ მოცემული სურათი), რომელიც შესაძლებელი იქნება:

1. რეგისტრაციამდე, თუმცა ამ დროს ცვლილებების ისტორია არ შეინახება სისტემაში.
2. რეგისტრაციის შემდეგ პროექტი რედაქტირებადია სტატუსამდე **‘წინადადების მიღება დაწყებულია’**. ამ შემთხვევაში ცვლილებების ისტორია შეინახება.



14.9 კითხვა-პასუხი

ჩანართიდან 'დოკუმენტაცია', საგრანტო მენეჯერს აქვს საშუალება უპასუხოს მომხმარებლის მიერ დასმულ შეკითხვებს (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი):

18.05.2015 16:21 მიმწოდებელი ::
მაქვს შეკითხვა ამ განცხადებასთან დაკავშირებით

გამოხმაურება (2) პასუხი

21.05.2015 16:29 შემსყიდველი #B :: გოგია მჭედლიძე
ესა არის ჩემი პასუხი :)

გაუქმება

18.05.2015 16:34 მიმწოდებელი ::
მაქვს ახალი კომენტარი დასმულ კითხვასთან დაკავშირებით.

შენიშვნა: გამოყენებულია შემდეგი წესები:

1. შეკითხვის ავტორი გამოჩნდება წინადადების მიღების დასრულების შემდეგ. მანამდე ის ცნობილი იქნება სისტემაში, როგორც 'მიმწოდებელი1....N';
2. პასუხის ავტორი თავიდანვე იქნება ცნობილი;
3. კითხვის დასმა შესაძლებელი იქნება მათთვის, ვისაც მონაწილეობის მიღების უფლება აქვს;
4. კითხვის დასმა შესაძლებელი იქნება წინადადების მიღების დასრულებამდე **2 სამუშაო დღით ადრე**;
5. კითხვის დასმის უფლება, წინადადების მიღების დასრულების შემდეგ, იქნება არადისკვალიფიცირებულ მონაწილეს, განცხადების საბოლოო სტატუსის მინიჭებამდე.

14.10 ხარვეზის გამოსწორება

საკონკურსო წინადადების დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზების შემთხვევაში, საგრანტო მენეჯერი მონაწილისგან, სისტემის საშუალებით, მოითხოვს ხარვეზის დაზუსტებას. ამისთვის:

1. ჩანართიდან 'შედეგები' მენეჯერი ატვირთავს შესაბამის დოკუმენტს ველიდან 'ფაილი' და მიუთითებს აღწერას (არ არის სავალდებულო).

#GRA15000007 დოკუმენტაცია შეთავაზებები **შედეგები** ხელშეკრულება

უკან შესყიდვის შეწყვეტა

::

	დოკუმენტი	თარიღი/ავტორი
1.	GRA15000007_testsss.pdf	07.05.2015 10:22 :: გოგია მჭედლიძე

ახალი დოკუმენტის მიმაგრება (PDF/XLS/XLSX/DOC/DOCX ფაილი. მაქსიმალური ზომა 8 მგებაბაიტი)

ფაილი No file selected.

აღწერა

2. სისტემა ყველა მონაწილესთან ავტომატურად გააგზავნის შიდა სისტემურ და sms შეტყობინებას, რომ მათთვის საინტერესო შესყიდვაში საგრანტო საბჭოს მიერ აიტვირთა დოკუმენტი.



3. თუ დროულად არ მოხდა ან შეუსაბამოდ მოხდა ხარვეზების დაზუსტება, მენეჯერი უფლებამოსილია სისტემაში დააფიქსიროს მონაწილის დისკვალიფიკაცია.
4. დისკვალიფიკაციის შემთხვევაში (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი):
 - a. უნდა აიტვირთოს შესაბამისი ოქმი
 - b. აირჩეს შესაბამისი მიმწოდებელი
 - c. აირჩეს დისკვალიფიკაციის მიზეზი
 - d. ღილაკით **‘შესრულება’** დასრულდეს ქმედება

მიმწოდებელი:

- დისკვალიფიკაცია ტექნიკური დოკუმენტაციის გამო
- პრეტენდენტმა უარი თქვა წინადადებაზე
- დისკვალიფიკაცია არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო

სისტემა აგენერირებს შესაძლო დისკვალიფიკაციის ტიპებს. ეს ტიპები დამოკიდებულია განცხადების სტატუსზე. მაგ. ‘წინადადების მიღება დასრულებულია’ სტატუსზე გენერირდება შემდეგი ტიპები:

მიმწოდებელი:

- დისკვალიფიკაცია ტექნიკური დოკუმენტაციის გამო
- დისკვალიფიკაცია საკვალიფიკაციო დოკუმენტების გამო
- პრეტენდენტმა უარი თქვა წინადადებაზე
- დისკვალიფიკაცია არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო
- დისკვალიფიკაცია ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო

სტატუსზე ‘შერჩვა/შეფასება’ გენერირდება შემდეგი ტიპები:

მიმწოდებელი:

- პრეტენდენტმა უარი თქვა წინადადებაზე
- დისკვალიფიკაცია არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო
- ვერ გადალახა ქულათა მინიმალური ზღვარი
- დისკვალიფიკაცია სხვა დასაბუთებული მიზეზის გამო

და ასე შემდეგ.

14.11 საგრანტო კონკურსის შედეგების გამოქვეყნება

საგრანტო მენეჯერი კონკურსის შედეგებს გამოაქვეყნებს ჩანართიდან **‘შედეგები’**. ამისათვის:



1. სისტემაში უნდა ატვირთოს ოქმი:
 - 1.1 უარყოფითად დასრულების შემთხვევაში უნდა ატვირთოს საბჭოს მიერ მიღებული ოქმი;
 - 1.2 იმ შემთხვევაში თუ აუცილებელი გახდა საგრანტო კონკურსის შეწყვეტა, მენეჯერმა უნდა ატვირთოს შეწყვეტის ოქმი (იხ. თავინ), რომლის შემდეგ ვეღარ უნდა შეძლოს რაიმე ქმედების განხორციელება;
2. გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ, მენეჯერმა უნდა შეძლოს განცხადებაზე შესაბამისი სტატუსის მინიჭება 'გამარჯვებული გამოვლენილია' (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი)

შესყიდვის სტატუსის შეცვლა: მინიჭება

14.12 ხელშეკრულების მომზადება / დადება / ცვლილება

შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ:

1. საგრანტო მენეჯერმა უნდა ატვირთოს ხელშეკრულება სისტემაში შესაბამისი ველების მითითებით (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი):

ხელშეკრულების მიმაგრება

გამარჯვებული:

ხელშეკრულება: No file selected.

ხელშეკრულების ნომერი:

ხელშეკრულების თანხა: ლარი/თეთრ

ხელშეკრულება ძალაშია:

2. განცხადებას უნდა მიანიჭოს სტატუსი: 'ხელშეკრულება დადებულია'. ამის შემდეგ სისტემაში ატვირთული ხელშეკრულება ხელმისაწვდომი გახდება დაინტერესებული პირებისთვისაც (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი).

უკან

მიმდინარე ხელშეკრულება
გოგითა მჭედლოშვილი : 09.11.2015
ხელშეკრულების მოქმედების ვადას გადაცილებული დღეები: 19

გრანტის მიმღები
ნომერი/თანხა: N555 / 4587 ლარი
ხელშეკრულება ძალაშია: 10.11.2015 - 28.11.2015
09.11.2015 17:14



3. ხელშეკრულების ცვლილების შემთხვევაში, მენეჯერმა უნდა ატვირთოს ცვლილების ოქმი ან სხვა საჭირო დოკუმენტი დილაკით 'ხელშეკრულების ცვლილება' (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი) ჩანართიდან 'ხელშეკრულება':

გრანტის მიმღები
ნომერი/თანხა: N555 / 4587 ლარი
ხელშეკრულება ძალაშია: 10.11.2015 - 28.11.2015
09.11.2015 17:14

უფლებამონაცვლის მითითება

ხელშეკრულებაში შეცდომის გასწორება ხელშეკრულების ცვლილება

14.13 საგრანტო კონკურსის შეწყვეტა

ამ ქმედების განხორციელება შესაძლებელია ნებისმიერი მიმდინარე სტატუსის დროს:

1. მენეჯერმა უნდა ატვირთოს საკონკურსო კომისიის სხდომის შესაბამისი ოქმი ველიდან 'ფაილი' (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი)

#GRA150000037 | დოკუმენტაცია | შეთავაზებები | **შედეგები** | ხელშეკრულება

უკან | შესყიდვის შეწყვეტა

შესყიდვის შესაწყვეტად ატვირთეთ შესაბამისი ოქმი. (PDF ფაილი. მაქსიმალური ზომა 8 მეგაბაიტი)
ატვირთვის შემდეგ თქვენ ვეღარ შეძლებთ შესყიდვისთვის სხვა სტატუსის მინიჭებას ან დოკუმენტების მიმაგრებას

გავეცანი

ფაილი No file chosen

დოკუმენტი | თარიღი/ავტორი

1. GRA150000037_შესყიდვის შეწყვეტის ოქმი_Tickets Eliso.pdf | 17.12.2015 15:36 :: ვივია მჭედლიძე

2. განცხადებას უნდა მიაწიქოს სტატუსი: 'შეწყვეტილია'
3. სისტემა ავტომატურად შეატყობინებს მონაწილეებს საგრანტო კონკურსის შეწყვეტის შესახებშიდა შეტყობინების და სმს-ის საშუალებით.




14.14 შეტყობინებები

საგრანტო მენეჯერი, სისტემის საშუალებით მიიღებს შეტყობინებას მიმწოდებლის ან სააგენტოს მიერ განხორციელებულ რამდენიმე ქმედებაზე:

1. მიმწოდებლის მიერ დასმული შეკითხვის შესახებ
2. მიმწოდებლის მიერ საგრანტო დოკუმენტაციის ან ხარვეზის დროს ატვირთული დოკუმენტების შესახებ
3. სააგენტოს მიერ გამოგზავნილი ინფორმაციის შესახებ

შეტყობინებებთან მუშაობა განცობრციელდება შემდეგნაირად:

1. შეტყობინებები მოვა ფანჯრის მარცხენა პანელის მენიუში 'შეტყობინებები (1...N)'



2. მენიუს ღილაკზე დაწკაპუნებით, გაიხსნება შემოსული შეტყობინებების სია, როგორც ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები



3. კონკრეტულ შეტყობინებაზე დაწკაპუნებით გაიხსნება შეტყობინების ფანჯარა შინაარსით და რამდენიმე ღილაკით



15. კლავიატურის გადართვა–გადმორთვა

სისტემაში შესაძლებელია ქართულიდან ლათინურ (და პირიქით) შრიფტზე გადართვა–გადმორთვა. ამის განხორციელება შესაძლებელია სიმბოლოს ~ გამოყენებით, როგორც ქვემოთ მოცემულ სურათზეა გამოსახული.



16. საკონკურსო წინადადების შეფასებისა და გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენის ფორმულის გამოყენების გზამკვლევი

შესავალი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებით დამტკიცდა „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესი და პირობები“, რომელიც ითვალისწინებს კონკურსის ტენდერის მსგავსად, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით გამოცხადებასა და ჩატარებას.

ბრძანების მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ პრეტენდენტთა რანჟირება ხორციელდება ხარისხობრივი კრიტერიუმების და საკონკურსო წინადადების ფასის ერთდროულად გათვალისწინებით. შემსყიდველი ორგანიზაცია საკონკურსო პირობებში განსაზღვრავს, როგორც ხარისხობრივ კრიტერიუმებს და მათ ხვედრით წონებს, ასევე ხარისხის ჯამური შეფასებისა და საკონკურსო წინადადების ფასის პრიორიტეტებს. იმისათვის, რომ გამოვლინდეს საუკეთესო საკონკურსო წინადადება, შემსყიდველმა ორგანიზაციამ საჭიროა გამოითვალოს საკონკურსო წინადადების ხარისხის შეფასების ჯამური ქულა, რომელიც, სისტემის მეშვეობით, აგრეგირდება წინადადების ფასთან. საბოლოოდ, აგრეგირების (წინასწარ განსაზღვრული ხვედრით წონათა შესაბამისად, ხარისხის ჯამური ქულისა და წინადადების ფასის ერთმანეთთან შეპირისპირება) შედეგად, სისტემა ავტომატურად მოახდენს პრეტენდენტების რანჟირებას და გამოავლენს საუკეთესო საკონკურსო წინადადების მქონე პრეტენდენტს. იმისათვის, რომ შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის მარტივი იყოს შეფასების ფორმულის გამოყენება, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ Excel-ის ფორმატში შექმნა სპეციალური მატრიცა, რომელიც ახდენს ხარისხის ჯამური შეფასების დაანგარიშებას. მატრიცა განთავსებულია სისტემასა და აგრეთვე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

წინამდებარე გზამკვლევის I ნაწილში ყურადღება ეთმობა ხარისხის შეფასების კრიტერიუმების ტიპებს. სახელმძღვანელოს II ნაწილი იძლევა პრაქტიკულ მითითებებს მატრიცის გამოყენების ტექნიკურ მხარესთან დაკავშირებით.



ხარისხის შეფასების კრიტერიუმების ტიპები

„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების“ (შემდგომში – კონკურსის ჩატარების წესი) მიხედვით, შემსყიდველ ორგანიზაციებს ეძლევათ საშუალება, განსაზღვრონ მოთხოვნები, როგორც შესყიდვის ობიექტის, ასევე პრეტენდენტების მიმართ. პრეტენდენტის მიმართ განსაზღვრული კრიტერიუმები ემსახურება მიმწოდებლის ცოდნის-გამოცდილების, მათი ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების, ასევე სანდოობის შეფასებას. შესყიდვის ობიექტის მიმართ წაყენებული მოთხოვნებით განისაზღვრება, თუ რა მახასიათებლებს/თვისებებს უნდა აკმაყოფილებდეს შესყიდვის ობიექტი, აგრეთვე რა შემთხვევაში და რა ოდენობით მიენიჭება პრეტენდენტის საკონკურსო წინადადებას უპირატესობა.

უნდა აღინიშნოს, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ კრიტერიუმების განსაზღვრისას საჭიროა გაითვალისწინოს ობიექტურობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპები, რაც გულისხმობს განსაზღვრული კრიტერიუმების შესყიდვასთან პირდაპირ და ზომიერად პროპორციულ კავშირს. შესაბამისად, ცალკეული კრიტერიუმები და მოთხოვნები განისაზღვრება შემთხვევისებრ, თითოეული კონკურსის შემთხვევაში, შესყიდვის ობიექტის მოცულობის, სირთულის, მიწოდების ვადის, გადახდის პირობებისა და შესყიდვის სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით.

ბრძანების მიხედვით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეძლევა შემდეგი კრიტერიუმების განსაზღვრის შესაძლებლობა⁷:

ხარისხის შეფასების კრიტერიუმები კონკურსის ჩატარების წესის თანახმად	
ა)	<p>მოთხოვნები, რომლებსაც შესყიდვის ობიექტი, პრეტენდენტი, მისი ტექნიკური დოკუმენტაცია უპირობოდ უნდა აკმაყოფილებდეს და ამ მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა იწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.</p> <p><i>მაგალითად, მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ წარმოდგენილ ძირითად სპეციალისტებს საჭიროა გააჩნდეთ ტექნიკური განათლება და კონკურსით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის მომსახურების გაწევის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება, განეკუთვნება მოთხოვნას, რომლის დაუკმაყოფილებლობა იწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.</i></p>

⁷ წინამდებარე რეკომენდაციაში მოყვანილი კონკრეტული კრიტერიუმები ატარებს მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებს და ემსახურება მხოლოდ მაგალითების მოყვანას.



<p>ბ)</p>	<p>თვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება მაღალ ციფრობრივ მაჩვენებელს. ასეთ შემთხვევაში, ამ კრიტერიუმში, უმაღლეს შეფასებას ღებულობს ის პრეტენდენტი, რომლის ტექნიკური დოკუმენტაციაც ყველაზე მეტად აღემატება საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ ამ კრიტერიუმისთვის დადგენილ მინიმალურ მოთხოვნას.</p> <p><i>მაგალითად, „საგარანტიო პერიოდის ხანგრძლივობა წლებში“ თვლადი კრიტერიუმია. ამასთან, საკონკურსო წინადადება მით უფრო ფასეულია შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, რაც უფრო ხანგრძლივია პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული საგარანტიო პერიოდი. შესაბამისად, ბრძანებაში მოყვანილი მეთოდის გამოყენებით პრეტენდენტის „ფასეულობა“ სათანადოდ აისახება ხარისხის ჯამურ ქულაში. ცხადია, აღნიშნული ტიპის კრიტერიუმის განსაზღვრისას, შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია საკონკურსო დოკუმენტაციით დაადგინოს მინიმალური საგარანტიო პერიოდის ხანგრძლივობაც, რომლის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში პრეტენდენტს მიენიჭება დისკვალიფიკაცია (როგორც ეს მითითებულია „ა“ ტიპის კრიტერიუმის შემთხვევაში).</i></p>
<p>გ)</p>	<p>თვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება დაბალ ციფრობრივ მაჩვენებელს. ასეთ შემთხვევაში, ამ კრიტერიუმში, უმაღლეს შეფასებას ღებულობს ის პრეტენდენტი, რომლის ტექნიკური დოკუმენტაციაც ყველაზე მეტად სცილდება (მეტობიდან ნაკლებობისკენ) საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ ამ კრიტერიუმისთვის დადგენილ მაქსიმალურ მოთხოვნას.</p> <p><i>მაგალითად, კრიტერიუმი „ექსპლოატაციის წლიური ხარჯების ოდენობა“ თვლადი კრიტერიუმია. ამასთან, საკონკურსო წინადადება მით უფრო ფასეულია შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, რაც უფრო ნაკლებია ექსპლოატაციის წლიური ხარჯების ოდენობა პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული კონცეფციის თანახმად. შესაბამისად, ბრძანებაში მოყვანილი მეთოდის გამოყენებით, პრეტენდენტის „ფასეულობა“ სათანადოდ აისახება ხარისხის ჯამურ ქულაში. ცხადია, აღნიშნული ტიპის კრიტერიუმის განსაზღვრისას, შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია საკონკურსო დოკუმენტაციაში დაადგინოს ექსპლოატაციის წლიური ხარჯების მაქსიმალური ოდენობა, რომლის გადაჭარბების შემთხვევაში პრეტენდენტს მიენიჭება დისკვალიფიკაცია (როგორც ეს მითითებულია „ა“ ტიპის კრიტერიუმის შემთხვევაში).</i></p>




<p>დ)</p>	<p>არათვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება საკონკურსო კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების მაღალ საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელს.</p> <p><i>მაგალითად, კრიტერიუმი „პროექტის არქიტექტურულ-ესკიზური ვიზუალური მხარე“ სუბიექტური კრიტერიუმია, რომელიც შეიძლება შეფასდეს მხოლოდ საკონკურსო კომისიის წევრების მიერ, სუბიექტურ შეხედულებებზე დაყრდნობით. კონკურსის ჩატარების წესის თანახმად, კომისიის ყოველი წევრი ცალ-ცალკე აფასებს აღნიშნული ტიპის კრიტერიუმებს 0-10-ქულიან დიაპაზონში, ხოლო კრიტერიუმის საბოლოო შეფასება განისაზღვრება კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლით.</i></p>
<p>ე)</p>	<p>კრიტერიუმები, რომლებიც გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციით დადგენილი გარკვეული პირობის/პირობების შესრულებას და პრეტენდენტის მიერ ამ პირობის/პირობების შეუსრულებლობა არ იწვევს მის დისკვალიფიკაციას. ასეთ შემთხვევაში, თუ ტექნიკური დოკუმენტაცია ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ პირობას/პირობებს, ტექნიკური დოკუმენტაციის ხარისხის შეფასება კლებულობს საკონკურსო დოკუმენტაციაში განსაზღვრული პროცენტული ოდენობის შესაბამისად.</p> <p><i>მაგალითად, შემსყიდველი ორგანიზაციისათვის შესაძლებელია უფრო ღირებული იყოს მიმწოდებელი, რომელსაც საწარმოში აქვს დანერგილი ხარისხის მართვის სისტემა (თუმცა, ამავდროულად, მისაღებია ის მიმწოდებელიც, რომელსაც აღნიშნული სისტემა არ აქვს საწარმოში დანერგილი). სწორედ ამიტომ, ხარისხის მართვის სისტემის უქონლობა არ არის პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის საფუძველი. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია იყენებს აღნიშნული ტიპის კრიტერიუმს, მაშინ პრეტენდენტს, რომელსაც არ აქვს დანერგილი ხარისხის მართვის სისტემა, უმცირდება ხარისხის ჯამური შეფასება საკონკურსო დოკუმენტაციაში განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის შესაბამისად (მაგ., 3%-ით).</i></p>

ცხადია, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია აფასებს პრეტენდენტების წინადადებებს სხვადასხვა კრიტერიუმის საშუალებით, შესაძლებელია, რომ ზოგიერთი მათგანი უფრო მნიშვნელოვანი იყოს სხვა კრიტერიუმებთან შედარებით. სწორედ ამიტომ, კონკურსის ჩატარების წესის მიხედვით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ საჭიროა განსაზღვროს ე.წ. პრიორიტეტების მაჩვენებლები კრიტერიუმების ხვედრითი წონების სახით – რაც უფრო მაღალი ხვედრითი წონა ენიჭება კრიტერიუმს, მით უფრო მნიშვნელოვანია ის შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.



კონკურსის ჩატარების წესის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტებს ორ ეტაპად აფასებს⁸. პირველ ეტაპზე შემსყიდველი ორგანიზაცია აფასებს შესყიდვის ობიექტის ხარისხს, ხოლო შემდეგ, გამარჯვებულის გამოსავლენად, მიღებული ხარისხის შეფასების ჯამური ქულა სისტემის მეშვეობით აგრეგირდება საკონკურსო წინადადების ფასთან. აღსანიშნავია, რომ ხარისხის შეფასებისას შემსყიდველი ორგანიზაცია არ არის ინფორმირებული პრეტენდენტების მიერ წარდგენილი ფასების შესახებ – ხარისხი ფასდება საკონკურსო წინადადების ფასის ცოდნის გარეშე. ყოველივე ზემოაღნიშნული ემსახურება სანდოობის ამაღლებისა და სუბიექტური ფაქტორის გავლენის მინიმუმამდე დაყვანას. აქედან გამომდინარე, კონკურსის ჩატარების წესის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაცია საკონკურსო პირობებში განსაზღვრავს ხარისხის ჯამური შეფასებისა და საკონკურსო წინადადების ფასის ხვედრით წონებს, ხარისხის კრიტერიუმები კი, თავის მხრივ, სხვადასხვა ტიპებად იყოფა.

სურათი 1: პრეტენდენტების შეფასების ეტაპები



კრიტერიუმების განსაზღვრისას გასათვალისწინებელია, რომ, როგორც ხარისხობრივი კრიტერიუმების ხვედრითი წონების ჯამი, ასევე ხარისხის ჯამური შეფასებისა და საკონკურსო წინადადების ფასის პრიორიტეტების ჯამი უნდა შეადგენდეს ერთ მთელს. მაგალითად, თუ შემსყიდველმა ორგანიზაციამ განსაზღვრა ხარისხის სამი კრიტერიუმი,

⁸ აღსანიშნავია, რომ კონკურსის ჩატარების წესი, პრეტენდენტების ხსენებულ ორ ეტაპად შეფასებამდე, ითვალისწინებს ტექნიკური დოკუმენტაციების საკონკურსო პირობებთან შესაბამისობის დადგენას. ამ შემოწმების საგანი არ არის საკონკურსო წინადადების ხარისხის შეფასება, არამედ საკონკურსო კომისია აფასებს, რამდენად აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს ესა თუ ის ტექნიკური საკონკურსო პირობებით დადგენილ ამა თუ იმ მოთხოვნას. იმ შემთხვევაში, ტექნიკური დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს პირობებს (მაგალითად, მოთხოვნილია მინიმუმ 2-წლიანი გამოცდილება, ხოლო წარდგენილია 1,5-წლიანი), იგი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას. მხოლოდ დარჩენილი პრეტენდენტები აგრძელებენ კონკურსში მონაწილეობას და შემდგომ ამისა ფასდება მათი წინადადებები ორ ეტაპად.



რომელთა ხვედრითი წონებია 0,3, 0,4 და 0,5, მაშინ საჭიროა რომელიმე კრიტერიუმ(ებ)ის წონები სათანადოდ შემცირდეს, ვინაიდან 0,3+0,4+0,5 აღემატება ერთ მთელს. ანალოგიურად, თუ ფასის პრიორიტეტად განისაზღვრა 0,6 და ამავდროულად ხარისხის პრიორიტეტად 0,7, მაშინ საჭიროა განხორციელდეს წონ(ებ)ის შემცირება იქამდე, სანამ განსაზღვრული პრიორიტეტების ჯამი არ გაუტოლდება ერთ მთელს.

პრაქტიკული მითითებები მატრიცის გამოყენებასთან დაკავშირებით

როგორც შესავალში აღინიშნა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ შემუშავებული ხარისხის შეფასების მატრიცა იძლევა საშუალებას, კონკურსის ჩატარების წესში მოყვანილი მეთოდის შესაბამისად, მარტივად იქნეს დაანგარიშებული ხარისხის ჯამური ქულა ხარისხის კრიტერიუმების, მათი პრიორიტეტებისა და პრეტენდენტების მიერ წარდგენილ ტექნიკურ დოკუმენტაციებში მითითებული პარამეტრების საშუალებით.

შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესავსებ ველებს განეკუთვნება:

- ველები „კრიტერიუმის აღწერა“ ემსახურება მატრიცაში ხარისხის ცალკეული კრიტერიუმის აღწერას/მითითებას.

მაგალითად, კრიტერიუმის აღწერაა „საგარანტიო პერიოდის ხანგრძლივობა წლებში“. გაითვალისწინეთ, რომ კრიტერიუმი „საგარანტიო პერიოდის ხანგრძლივობა წლებში“ თვლადი კრიტერიუმია, სადაც უპირატესობა ენიჭება მაღალ ციფრობრივ მაჩვენებელს. შესაბამისად, აღნიშნული კრიტერიუმი აღიწერება/მითითება მატრიცის იმ ველებში, რომლებიც განკუთვნილია სწორედ ამ ტიპის კრიტერიუმებისათვის.

	A	B	C	D	E
1		კრიტერიუმის აღწერა	კრიტერიუმის ხვედრითი წონა (მაგ. 0,3 - გაითვალისწინეთ, წონების ჯამი საჭიროა შეავსდეს ერთ მთელს)	პრეტენდენტი 1	პრეტენდენტი 2
2					
3					
6	კრიტერიუმში უპირატესობა ენიჭება მაღალ ციფრობრივ მაჩვენებელს				
9	(მაგ. საგარანტიო პერიოდის ხანგრძლივობა წლებში და ა.შ)				
12					
15					
18					
19					
22	კრიტერიუმში უპირატესობა ენიჭება დაბალ ციფრობრივ მაჩვენებელს				
25	(მაგ. შემდგომი ტენდერების ბარჯები და ა.შ.)				
28					
31					
38	პირობა, რომლის შესრულების შემთხვევაში ბარისის შეფასება კლებულობს C სვეტში მითითებული პროცენტული ოდენობის შესაბამისად	პირობა	% (მაგ. 3%-ის შემთხვევაში მთლილად 3)		
39	(მაგ. პრეტენდენტს, რომელსაც არ გააჩნია ბარისის ბარისის სერტიფიკატი, შეუჭირდება ბარისის შეფასება 3%-ით)				
43					
69		ხარისხის ჯამური შეფასება		წონების ჯამი # 1	წონების ჯამი # 1

კრიტერიუმის აღწერის/მითითების ველები იმ კრიტერიუმებისათვის, რომლებშიც უპირატესობა ენიჭება მაღალ ციფრობრივ მაჩვენებელს

კრიტერიუმის აღწერის/მითითების ველები იმ კრიტერიუმებისათვის, რომლებშიც უპირატესობა ენიჭება დაბალ ციფრობრივ მაჩვენებელს

კრიტერიუმის აღწერის/მითითების ველები იმ კრიტერიუმებისათვის, რომლებშიც გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციით დადგენილი გარკვეული პირობის შესრულებას

- ველები „კრიტერიუმის ხვედრითი წონა“ ემსახურება მატრიცაში ცალკეული კრიტერიუმის წონის მითითებას.

მაგალითად, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ კრიტერიუმს „საგარანტიო პერიოდის ხანგრძლივობა წლებში“ მიენიჭა 0,3-ის ოდენობის პრიორიტეტი,



კრიტერიუმს „ექსპლუატაციის წლიური ხარჯების ოდენობა“ 0,3-ის ოდენობის პრიორიტეტი, ხოლო კრიტერიუმს „პროექტის არქიტექტურულ-ესკიზური ვიზუალური მხარე“ 0,4-ის ოდენობის პრიორიტეტი და, ამავდროულად, შემსყიდველი ორგანიზაციისათვის 3%-ით უფრო ღირებულია ის პრეტენდენტი, რომელსაც საწარმოში აქვს დანერგილი ხარისხის მართვის სისტემა, მაშინ მატრიცის ველები (კრიტერიუმის ტიპების გათვალისწინებით) საჭიროა შეივსოს ისე, როგორც მოცემულია ქვემოთ მოყვანილ სურათზე:

	A	B	C	D	E
1		კრიტერიუმის აღწერა	კრიტერიუმის ბევდრობის წონა (შპ. 0,3 - გათვალისწინეთ, წონების ჯამი საჭიროა შეადგინდეს ერთ მთელს)	პრეტენდენტი 1	პრეტენდენტი 2
2					
3	კრიტერიუმში უპირატესობა ენიჭება მთავარ ციფრობრივ მარკეტინგულს (შპ. საგარანტიო პერიოდის ხანგრძლივობა წლებში და ა.შ)	საგარანტიო პერიოდის ხანგრძლივობა წლებში	0,3		
6		პროექტის არქიტექტურულ-ესკიზური ვიზუალური მხარე	0,4		
9					
12					
15					
18					
19	კრიტერიუმში უპირატესობა ენიჭება დამატებით ციფრობრივ მარკეტინგულს (შპ. შემდგომი ექსპლუატაციის ბარეები და ა.შ.)	ექსპლუატაციის წლიური ხარჯების ოდენობა	0,3		
22					
25					
28					
31					
38		პირობა	% (შპ. 3%-ის შემთხვევაში მთლიანად 3)		
39	პირობა, რომლის შესრულების შემთხვევაში ხარისხის შეფასება კლებულა C სკელებში მიითითებული პროცენტული ოდენობის შესაბამისად (შპ. პრეტენდენტს, რომელსაც არ გააჩნია ხარისხის მართვის სისტემა, შეუმოიღება ხარისხის შეფასება 3%-ით)	დანერგილი ხარისხის მართვის სისტემა	3		
41					
43					
69		ხარისხის ჯამური შეფასება		წონების ჯამი # 1	წონების ჯამი # 1

- ველები „პრეტენდენტი“ ემსახურება, პრეტენდენტების მიერ წარდგენილი საკონკურსო წინადადებების მიხედვით, მატრიცაში სათანადო პარამეტრების დაფიქსირებას. მაგალითად, კონკურსში მონაწილეობს ორი პრეტენდენტი, რომელთა საკონკურსო წინადადებებიდან გამოიკვეთა ცხრილში მოცემული პარამეტრები:

კრიტერიუმი	პრეტენდენტი 1	პრეტენდენტი 2
საგარანტიო პერიოდის ხანგრძლივობა (წლებში)	40	45
პროექტის არქიტექტურულ-ესკიზური ვიზუალური მხარე (კომისიის წევრების მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკული)	9,8	9,6
ექსპლუატაციის წლიური ხარჯების ოდენობა (ლარებში)	12000	11000
საწარმოში დანერგილი ხარისხის მართვის სისტემა	კი	არა



ცხრილში მოცემული პარამეტრების მატრიცაში შეყვანით ვლბულობთ შემდეგ სურათს:

	A	B	C	D	E
1			კრიტერიუმის ხვედრითი წონა (მაგ. 0,3 - გაითვალისწინეთ, რომლის უკმა საჭიროა შეადგენდეს ერთ მთელს)		
2	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო STATE PROCUREMENT AGENCY	კრიტერიუმის აღწერა		პრეტენდენტი 1	პრეტენდენტი 2
3		საგარანტიო პერიოდის ხანგრძლივობა წლებში	0,3	40	45
6	კრიტერიუმები ფარავსებობა ენიჭება მათადა ციფრობრივ მარცვნილს	პროექტის არქიტ-ესკიზური ვიზუალური მხარე	0,4	9,8	9,6
9	(მაგ. საგარანტიო პერიოდის ხანგრძლივობა წლებში და ა.შ)				
12					
15					
18					
19	კრიტერიუმები ფარავსებობა ენიჭება ფაბადა ციფრობრივ მარცვნილს	ეკსპლუატაციის წლიური ხარჯების ოდენობა	0,3	12000	11000
22	(მაგ. შემდგომი ექსპლუატაციის ხარჯები და ა.შ)				
25					
28					
31					
38	პირობა, რომლის შეუსრულებლობის შენიშვნევაში ხარისხის შეფასება კლასიფიკაციის C სეგმეში მითითებული პროცენტული ოდენობის შესაბამისად	პირობა	% (მაგ. 3%-ის შემთხვევაში მთლიანად 3)		
39		დანერგილი ხარისხის მართვის სისტემა	3	ასრულეხს	არ ასრულეხს
41	(მაგ. პრეტენდენტს, რომელსაც არ გააჩნია ხარისხის მართვის სერტეფიკატი, შეუშვირდებთ ხარისხის შეფასება 3%-ით)				
43					
69		ხარისხის ჯამური შეფასება		9,78	10,00

სურათიდან ჩანს, რომ ხარისხის შეფასებაში პირველმა პრეტენდენტმა მოიპოვა 9,8, ხოლო მეორემ – 10 ქულა. კონკურსის ჩატარების წესის მიხედვით, პრეტენდენტის/პრეტენდენტების ტექნიკური დოკუმენტაციის/დოკუმენტაციების შეფასება უნდა აისახოს საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმში. ამასთან, სავალდებულოა პრეტენდენტის/პრეტენდენტების ტექნიკური დოკუმენტაციის/დოკუმენტაციების შეფასების ოქმისა და ხარისხის ჯამური ქულის დაანგარიშების შევსებული მატრიცის სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა და ხარისხის ჯამური ქულების სისტემაში მითითება, რის შემდეგადაც შეფასების პროცესი გადადის მე-2 ეტაპზე. მეორე ეტაპზე ხორციელდება პრეტენდენტების საკონკურსო წინადადებების ფასების გათვალისწინება პრეტენდენტების რანჟირების დადგენისათვის. აღსანიშნავია, რომ ფასის გათვალისწინება ე.წ. ავტომატური რანჟირების სისტემის გამოყენებით – სისტემა ავტომატურად ახდენს პრეტენდენტების რანჟირებას (ბრძანების დანართში მოყვანილი ფორმულა №6-ის გამოყენებით).

დანართ №1-ში, საილუსტრაციო მიზნებისათვის, მოყვანილია ხარისხის შეფასების დაანგარიშების არითმეტიკული მეთოდი, ბრძანების დანართში მოცემული ფორმულების შესაბამისად.



დანართი 1: ხარისხის შეფასების დაანგარიშების არითმეტიკული მეთოდი ბრძანების დანართის შესაბამისად.

ქვემოთ მოყვანილ დაანგარიშებაში აღებულია წინამდებარე სახელმძღვანელოს ძირითად ნაწილში განხილული მაგალითი. მიზანს წარმოადგენს ის, რომ კონკურსის მოდულის მომხმარებლებს მიეცეთ პრაქტიკული დახმარება/ინფორმაცია, ერთი მხრივ ბრძანების დანართში მოყვანილი მეთოდის გამოყენებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, ინფორმაცია ხარისხის შეფასების მატრიცაში გათვალისწინებული მსვლელობის/ეტაპების შესახებ.

ნაბიჯი	პრეტენდენტი 1	პრეტენდენტი 2	განმარტება
1 – თვლადი და არათვლადი კრიტერიუმების შეფასება	$Q_1 = 40^{0.3}$ $Q_2 = 9,8^{0.4}$ $Q_3 = \frac{1}{12000^{0.3}}$	$Q_1 = 45^{0.3}$ $Q_2 = 9,6^{0.4}$ $Q_3 = \frac{1}{11000^{0.3}}$	ფორმულა №1 ფორმულა №3 ფორმულა №2
2 – ჯამური ქულის დაანგარიშება, პირობის შესრულების კრიტერიუმის გათვალისწინების გარეშე	$N_1 = 40^{0.3} \cdot 9,8^{0.4} \cdot \frac{1}{12000^{0.3}} =$ $= \frac{3,024 \cdot 2,492}{16,739} = 0,45019$	$N_2 = 45^{0.3} \cdot 9,6^{0.4} \cdot \frac{1}{11000^{0.3}} =$ $= \frac{3,133 \cdot 2,471}{16,308} = 0,47471$	ფორმულა №4
3 – პირობის შესრულების/ შეუსრულებლობის კრიტერიუმის გათვალისწინება	პრეტენდენტი ასრულებს პირობას, შესაბამისად მე-2 ნაბიჯზე დაანგარიშებული ქულა რჩება უცვლელი $N_1 = 0,45019$	პრეტენდენტი არ ასრულებს პირობას, შესაბამისად მე-2 ნაბიჯზე დაანგარიშებული ქულა მცირდება 3%-ით $N_1 = 0,47471 - 3\% = 0,46046$	
4 – ჯამური შეფასებების 0–10-ბალიანი მნიშვნელობის მიღება	$N_{0-10} = 10 \cdot \frac{0,45019}{0,46046} = 9,78$	$N_{0-10} = 10 \cdot \frac{0,46046}{0,46046} = 10,00$	ფორმულა №5



17. სახელმძღვანელოში გამოყენებული ტერმინები

N	ტერმინი	განმარტება
1	სამუშაო ველი	ნებისმიერი ადგილი, სადაც სისტემის მომხმარებელს შეჰყავს კონკრეტული ინფორმაცია (მაგალითად, სახელი/დასახელება,საიდენტიფიკაციო კოდი და ა.შ)
2	სისტემის რეგისტრირებული მომხმარებელი	სისტემაში რეგისტრირებული პირი (შემსყიდველი/მიმწოდებელი), რომელსაც გააჩნია მომხმარებლის სახელი და პაროლი
3	სტუმარი	ნებისმიერი დაინტერესებული პირი, რომელსაც შესაძლებლობა აქვს სტუმრის სტატუსით „ online ” რეჟიმში გაეცნოს სისტემაში არსებულ ნებისმიერ ინფორმაციას (სტუმარს არ აქვს e-შესყიდვის გამოცხადებისა და მასში წინადადებების წარდგენის საშუალება)
4	e-შესყიდვა	სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, გულისხმობს ელექტრონულ ტენდერს, გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერს და კონკურსს
4	DEP-შესყიდვა	სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, გულისხმობს შესყიდვის ელ.პროცედურას დონორის სახსრებით
6	პროგრამაში შესვლა	მოქმედება, რომელსაც სისტემის რეგისტრირებული მომხმარებელი ახორციელებს მისთვის განკუთვნილი სახელითა და პაროლით
7	პრეტენდენტი შემსყიდველობაზე	სტატუსი, რომელიც ენიჭება შემსყიდველს მომხმარებლის რეგისტრაციის განაცხადის შევსებისა და სისტემაში შესვლის შემდეგ, ვიდრე სააგენტო არ მოახდენს შემსყიდველის სისტემაში რეგისტრაციას შემსყიდველად
8	მომხმარებლის გააქტიურება	მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით სისტემაში შესვლის შესაძლებლობის მიღება



9	შესყიდვის გარდამავალი სტატუსები	გამოცხადებულია; „წინადადების მიღება დაწყებულია“; „შერჩევა/შეფასება“; „გამარჯვებული გამოვლენილია“; „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“
10	შესყიდვის საბოლოო სტატუსები	„შეწყვეტილია“; „არ შედგა“; „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“; „ხელშეკრულება დადებულია“
11	ხელშეკრულების სტატუსი	„მიმდინარე ხელშეკრულება“; „შესრულებული ხელშეკრულება“; „შეუსრულებელი ხელშეკრულება“;

ყურადღება

სახელმძღვანელოში მოცემული სკრინშოტები შესაძლოა უმნიშვნელოდ შეიცვალოს სისტემის შემდგომ დახვეწასთან ერთად.